ბიულეტენი

№ 34
1999
ნოემბერი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

- ელექტროენერგეტიკის სფერო
- ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი
- ეკონომიკური მიმოხილვა

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

C 00 - 01559

© FRIEDRICH EBERT STIFTUNG

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

ია თოხაძე
ელექტროენერგეტიკის სფერო ---------- 2

თემურ მიმინოშვილი
ანი ქათამიძე
ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ---------- 31

დავით ლომიძე
ეკონომიკური მიმოხილვა ---------- 51

"Index der Wirtschaftsfreiheit"
("ekonomikuri tawisuplebis indeksi"), georgisch, 68 S.
Seminarreihe `Wirtschaft, Finanzen und Sozialpolitik` vom November 1999
Englisch Annotation `Bereich der Elektroenergetik", 10 S.
Informationsblatt `Schattenwirtschaft: Ursachen und Ergebnisse`, georgisch, 8 S.
FES Georgien und Zentrum für strategische Forschungen und Entwicklung Georgiens

თბილისი

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek
C 00 - 01559

ელექტროენერგეტიკის სფერო

■ ია თოხაძე

1990-1996 წლებში ქვეყნის ეროვნული მეურნეობის ყველა დარგი გაუარესებით ხასიათდებოდა, რაც საბჭოთა კავშირის დაშლით, დსთ-ს ქვეყნებს შორის ადრე არსებული ეკონომიკური კავშირების მკვეთრი შემცირებით, ენერგორესურსების ფასების ფორსირებული ზრდითა და მთელი რიგი სხვადასხვა ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით იყო განპირობებული. ამ პერიოდში მთლიანი შიდა პროდუქტი 4-ჯერ შემცირდა, რისი ერთ-ერთი მიზეზი ენერგეტიკული კრიზისი იყო, ამასთან ეს სფერო მნიშვნელოვან სოციალურ და პოლიტიკურ დატვირთვასაც ატარებს.

სოციალური ეკონომიკის სისტემის არაეფექტიანობა 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან გამოიკვეთა, როცა მკვეთრად გაუარესდა ენერგორესურსებისა და სხვა ნედლეულის მოპოვების პირობები და ტექნოლოგიურად დასავლეთზე დიდად ჩამორჩენილი საბჭოთა კავშირის ეკონომიკა ჯერ სტაგნაციამ, ხოლო შემდეგ ძლიერმა დაქვეითებამ მოიცვა. ჯერ კიდევ 1955 წლიდან ჩვენი რეგიონისათვის არასწორი დაგეგმვის შედეგად საქართველოს ელექტროენერგეტიკა დეფიციტური იყო, თუმცა ეს არ იგრძნობოდა, ვინაიდან საქართველო მაშინ ერთიან საკავშირო ენერგოსისტემაში იყო ჩართული ანუ ენერგორესურსები და სხვა ნედლეული საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკებიდან შემოჰქონდათ. თუ 1961-1970 წლებში საქართველოში ეროვნული შემოსავლის საშუალო წლიური ზრდის ტემპი 7 პროცენტს, მრეწველობის პროდუქციისა 8 პროცენტს, 1971-1980 წლებში კი 6,5-6,9 პროცენტს შეადგენდა, 1981-1990 წლებში ეს მაჩვენებელი 1,6-2,2 პროცენტამდე შემცირდა. უფრო მეტიც 1989 წლიდან საქართველოში დაიწყო წარმოების დონის დაცემა, როცა წინა წელთან შედარებით ეროვნული შემოსავალი 2,4 პროცენტით, ხოლო 1990 წელს 11 პროცენტით დაეცა.

ისე როგორც მთლიანად საბჭოთა კავშირში, საქართველოშიც 80-იანი წლების დასასრულისათვის ეკონომიკის საბჭოთა კავშირის ისედაც დაბალი დონიდან ჩამორჩენა გაძლიერდა. თუ 1985 წლისათვის საქართველოში ერთ მცხოვრებზე ეროვნული შემოსავლის წარმოების დონით საშუალო-საკავშირო მაჩვენებელს, 1990 წლისათვის უკვე ჩამორჩებოდა მას 20 პროცენტით და მეტით. ეს მაშინ, როცა 1987 წლის მონაცემებით თვით საბჭოთა კავშირი საერთო ეკონომიკური განვითარების შესადარისი პარამეტრით (საერთაშორისო მეთოდოლოგიით მთლიანი შიდა პროდუქტი ერთ სულ მოსახლეზე) ორჯერ ჩამორჩებოდა აშშ დონეს, 40 პროცენტით დიდ ბრიტანეთს, 1,5-ჯერ ფინეთს, 20 პროცენტით იტალიის და ა.შ.

საქართველოში 1991 წელს სამრეწველო წარმოების დონე 21 პროცენტით, 1992 წელს 45 პროცენტით, 1993 წლის ექვს თვეში უკვე 35 პროცენტით დაეცა. მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა ეკონომიკის სხვა დარგებშიც. ეკონომიკური განვითარების პარამეტრებით, საქართველო ევროპაში და პოსტსაბჭოურ რესპუბლიკებს შორის ერთ-ერთ ბოლო ადგილზე აღმოჩნდა.

90-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველოში მაკროეკონომიკური მაჩვენებლები 4-5-ჯერ და მეტად დაეცა. იმავე პერიოდში ელექტროენერგიის წარმოების და მოხმარების მოცულობები მხოლოდ 2-2,5-ჯერ შემცირდა, რაც ნიშნავს, რომ ქვეყნის ეკონომიკის ელექტრომტევადობა ამ მოკლე პერიოდში თითქმის 2-ჯერ გაიზარდა. წარმოების დაცემას ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტის და საწარმოთა შემოსავლების მკვეთრი შემცირება მოჰყვა. რუსეთში და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის სხვა ქვეყნებში ფასების, განსაკუთრებით ენერგოშემცველებზე, ლიბერალიზაციის შემდეგ ეს პრობლემა გამწვავდა. საწარმოებისათვის ელექტროენერგიასა და ბუნებრივ აირზე ფასების შემცირებამ (მოსახლეობისათვის ერთი კგტ/სთ-ზე 2,5 თეთრი, ხოლო მეურნე სუბიექტისათვის 4,5 თეთრი) საბითუმო ფასების ზრდის ტემპების შეჩერებაზე, შემდეგ მათ შემცირებაზე დადებითად იმოქმედა. ამ ღონისძიებას მნიშვნელოვნად უნდა დაეჩქარებინა მოხმარებულ ელექტროენერგიაზე რესპუბლიკაში არსებული არგადახდების კრიზისის დაძლევა, მაგრამ ამ განხრით მნიშვნელოვანი ცვლილებები არ გამოუწვევია. ამ თითქოსდა სოციალურად მიზანშეწონილმა გადაწყვეტილებამ არაერთი სერიოზული ეკონომიკური და ორგანიზაციული პრობლემა წარმოშვა, კერძოდ, უკიდურესად გაუარესდა ელექტროენერგიის მოხმარების

აღრიცხვა. ელექტროენერგიაზე ერთიანი ტარიფების შემოღებით ეს პრობლემა არ წამოიჭრებოდა.

აღსანიშნავია, რომ 1989 წელს საქართველო

1989 წელს საქართველო საკუთარი ძალებით გამოიმუშავებდა 14 მლრდ კვტ/სთ ენერგიას, ხოლო მოხმარება კი 18,5 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენდა, ხოლო 4,5 მლრდ კვტ/სთ ენერგია სხვა რესპუბლიკებიდან შემოდიოდა.

საკუთარი ძალებით გამოიმუშავებდა 14 მლრდ კვტ/სთ ენერგიას, ხოლო მოხმარება კი 18,5 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენდა, ხოლო 4,5 მლრდ კვტ/სთ ენერგია სხვა რესპუბლიკებიდან შემოდიოდა. ამავე პერიოდში საქართველო 6 მლრდ $მ^3$ ბუნებრივ აირს მოიხმარდა, საიდანაც 1,0-1,5 მლრდ $მ^3$ ელექტროენერგიის გამომუშავებას ხმარდებოდა, დანარჩენი კი მრეწველობაში და კომუნალურ მეურნეობაში მოიხმარებოდა. თბოელექტროსადგურებს კი წელიწადში 2 მლნ ტ-მდე მაზუთი მიეწოდებოდა.

1990 წელს ქვეყანაში გამომუშავებული ელექტროენერგიის ნახევარი ჰიდრო რესურსებზე მოდიოდა, დანარჩენის გამომუშავება თბოსადგურებში იმპორტირებული გაზისა და ნავთობის საშუალებით ხდებოდა. ყველაზე ნაკლებად ელექტროენერგიის საწარმოებლად ქვანახშირის ადგილობრივი რესურსები გამოიყენებოდა. ადგილობრივი ჰიდრორესურსების საშუალებით 7600 მლნ კვტ/სთ ენერგია იწარმოებოდა, ხოლო ძირითადად იმპორტირებული სათბობის ხარჯზე თბოსადგურები 6640 მლნ კვტ სთ-ს გამოიმუშავებდნენ. ენერგიის გამოყენება 1 სულ მოსახლეზე 25 კგ ნავთობის ექვივალენტური იყო. ინდუსტრიის დარგი გამომუშავებული ელექტრო და თერმული ენერგიის ნახევარზე მეტს, ხოლო მთელი ნავთობის და ბუნებრივი აირის ნახევარს მოიხმარდა. 1990 წელს მოხმარებული ენერგიის წარმოება შემდეგნაირად განაწილდა: ნავთობპროდუქტების წილი — 47%, გაზის — 36%, თხევადი გაზის — 1%, ჰიდროენერგეტიკის — 5%, კოქსვადი ნახშირის და ქვანახშირის — 7%, ხეტყის — 2%, ელექტროენერგიის იმპორტი — 2%

(იხ. დიაგრამა №1). ელექტროენერგიის მოთხოვნის 44% ადგილობრივ ჰიდროელექტრო სადგურებზე და 38% თბოსადგურებზე მოდიოდა, 18,3% საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდან (ძირითადად რუსეთიდან, უკრაინიდან, აზერბაიჯანიდან) იმპორტით იფარებოდა. საქართველოს 1991 წლამდე ნავთობით, ნავთობპროდუქტებით, ბუნებრივი აირით და ნაწილობრივ ელექტროენერგიით ძირითადად რუსეთი ამარაგებდა.

პოსტსაბჭოურ პერიოდში საქართველო თითქმის მთლიანად უზრუნველყოფილი იყო ელექტროენერგიით. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მკვეთრად იჩინა თავი მწვავე

დიაგრამა №1



ენერგეტიკულმა კრიზისმა, რაც ელექტროენერგიის ქრონიკულ დეფიციტში გამოიხატა. ენერგიის უმთავრეს წყაროდ გაზი და ელექტროენერგია შეიქმნა. 1993 წელს საქართველოს მოსახლეობას, გარდა რუსთავისა, გაზის მიწოდება შეუწყდა. რუსეთთან ბარტერული შეთანხმების საფუძველზე, გარდაბნის ელსადგურს და რუსთავის მეტალურგიულ ქარხანას გაზი შეზღუდულად მიეწოდებოდა. ნავთობის,

ელექტროენერგიის მოთხოვნის 44% ადგილობრივ ჰიდროელექტრო სადგურებზე და 38% თბოსადგურებზე მოდიოდა, 18,3% საბჭოთა კავშირის სხვა ქვეყნებიდან იმპორტით იფარებოდა.

მაზუთის და ბენზინის იმპორტირება მკვეთრად დაეცა. 1994 წლის ბოლოს თურქმენეთის მიმართ ბუნებრივ აირზე საქართველოს დავალიანებამ 400 მლნ აშშ დოლარს გადააჭარბა, რამაც

საყოფაცხოვრებო-კომუნალურ სექტორში ენერგორესურსების მოხმარების სტრუქტურის რადიკალური ცვლილებები გამოიწვია. ბუნებრივი და თხევადი გაზის, საღუმელე საწვავის და ნახშირის ნაცვლად მოსახლეობა საოჯახო ენერგეტიკული დანიშნულებით (შენობების გასათბობად, ცხელწყალმომარაგებაში და კვების პროდუქტების მოსამზადებლად) მასიურად ელექტროენერგიას გამოყენებდა. განახლებადი ენერგორესურსების წილიც მნიშვნელოვნად გაიზარდა, ტყის მოხმარებამ 30,7 მლნ მ³-ს მიაღწია.

ცხრილი №1

ელეტროენერგიის გამომუშაევების დინამიკა 1996-1999 წლებში

№	ელსადგურები	ელენერგიის გამომუშაევა წლების მიხედვით (მლნ კვტ/სთ)				ზრდის ტემპი %		
		1996	1997	1998	1999 წ I-II კვ.	1997/1996	1998/1997	1999 წ I-II კვ. 1998 წ. I-II კვ.-თან
1.	თბილთეცი	17.9	8.9	28.7	20.35	49.7	322.5	70.91
2.	თბილსრესი	1087.4	1109.5	1669.5	1164.87	102.0	150.4	69.77
	თბოსადგურები სულ:	**1105.3**	**1118.8**	**1698.2**	**1185.22**	**101.2**	**151.8**	**69.79**
3.	რიონჰესი	280.2	283.9	221.2	117.03	101.3	77.9	52.91
4.	ვარციხეჰესი	640.5	794.4	672.8	422.77	124.0	84.7	62.84
5.	გუმათაჰესი	297.8	216.3	191.8	121.86	94.9	88.7	63.53
6.	ტყიბულჰესი	88.0	153.9	114.6	45.18	174.9	74.5	39.42
7.	შაორჰესი	78.3	131.9	70.3	82.35	168.5	53.3	117.14
8.	ხრამჰესი I	172.9	265.5	226.1	61.99	153.6	85.2	27.42
9.	ხრამჰესი II	269.8	262.2	249.9	59.51	97.2	95.3	23.81
10.	ლაჯანურჰესი	296.1	329.1	163.9	145.96	111.1	49.8	89.05
	აქციონირებული ჰესები სულ:	**2123.6**	**2437.2**	**1910.6**	**1056.65**	**114.8**	**78.4**	**55.30**
11.	ენგურჰესი	2721.1	2109.1	3135.9	1069.55	77.5	148.7	34.11
12.	ვარდნილჰესი	389.6	386.8	397.2	245.48	99.3	102.7	61.80
	ჯამი:	3110.7	2495.9	3533.1	1315.03	80.2	141.6	37.22
	სულ საქენერგოგენერაცია:	**6339.6**	**6051.9**	**7141.9**	**3556.9**	**95.5**	**118.0**	**49.80**
13.	საიჯარო და პრივატიზებული ჰესები	876.7	111.3	946.6	76.42	126.8	85.2	8.07
	სულ ჯამი:	**7216.3**	**7163.2**	**8088.5**	**3633.32**	**99.3**	**112.9**	**44.92**

ურბანიზებულ პუნქტებში გასათბობად სანათი ნავთიც გამოიყენებოდა.

1990-1994 წლებში წარმოების დაცემის შედეგად ელექტროენერგიის მოხმარება 56%-ით დაეცა, მოთხოვნის 70,5% ჰესებში წარმოებული ენერგიით იფარებოდა, 17,6% თბოსადგურებზე და 11,9% რუსეთიდან იმპორტზე მოდიოდა. ელექტროენერგია მხოლოდ მოსახლეობაში, ისიც მცირე რაოდენობით ვრცელდებოდა.

შესაბამისად ჰიდროენერგეტიკული ელექტროენერგიის რაოდენობას უტოლდებოდა. 1994 წელს ჰესები დადგმული სიმძლავრეების მხოლოდ 21%-ს გამოიმუშავებდნენ. თბოსადგურებიდან მუშაობდა მხოლოდ გარდაბნის თბოელექტროსადგური და დადგმული სიმძლავრის 14%-ს გამოიმუშავებდა.

1990-1995 წლებში ელექტროენერგიის წარმოება 13,6 მლრდ-დან 6,9 მლრდ კვტ/სთ-მდე, ნავთობის მოპოვება - 186 ათასიდან 47 ათას ტონამდე, ნავთობის გადამუშავება 2300 ათასიდან 60 ათას ტონამდე, ქვანახშირის ამოღება 955 ათასიდან 36 ათას ტონამდე დაეცა. ენერგორესურსებზე ფასების მრავალჯერადი კრიზისის გამომწვევი ზემოაღნიშნული მიზეზების გამო, ქვეყანაში ენერგორესურსების იმპორტის,

მიმდინარე ენერგეტიკულმა კრიზისმა და მის ფონზე განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეულ წილად შეაფერხეს ქვეყნის ენერგოსისტემის რეფორმის განხორციელება, რაც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის საერთო სტაბილიზაციის პროცესებზე.

წარმოების, მიწოდებისა და გამოყენების ბალანსები მკვეთრად შეიცვალა. ენერგომოხმარების სექტორში ძირითადი სიმძიმე ელექტროენერგიას დააწვა, რამაც ეროვნული ეკონომიკის თითქმის ყველა სექტორში ურთიერთდაკავშირებულ პრობლემათა ჯაჭვი წარმოშვა. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის გადაუხდელობამ ყველაზე მეტად ელექტროენერგეტიკის სექტორი დააზიანა. დეპარტამენტ „საქენერგოს“ დებიტორულმა დავალიანებებმა მომხმარებელთა მიმართ 1996 წლის პირველი აპრილის მდგომარეობით 190 მლნ ლარს გადაჭარბა, ეს კი წელიწადზე მეტი პერიოდის განმავლობაში ელექტროენერგიის მიწოდების ექვივალენტია. ელექტროენერგეტიკას არა თუ დაკარგული ჰიდროენერგეტიკული სიმძლავრეების რეაბილიტაციის, არამედ სათბობის შეძენისა და სხვა აუცილებელი ხარჯების დაფარვის სახსრები არ გააჩნდა, რის გამოც საბოლოო ჯამში დაირღვა მომხმარებელთა ელეტროენერგიის უზრუნველყოფის ნორმალური რეჟიმი არა მარტო ზამთრის, არამედ ზაფხულის

უახლოეს წარსულში ენერგეტიკის სფეროში მწყობრიდანაა გამოსული დაახლოებით 2,5 მლრდ დოლარის ღირებულების ძირითადი ფონდები.

წყალუხვობის პერიოდშიც.

მიმდინარე ენერგეტიკულმა კრიზისმა და მის ფონზე განვითარებულმა მოვლენებმა გარკვეულ წილად შეაფერხეს ქვეყნის ენერგოსისტემის რეფორმის განხორციელება, რაც უარყოფითად მოქმედებდა ქვეყნის საერთო სტაბილიზაციის პროცესებზე.

სამრეწველო კრიზისის გაღრმავებას ქვეყანაში მოქმედმა ნეგატიურმა მოვლენებმაც შეუწყვეს ხელი. დაირღვა არა მარტო პოსტსაბჭოურ რესპუბლიკათა შორის ტრადიციული ეკონომიკური კავშირები, არამედ შიდარესპუბლიკური ეკონომიკური ურთიერთობებიც, რამაც ქვეყნის ეკონომიკა, მათ შორის მრეწველობა, თითქმის კატასტროფულ მდგომარეობამდე მიიყვანა. მიუხედავად ამისა საქართველოში ელექტროენერგეტიკა მაინც მსხვილ მოქმედ ინდუსტრიულ დარგად დარჩა.

წარმოების ასეთი მკვეთრი დაცემა უპირველეს ყოვლისა პოსტსაბჭოური სივრცის დაშლით გამოწვეული პროცესებითაა განპირობებული, კერძოდ:

1. ყოფილ მოკავშირე რესპუბლიკებთან ყოველგვარი ეკონომიკური კავშირები მოიშალა, რის შედეგადაც იმპორტირებულ სათბობზე ორიენტირებულ თბოელექტროსადგურებზე სათბობის მიწოდება შეწყდა;

2. შეწყდა სარემონტო და აღდგენითი

ცხრილი №3

საქართველოში წყლის ენერგეტიკული რესურსების გამოყენების მონაცემები (1999 წლის 1 იანვრის მდგომარეობით)

მდინარე	ჰესი	დადგმული სიმძლავრე (ათას კვტ)	წლიური ენერგია მლნ კვტ/სთ		წლიური გამომუშავება (მლნ კვტ/სთ)	გამოყენების პოტენციალი
			ტექნიკ.	პოტენც.		
ენგური	ენგურჰესი ვარდნილჰესებით	1640	12320	9263	5400	58
გუმისთა	სოხუმჰესი	19	548	300	130	43
რიონი	ლაჯანურჰესი გუმათ ჰესი რიონჰესი ვარციხის ჰესი	366	9032	7520	1900	25
აჭარის წყალი	აჭარის ჰესი	16	1697	850	65	8
დიდი ჭალა, შაორი	შაორჰესი ტყიბულჰესი	120	–	–	220	–
მტკვარი	ხითახეჯიჰესი ხაჰესი ორთაჭალაჰესი	80		3914	470	12
არაგვი	ჟინვალჰესი	130	2444	1263	500	51
ხრამი	ხრამჰესი I-II სამგორჰესები	223	2139	1263	580	46

სამუშაოების ჩასატარებლად აუცილებელი მარაგნაწილების, მასალების და მოწყობილობების მოწოდება;

3. მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის არგადახდამ გამოიწვია ერთის მხრივ სარემონტო სამუშაოების ჩატარებისა და საობობის მიწოდების შეწყვეტა, ხოლო მეორეს მხრივ, ხელფასის მიუღებლობის გამო ენერგოსისტემიდან მაღალკვალიფიციური პერსონალის მასიური წასვლა, რამაც უდიდესი დაღი დაასვა მისი ექსპლუატაციის დონეს;

4. სამოქალაქო ომების პერიოდში დივერსიული ქმედებების შედეგად ენერგოსისტემამ უდიდესი ეკონომიკური ზარალი განიცადა;

5. ენერგობიექტებიდან დიდი რაოდენობის ფერადი ლითონი და კუთხოვანი ფოლადია დატაცებული;

6. ხშირად ავარიების შესწავლა, ანალიზი და ღონისძიებათა განხორციელება ფორმალურ ხასიათს ატარებდა;

1989-1996 წლებში საქართველოში ელექტროენერგიის წარმოება 15,8 მლრდ კვტ/სთ-დან 7,2 მლრდ კვტ/სთ-მდე, ხოლო მოხმარება კი 18,2-დან 7,3 მლრდ კვტ/სთ-მდე დაეცა.

7. 1995 წლის იანვარში გარდაბნის თბოელექტროსადგურზე მოხდა ხანძარი, რომელმაც გაანადგურა ახალი №9 და №10 ენერგობლოკების მართვის სისტემები.

საომარი მოქმედებების, დივერსიების, ძარცვა-გლეჯისა და ქურდობის შედეგად იმ პერიოდში მწყობრიდან გამოვიდა: ტყვარჩელის სრესი, ვარდნილიჰესების კასკადი, თბილისის თბოელექტროსადგურის 4 ენერგობლოკი, ენგურჰესის №3 ჰიდროაგრეგატი, თბილსრესის №9 და №10 ენერგობლოკები, რამაც ჯამში 780 მლნ აშშ დოლარის ზარალი შეადგინა. 25 კმ-იან უბანზე მწყობრიდან გამოვიდა 500 კვ ელექტრო გადამცემი ხაზი, რომლის ღირებულებაც 25 მლნ აშშ დოლარს შეადგენს. აგრეთვე გაძარცვულია სხვა ელექტროგადამცემი ხაზები. მოპარულია 1000 ტონამდე კუთხოვანი რკინა, 2000 ტონამდე ალუმინისა და სპილენძის სადენი, რის გამოც მწყობრიდან გამოყვანილია 2000 კმ-მდე მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზები. მთლიანად მწყობრიდანაა გამოსული დაახლოებით 2,5 მლრდ დოლარის ღირებულების ძირითადი ფონდები.

საქართველოს 319 მდინარის პოტენციური ენერგია წელიწადში 159,4 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს, მათ შორის, მსხვილ მდინარეებზე 50%, საშუალო მდინარეებზე (2-100 მგვტ) — 35%. ხოლო მცირე მდინარეებზე კი 15% მოდის.

საქართველოს ენერგეტიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენერგიის აკუმულირების პრობლემას, რისთვისაც ძალზე ხელსაყრელ ხერხად უნდა მივიჩნიოთ ჰიდრომაააკუმულირებელი ელექტროსადგურების აგება.

გარდა აღნიშნულისა, ენერგეტიკული მეურნეობის ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენა იქონია 4-5 წლის განმავლობაში უსახსრობის გამო რემონტების ჩაუტარებლობამ, ენერგოსისტემის 2-3 წლის განმავლობაში დენის უკიდურესად დაბალ სიხშირეზე მუშაობამ. ამ მიზეზებით ენერგოსისტემისათვის მიყენებული ზარალის შეფასება ძალზე რთულია, მაგრამ ელექტრული მანქანებისა და მბრუნავი მექანიზმების მუდმივი ავარიებით გამოწვეული შედეგების ანალიზიდან ჩანს, რომ ზარალი ასეულ მილიონობით დოლარს შეადგენს. ტექნიკური აღჭურვილობის ამორტიზაციის გამო ენერგოსისტემის მართვადობა მეტად დაბალია. მათი ტექნიკური დონე 20-30 წლის წინანდელ დონეს შეესაბამება. ამგვარად, ნებისმიერი უმნიშვნელო ლოკალური დაზიანება შეიძლება სისტემურ ავარიაში გადაიზარდოს.

აღნიშნული და სხვა მიზეზების გამო საქართველოში 1989-1996 წლებში ელექტროენერგიის წარმოება 15,8 მლრდ კვტ/სთ-დან 7,2 მლრდ კვტ/სთ-მდე, ხოლო მოხმარება კი 18,2-დან 7,3 მლრდ კვტ/სთ-მდე დაეცა ანუ სულ 40% შეადგინა.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს 1993-95 წლებში ერთიანი ენერგოსისტემა არ ჰქონია. ქვეყნისათვის ისეთი სასიცოცხლო მნიშვნელობის ობიექტებიც კი, როგორიცაა წყალსადენები, წისქვილ-კომბინატები და პურის ქარხნები გათიშული იყო. 1997 წელს ენერგიის დღე-ღამურმა მოხმარებამ 4,27 მლნ კვტ/სთ-ს მიაღწია, 1998 წელს კი — 8 მლნ კვტ/სთ-ს. 1998 წელს საერთო მოხმარება ძირითადად თვითგენერაციით იყო უზრუნველყოფილი (იხ. ცხრილი №1 და №2). ეს სიტუაცია ჩამოყალიბდა მაშინ როცა საქართველოს ელექტროენერგიის წარმოებისათვის უზარმაზარი ჰიდრორესურსები გააჩნია. საქართველოს მდინარეთა წყალუხვობა, ხეობათა ტიპები და კალაპოტების დიდი დახრილობა მდინარეთა საკმაოდ მაღალ ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს განაპირობებენ. ჰიდროენერგეტიკული რესურსების აბსოლუტური მახასიათებლებით საქართველო პოსტსაბჭოურ სივრცეში, რუსეთის, ტაჯიკეთისა და ყაზახეთის შემდეგ მეოთხე ადგილზე, ხოლო 1 კმ²-ზე ხვედრითი

მახასიათებლით კი მსოფლიოში ერთ-ერთ პირველ ადგილზე იყო.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს 319 მდინარის პოტენციური ენერგია წელიწადში 159,4 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს, მათ შორის, მსხვილ მდინარეებზე 50%, საშუალო მდინარეებზე (2-100 მგვტ) — 35% და მცირე მდინარეებზე კი 15% მოდის. აქედან, 73% დასავლეთ საქართველოზე მოდის. ქვეყნის მდინარეების ჩამონადენი (დარეგულირების გარეშე) ზამთარში ჯამურის მხოლოდ ერთ მესამედს, ხოლო ზაფხულში დარჩენილ ორ მესამედს შეადგენს.

ჰიდროენერგეტიკული რესურსების ეკონომიკურად ეფექტური ნაწილი 31,6 მლრდ კვტ/სთ-ია წელიწადში, ეს პოტენციალი მდინარეების მიხედვით ასე ნაწილდება: 31,7% ენგური, 23,2% რიონი და მის შენაკადები, 16,7% კოდორი, 10,2% თუშეთის ალაზანი, 10,4% მტკვარი და მისი შენაკადები (არაგვი, ხრამი, ფარავანი), 4,6% ბზიფი, 3,2% კი ყველა დანარჩენი მდინარე.

უხვად არსებული წყლის რესურსების ენერგეტიკული დანიშნულებით გამოყენება კი ხელს არ შეუშლის სამეურნეო საქმიანობაში მის გონივრულ გადანაწილებას და გამოყენების ეფექტურობის ამაღლებას. ის მუდმივად განახლებადი რესურსია და ამიტომაც, ენერგეტიკის განვითარება სწორედ ასეთი სახის რესურსს უნდა ემყარებოდეს. სწორედ წყლის რესურსები იქნა ათვისებული მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მაგალითად შვეიცარიაში 1963 წელს მთელი გამომუშავებული ელექტროენერგიის 98,7% ჰიდროენერგეტიკაზე მოდიოდა, შვეციაში 93,1%, ნორვეგიაში - 99,5%. სადაც იმ დროისათვის შესაბამისად ათვისებული იყო ჰიდროენერგეტიკული პოტენციალის 60%, 30,2% და 44,6%. მხოლოდ ამ პროცესების შემდეგ განვითარდა ენერგეტიკის სხვა სახეობები.

სპეციალისტების აზრით, არსებული ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციით რამდენიმე წელიწადში მათი გამომუშავება შეიძლება 8,5 მლრდ კვტ/სთ-მდე გაიზარდოს, რაც გარემოს დაცვის თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით საპროექტო მაჩვენებელზე 1 მლრდ კვტ/სთ-ით ნაკლებია (ცხრილი №3).

დიაგრამა №2



№4-ე ცხრილში აღნიშნული ობიექტების გარდა, მთელ რიგ მცირე ჰესებზე 200 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია გამოიმუშავება. ქვეყანაში ჰიდროპოტენციალის სრული გამოყენების შემთხვევაშიც საპროექტო გამომუშავება საშუალო წყლიანი პერიოდისათვის წელიწადში 9,5 მლრდ კვტ/სთ-ის ფარგლებშია, თუმცა მომავალში ესეც საკმარისი არ იქნება ქვეყნის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად. დღეისათვის ქვეყნის საერთო ტექნიკური პოტენციალის მხოლოდ 12%-ია ათვისებული.

აღსანიშნავია, რომ ქვეყნის მდინარეთა უმრავლესობა ხელუხლებელია, ხოლო მდინარეებზე, სადაც დაწყებულია ჰესების მშენებლობა, საკმაოდ დიდი რეზერვებია ასათვისებელი. მით უმეტეს, როგორც უკვე აღინიშნა, წყალი საქართველოში ადგილობრივი და იაფი რესურსია, სწორედ ამიტომ უნდა მაქსიმალურად განისაზღვროს ჰიდროენერგიის ათვისების რეალური მასშტაბები. წყალსაცავიანი ჰესები აამაღლებენ ენერგოსისტემის ეფექტურობას წყლის ჩამონადენის სეზონურობის დარეგულირების ხარჯზე, ამიტომ ბუნებრივია, რომ ყურადღება ასეთი სახის ობიექტების მშენებლობაზე უნდა გავამახვილოთ.

სპეციალისტების აზრით, პირველ რიგში დასაჩქარებელია „ხუდონჰესის“ მშენებლობა. 700 მგვტ სიმძლავრის და 1,7 მლრდ კვტ/სთ

დღეს გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის მოსახლეობა მასიურად იყენებს ისედაც დეფიციტურ ელექტროენერგიას, რაც ელექტროენერგეტიკაში არსებულ კრიზისულ მოვლენებს კიდევ უფრო აღრმავებს.

გამომუშავების მქონე ეს ობიექტი ენგურის ჰესების კასკადის ეფექტურობის გაზრდასთან ერთად მკვეთრად გააუმჯობესებს ქვეყნის ელექტრომომარაგებას და გაცილებით მიმზიდველს გახდის მეზობელ სისტემასთან პარალელური მუშაობის პირობებს, აგრეთვე შემცირდება განახლებადი ენერგიის ხარჯზე სათბობ-ენერგეტიკული რესურსების ძვირადღირებული იმპორტი.

მაღალი საინვესტიციო მიმზიდველობით ხასიათდება „ნამახვან-ჰესების“ კასკადი (ტვიში, ნამახვანი, ჟონეთი), რომლის სიმძლავრე 450 მგვტ-ია, გამომუშავება 200 მლნ კვტ/სთ, მდინარე ძევრულაზე „ძევრაჰესი“ 25 მგვტ სიმძლავრით და 90 მლნ კვტ/სთ გამომუშავებით. ენერგეტიკის განვითარებისათვის ერთობ პერსპექტიულია მდინარეების ბახვისწყლის, ნატანებისა და გუბაზეულის კომპლექსური გამოყენება.

საინტერესოა, აგრეთვე მდ. მტკვრის კომპლექსური გამოყენების სქემები, რომლებიც ითვალისწინებენ მის დარეგულირებას გორი-თბილისის და თბილისი-რუსთავის ფარგლებში. მდინარის ამ მონაკვეთში გამოვლენილია რეალური ობიექტები, რომელთა მშენებლობას ენერგეტიკული დატვირთვის გარდა დადებითი ეკოლოგიური მნიშვნელობაც ექნება, ხელს შეუწყობს კლიმატის გაჯანსაღებას, კომუნალური და სოციალური ინფრასტრუქტურების სრულყოფას. პირველ რიგში რუსთავის 2 ჰესის, თბილისის ფარგლებში „ფონიჭალაჰესის“, „დიღმიჰესის“ და კასპის რაიონის ზონაში „ძეგვჰესის“ მშენებლობის შესაძლებლობები.

აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში ჰიდროელექტროსადგურების წყალსაცავების ზონები მოსახლეობის დასვენებისა და გაჯანსაღების მნიშვნელოვანი ობიექტებია. მაგალითისათვის, გერმანიის ბუნების დაცვის კანონმდებლობით გათვალისწინებულია ჯარიმები თესებზე, ატომურ ელექტროსადგურებზე და ქარის ელექტროსადგურებზეც კი, ხოლო ჰესებზე ამგვარი რამე გათვალისწინებული არ არის. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ საქართველოს დღეისათვის არ გააჩნია ჰიდროელექტროენერგიის ტოლფასი სხვა ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსები, აუცილებელია ქვეყნის მდინარეების ეკონომიკური პოტენციალის შემდგომი ათვისება, ზოგიერთი დაკონსერვებული მშენებლობის განახლება.



დიაგრამა №3

საქართველოს ენერგეტიკისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს ენერგიის აკუმულირების პრობლემას, რისთვისაც ძალზე ხელსაყრელ ხერხად უნდა მივიჩნიოთ ჰიდრომაკუმულირებელი ელექტროსადგურების აგება. მართალია, ეს ხდება მოწყობილობის გარკვეული კონსტრუქციული გართულების და გაძვირების შედეგად, მაგრამ სამაგიეროდ, დიდი ეკონომიკური ეფექტი მიიღწევა, მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ პიკური ენერგია 2-3 ჯერ უფრო ძვირია, ვიდრე საბაზისო.

ᲨᲔᲛᲝᲓᲒᲝᲛᲐ-ᲖᲐᲛᲗᲠᲘᲡ ᲞᲔᲠᲘᲝᲓᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲣᲨᲐᲕᲔᲑᲐ ᲫᲘᲠᲘᲗᲐᲓᲐᲓ 2 ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲡᲐᲓᲒᲣᲠᲗᲖᲔ: ᲗᲑᲘᲚᲡᲠᲔᲡᲖᲔ ᲓᲐ ᲔᲜᲒᲣᲠᲰᲔᲡᲖᲔ ᲜᲐᲬᲘᲚᲓᲔᲑᲐ.

დღეს საქართველოში არსებული ენერგეტიკული კრიზისის გამო, ხშირად მცირე (500 კვტ) და მიკროჰესების მშენებლობას თვითონ მოსახლეობა აფინანსებს. უხეში გათვლებით, თუ ერთი ოჯახის სიმძლავრე 0,5 კვტ-ს შეადგენს (რამდენიმე ნათურა და ტელევიზორი) და ენერგიას ეკონომიურად, დღეღამეში 8 საათის განმავლობაში იყენებს, მაშინ ოჯახის თვიური მოხმარება 120 კვტ-ს შეადგენს ე.ი. თვეში 12 ლარის გადახდა უწევს, რაც დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით მეტად რთულია. ამ ეტაპზე ჩამოყალიბებული საბაზრო ფასების გათვლით, 5 კვტ სიმძლავრის ჰესის აგება 500 ლარი ჯდება. თუ ამ 5 კილოვატს 10 ოჯახზე (თითოეულზე 0,5 კვტ სიმძლავრე) გაანაწილებენ, თითოეულს 50 ლარი ექნება გადასახდელი, რაც 4 თვეში დაიფარება.

მცირე და საშუალო მდინარეების როლი

აღმოსავლეთ საქართველოში გაცილებით აქტუალურია ვიდრე დასავლეთ საქართველოში. მაგრამ ამ რესურსების ეფექტური გამოყენების წინაპირობად შესაბამისი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბება უნდა დასახელდეს, რათა ინვესტორს მიეცეს მცირე ჰესების აშენების უფლება, რის შედეგადაც კონკურენტული გარემოს ჩამოყალიბებას საფუძველი უნდა დაედოს. ამასთან გასათვალისწინებელია, რომ მცირე ჰიდროენერგეტიკა არ მოექცეს დიდი ენერგეტიკის კონკურენციის ჩარჩოში.

საქართველოს ენერგეტიკული კრიზისის დაძლევის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება ნახშირის მრეწველობის აღდგენაა, რადგან ნახშირი ქვეყანის ძირითადი ადგილობრივი სათბობია. საქართველოს ტერიტორიაზე ნახშირის მრავალი საბადოა, მაგრამ პერსპექტიულად მხოლოდ ტყიბულ-შაორის ნახშირის საბადოა მიჩნეული. სხვა საბადოების მაღაროების აღდგენა უახლოეს მომავალში ნაკლებად სავარაუდოა.

60-იანი წლების დასაწყისისათვის საქართველოში ყოველწლიურად 3 მლნ ტონამდე ნახშირი მოიპოვებოდა, რომელიც ტყვარჩელ-სრესში, რუსთავისა და ქუთაისის თბოელექტროცენტრალებში, რუსთავის მეტალურგიულ ქარხანაში, საქვაბეებში გამოიყენებოდა. საქართველოში ნავთობისა და ბუნებრივი აირისათვის პრიორიტეტული მნიშვნელობის მინიჭების შემდეგ ნახშირის მოხმარება ქვეყნის ეკონომიკაში მინიმუმამდე დავიდა, რის შედეგად 1989 წელს მისი მოპოვება პრაქტიკულად შეწყდა. საქართველოში ნახშირის პოტენციალის გამოყენების დაცვმა საბადოების რთული გეოლოგიური პირობებით, კერძოდ რესურსის მოპოვების უაღრესად დაბალი ტექნიკური აღჭურვილობით და მოთხოვნილების მკვეთრი დაცემითაა განპირობებული, რის გამოც საბადოების ნორმალური ფუნქციონირება ფაქტობრივად შეწყვეტილია. ამიტომაც სპეციალისტები თვლიან, რომ დარგის გადარჩენის იმედები ენერგეტიკული ნახშირის წარმოებაზე მყარდება. დღეისათვის მხოლოდ შაორ-ტყიბულის საბადოს მარაგი 390 მლნ ტ-ს შეადგენს. საბაზისო თესლების ასამოქმედებლად აღნიშნული რესურსის გამოყენებით ქვეყნის ელექტროენერგიით მომარაგების სტაბილიზაციის ხელშეწყობაა შესაძლებელი. აქვე აღსანიშნავია, რომ თესლსა და საქვაბეებში მოხმარებული ბუნებრივი აირის გამოყენების წილი, შესაბამისად, 17% და 22%-ია. თავისთავად, ეს მაჩვენებელი ძალიან დაბალია. ქვეყანა ბუნებრივი აირის სიმწირით გამოირჩევა, მისი იმპორტი კი დავალიანებით გამოწვეული გარკვეული სირთულეების და სიძვირის გამო ფაქტობრივად შეუძლებელია. ჩვენ კი საკუთარი ნახშირის გამოყენების ბრწყინვალე შანსი გვეძლევა, რაც დარგსაც გადაარჩენს და ქვეყნის მრეწველობის განვითარებაშიც გარკვეულ წილს შეიტანს..რაც შეეხება ფინანსურ ურთიერთობებთან დაკავშირებულ პრობლემებს, არსანიშნავია, რომ უცხოელი ინვესტორები ფინანსურ დახმარებას გვთავაზობენ.

ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲔᲚᲔᲥᲢᲠᲝᲔᲜᲔᲠᲒᲘᲘᲡ ᲓᲦᲔᲦᲐᲛᲣᲠᲘ ᲛᲝᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲨᲘ ᲐᲠ ᲐᲦᲔᲛᲐᲢᲔᲑᲐ 4 ᲛᲚᲜ ᲙᲕᲢ/ᲡᲗ-Ს, ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲖᲐᲛᲗᲐᲠᲨᲘ ᲘᲒᲘ 15-17 ᲛᲚᲜ ᲙᲕᲢ/ᲡᲗ-Ს ᲐᲭᲐᲠᲑᲔᲑᲡ.

XX საუკუნის მიწურულს, სულაც არ არის გასაკვირი, რომ საკვლევ პრობლემათა დასახვისას უდიდესი პრიორიტეტი ეკოლოგიურად სუფთა ენერგოეფექტური ტექნოლოგიების შექმნას და ფართო დანერგვას ენიჭება. ჰიდროენერგეტიკის განვითარება საქართველოში ყველაზე პრიორიტეტული უნდა იყოს, როგორც უკვე ვთქვით, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ენერგეტიკული ნახშირის წარმოებას, ამ მიზნით, გარკვეულ წილად შესაძლებელია ნავთობის გამოყენებაც. ენერგიის განახლებადი და არატრადიციული წყაროების, მზის, ქარის, გეოთერმული წყლებისა და ბიომასის ენერგიების დანერგვის საკითხები მწვავე დისკუსიის საგანია. საქართველოში ასეთი მცდელობები ჯერ კიდევ საბჭოეთის პერიოდში, შეიძლება ითქვას გარკვეულ დონეზე წარმატებულიც იყო, მაგალითად, 1984 წელს საქართველოში დაიწყო მზის თბური კოლექტორების დანერგვა. ქვეყნის მასშტაბით 80 ათას m^2-მდე ფართობზე ასეთი თბოკოლექტორები დამონტაჟდა. ამჟამად მათი წარმოება არსებული საწარმოს სიმძლავრის მხოლოდ 10%-ს შეადგენს.

დღეს გათბობისა და ცხელწყალმომარაგებისათვის მოსახლეობა მასიურად იყენებს ისედაც დეფიციტურ ელექტროენერგიას, რაც კიდევ უფრო აღრმავებს კრიზისულ მოვლენებს ელექტროენერგეტიკაში. მათალია ელექტროგათბობა ყველაზე კომფორტული მეთოდია, მაგრამ ამასთან ძალზე ძვირია, ვინაიდან ენერგორესურსების დიდ გადახარჯვასთან არის დაკავშირებული. გერმანული ფირმა „ლამაიერის“ შეფასებით, ელექტროგათბობისათვის მარტო თბილისს სულ ცოტა 450 მგვტ ელექტრული სიმძლავრე სჭირდება. სწორედ ამიტომ მნიშვნელოვანია გეოთერმული წყლების ათვისების საკითხი. მისი გადაჭრა ხელს შეუწყობს ელექტროენერგიის მოხმარების შემცირებას კომუნალურ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობების სექტორებში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს თერმული წყლების პროგნოზული მარაგი შეადგენს 250 მლნ m^3-ს წელიწადში, წყლის ტემპერატურაა 59-110°C. ბოლო წლებში თერმული წყლების მოხმარება, საგრძნობლად დაეცა. დღეისათვის მისი გამოყენების დონე არ აღემატება

30%-ს, დანარჩენი წყალი კი უქმად იღვრება. ამჟამად, საქართველოს ელექტროენერგეტიკა მხოლოდ 4 ათას მ³ გეოთერმულ წყალს იყენებს

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკის დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტების ჯამური მოცულობა 200 მლნ აშშ დოლარს სჭარბობს, მათ შორის, 96 მლნ აშშ დოლარი უკვე ათვისებულია.

დღე-ღამეში. ძირითადად თბილისის საბურთალოს რაიონის ცხელწყალმომარაგებისათვის, დანარჩენი სისტემები ან მოშლილია, ან ვერ გასცდა საცდელ ეტაპს.

რაც შეეხება ქარის ენერგიის რესურსებს, საქართველოში, კერძოდ კი შავი ზღვისპირეთში, ლიხის ქედზე (მთა საბუეთი), სამგორის მიდამოებში და სხვა ადგილებში, პერსპექტიულად არის შეფასებული. ქარის სიჩქარის რეჟიმის არასტაბილურობის და არაპროგნოზირების გამო მისი დანერგვა ძალიან რთულია. სამაგიეროდ, გამომუშავებული ელექტროენეგიის ღირებულება საკმაოდ დაბალია და მცირე ჰესებში გამომუშავებული ელექტროენერიის ღირებულებას უტოლდება. უკანასკნელი 20 წლის მანძილზე, ამ მეთოდით გამომუშავებული ელექტროენერგია 50 ცენტიდან 5 ცენტამდე დავიდა. ქარის ენერგიის ეკონომიკურად ეფექტური ნაწილი ქვეყნის ტერიტორიისათვის წელიწადში 4,5 მლრდ კვტ/სთ-ს შეადგენს, უახლოეს მომავალში კი გარკვეული სამუშაოების განხორციელებაა დაგეგმილი. აქვე აღსანიშნავია ქარის ელექტროსადგურების უარყოფითი ეკოლოგიური ფაქტორიც, კერძოდ, ლანდშაფტის დამახინჯება, ხმაური, დაბალსიხშირიანი რხევები, მექანიკური ნაწილის მოწყვეტის საფრთხე. გარდა ჩამოთვლილი ადგილებისა, ინტერესმოკლებული არ არის ქ. ფოთი, სადაც ნავსადგურის და კაპანდიბის ელექტროსადგურების ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების 2/3-ზე მეტი სწორედ ზამთრის პერიოდზე მოდის, რაც ხელს შეუწყობს ენერგოსისტემის გრაფიკის სტაბილიზაციას.

ენერგოეფექტურობის უწყვეტი ზრდა ენერგიის არატრადიციული განახლებადი წყაროების გამოყენების გაფართოებით და გარემოს დაცვის გაუმჯობესებით ენერგეტიკული პოლიტიკის აუცილებელი ელემენტი უნდა იყოს. პირველადი მნიშვნელობა, მაინც ჰიდრო და თბორესურსებს უნდა მიენიჭოთ, რათა შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მწვავე პრობლემები მოიხსნას. მაგალითად, 1998-99 წლების შემოდგომა-ზამთრის სეზონის ბოლოს თბილსრესზე სათბობის უკმარისობა შეიმჩნეოდა. მშრალი ზაფხულის პირობებში მარეგულირებელ ჰესებზე შექმნილმა ჰიდროენერგორესურსების მწვავე დეფიციტმა ნომინალური მარაგის მხოლოდ 25-30% შეადგინა. მეზობელი ქვეყნებიდანაც ელექტროენერგიის გადადინებები არასტაბილური იყო, რაც ნეგატიურ გავლენას ახდენდა მომხმარებლების ელექტრომომარაგების მოცულობასა და საიმედოობაზე. სიძნელეების მიუხედავად, 1997-98 წლებთან შედარებით შესაძლებელი გახდა ელექტროენერგიის გამომუშავების დონის შენარჩუნება.

საყურადღებოა, რომ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში ელექტროენერგიის გამომუშავება ძირითადად 2 ელექტროსადგურზე ნაწილდება: თბილსრესზე და ენგურჰესზე.

თბილსრესი სეზონურ თბოელექტროსადგურად გადაიქცა და წელიწადში 5-6 თვეს მუშაობს, რაც, მისი რთული ტექნოლოგიის გამო, დაუშვებელია. ფინანსური სიძნელეების გამო ვერ ხერხდება სრულფასოვანი სარემონტო სამუშაობის ჩატარება, მარაგნაწილების შეძენა და მომსახურე პერსონალისათვის ხელფასების გაცემა. ოფიციალური მონაცემებით, უცხოური ინვესტიციების მეშვეობით მწყობრშია მოყვანილი ახალი ქიმიური საამქრო, კონდესატორის ბურთულებით მწმენდი სისტემა, შეიცვალა თბოიზოლაცია და №9 და №10 ენერგობლოკებზე დამონტაჟდა ახალი მართვის სისტემა, დამთავრდა №10 ენერგობლოკის სრული რეაბილიტაცია და ა.შ. სულ გამოყოფილი და ათვისებულია 104,3 მლნ აშშ დოლარი, მათგან სათბობის შეძენას 13,1 მლნ აშშ დოლარი მოხმარდა.

1998-99 წლებში ენგურჰესზე, წყალსაცავში დონის რეგულირების, ავსება-დამუშავების საპროექტო რეჟიმის დარღვევის გამო ელექტროენერგიის გამომუშავების დანაკარგმა 120 მლნ კვტ/სთ-ს გადააჭარბა, აგრეგატების დაუშვებლად დაბალი დატვირთვით მუშაობის გამო 50 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია უმიზნო გამომუშავების აღმოჩნდა, დანაკარგებმა ფილტრაციის შედეგად 500 მლნ კვტ/სთ, სხვა მიზეზების გამო სეზონზე 1 მლრდ კვტ/სთ-ზე მეტი შეადგინა, რაც ჯამში 90 მლნ ლარის ზარალია. დაუფინანსებლობის გამო კი გათვალისწინებული სამუშაოების 70-80% ვერ სრულდება.

აგვისტოში „ეი-ი-ეს თელასს" და ენგურჰესს შორის დაიდო პირდაპირი კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც აპრილიდან სექტემბრამდე ენგურჰესმა თბილისს 50 მლნ კვტ/სთ, ხოლო ოქტომბერ-მარტის პერიოდში 70 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია უნდა მიაწოდოს. „ეი-ი-ეს თელასი" მიღებული ელექტროენერგიის საფასურს თავად გადაურიცხავს პარტნიორს. კონტრაქტით გათვალისწინებული ელექტროენერგია ენგურჰესის გამომუშავების მხოლოდ 20%-ს შეადგენს.

1999 წლის პირველ 6 თვეში ჰესებზე მხოლოდ წყლის დანაკარგებმა 673 მლნ კვტ/სთ ანუ 59,579

ათასი ლარი შეადგინა. მაშინ, როდესაც ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მონაცემებით:

დონის შესანარჩუნებლად:

გენერაციის რემონტს სჭირდება — 41459 ათასი ლარი;

გადაცემას — 4300 ათასი ლარი;

დისპეტჩერიზაციას — 1000 ათასი ლარი;

სულ კი — 46759 ათასი ლარი სჭირდება.

წელს „ეი-ი-ეს თელასმა" 5 თვის განმავლობაში მხოლოდ ელექტროგადაცემის საფასური 12004952 ლარი, ხოლო ჰიდროსადგურების - 2081440 ლარი გადაიხადა. ამავე დროს, 1999 წლის 4 თვეში „საქენერგოში" რეალიზაციით დაახლოებით 200 ათასი ლარი შემოვიდა, რაც შემდეგნაირად განაწილდა:

1. „საქენერგო" — 2761,7 ათასი ლარი;
2. გენერაცია — 16119,8 ათასი ლარი;
3. ელ. გადაცემა — 322,5 ათასი ლარი;
4. არმენერგო — 1334,6 ათასი ლარი;
5. აწჰესი — 67 ათასი ლარი;
6. ენერგოკონტრაქტი — 101,3 ათასი ლარი;

სულ — 19706.9 ათასი ლარი

1990 წლამდე საყოფაცხოვრებო სექტორზე დახარჯული ელექტროენერგიის წილი ელექტროენერგიის მთლიან ხარჯში თითქმის მინიმუმს შეადგენდა. ამჟამად კი, დედაქალაქში ბინების გათბობაზე, ცხელწყალმომარაგებაზე და საჭმლის მომზადებაზე თბილისის მოსახლეობა ხარჯავს 4-5-ჯერ მეტს, განსაკუთრებით კი ზამთარში. თბილისში ელექტროენერგიის დღეღამური მოხმარება ზაფხულში არ აღემატება 4 მლნ კვტ/სთ-ს, მაშინ, როდესაც ზამთარში იგი 15-17 მლნ კვტ/სთ-ს აჭარბებს. ზამთარში ელექტროენერგიის დანახარჯების ზრდამ ელექტროენერგიის ხარისხის ე.ი. ძაბვისა და სიხშირის გაუარესება, უგრაფიკო გამორთვები და ჩართვები გამოიწვია, რამაც უზარმაზარი ზარალი განაპირობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აუცილებელია თბომომარაგების აღდგენა, რისთვისაც დაახლოებით 1500 მგვტ სიმძლავრეა აუცილებელი. პრობლემის გადაჭრის საუკეთესო გზა თანამედროვე ავტონომიური სისტემების დანერგვაა, რაც დაახლოებით 120 მლნ აშშ დოლარს საჭიროებს (5500 მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლი). გაზმომარაგების სისტემის აღდგენა 60 მლნ აშშ დოლარს მოითხოვს. ჩამოთვლილი პროცესების განხორციელება საქართველოშიც შესაძლებელია,

რეფორმის ძირითადი კომპონენტია დარგის რესტრუქტურიზაცია, ე.ი. რეგულირების ფუნქციისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა, რაც აქციონირების გზით დარგის სუბიექტების პრივატიზებას, საბოლოოდ კი სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას გულისხმობს.

რითაც ათასობით მოქალაქე დასაქმდება. დასახელებული ციფრებიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ამ ეტაპზე ენერგეტიკის სექტორის განვითარება ადგილობრივი და უცხოელი ინვესტორების მიერ შეღავათიანი კრედიტებისა და ფინანსური დახმარებების გაცემის გარეშე შეუძლებელია.

1995 ნელს უმთავრესი ამოცანა ელექტროენერგეტიკული უსაფრთხოების მინიმალურ აუცილებელ დონეზე შენარჩუნება იყო, რაც ადგილობრივი ენერგეტიკული რესურსების პოტენციალის სრულფასოვან ათვისებას გულისხმობდა. ამ ამოცანის გადასაჭრელად და გადაუდებელი ავარიულ-პროფილაქტიკური სამუშაოების შესასრულებლად საქართველოს მთავრობა უცხოური კრედიტების და დახმარებების ძირითად ნაწილს ენერგეტიკის სფეროში მიმართავდა. საერთაშორისო ფინანსურმა ინსტიტუტებმა და მეგობარმა ქვეყნებმა საქართველოს ამ კუთხით მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია.

უკანასკნელი წლების განმავლობაში საქართველოს ენერგეტიკას მჭიდრო თანამშრომლობას უწევენ საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციები, მათ შორის, სავალუტო ფონდი, მსოფლიო ბანკი, ევროგაერთიანება და სხვა ქვეყნების ბანკები. კრედიტების ნაკადი ძირითადად მიმართულია ელექტროენერგეტიკულ სექტორში, სადაც ამჟამად 8 პროგრამა ხორციელდება. მათ დასაფინანსებლად გამოყოფილი კრედიტების ჯამური მოცულობები 200 მლნ აშშ დოლარს აჭარბობს, მათ შორის, 96 მლნ აშშ დოლარი უკვე ათვისებულია. ამ თანხით სარეაბილიტაციო სამუშაოები ძირითადად თბილსრესს ჩაუტარდა, სადაც ხანძრით დაზიანებული ელექტროქსელები, ავტომატური მართვის სისტემები და კომუნიკაციები აღადგინეს.

1996 წლის 16 იანვარს ხელი მოეწერა პროგრამა „ენერგეტიკა-2"-ის განხორციელებას (13,3 მლნ გერმანული მარკა, 8,125 მლნ აშშ დოლარის ექვივალენტი). თანხები ძირითადად 1996 წლის განმავლობაში აითვისეს, 0,025 მლნ გერმანული მარკა (0,015 მლნ აშშ დოლარი) ასათვისებელია. ამავე წლის 26 ივლისს ხელი მოეწერა პროგრამა „ენერგეტიკა-3"-ს (40 მლნ გერმანული მარკა ანუ 25 მლნ აშშ დოლარი). თანხების ათვისება ახლაც მიმდინარეობს. ასათვისებელი დარჩა 10,2 მლნ გერმანული მარკა (6,375 მლნ აშშ დოლარი), საიდანაც 0,5 მლნ გერმანული მარკა საქსელო საწარმოებზე, ხოლო დანარჩენი თბილსრესის რეაბილიტაციაზეა გათვალისწინებული.

KfW-ის (გერმანია) მიერ 1996 წელს პროგრამაზე „ენერგეტიკა-1" და მის დამატებაზე კრედიტების გამოყოფა უკვე დასრულებულია და 30 მლნ გერმანული მარკა (18750000 აშშ დოლარი) შეადგინა.

საქართველოს ენერგეტიკული სექტორის მნიშვნელოვანი კრედიტორები გახლავთ აგრეთვე რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკი (EBRD), რომლის მიერ 18,1 მლნ აშშ დოლარის კრედიტი გამოიყო. მის ფარგლებში თბილსრესსა და რიონჰესზე სამუშაოები ამჟამადაც მიმდინარეობს.

იაპონიის საზღვარგარეთთან ეკონომიკური თანამშრომლობის ფონდმა „OECF“ 5,332 მლრდ იაპონური იენი (45 მლნ აშშ დოლარი) გამოყო, რომლის ფარგლებში ლაჯანურჰესის, ხრამჰესი-2-ის, ქუთაისისა და თბილისის სადისპეტჩერო ცენტრებისა და კომუნიკაციების რეაბილიტაცია განხორციელდება. სამუშაოს დაწყება 1999 წლის დასაწყისში, ხოლო დამთავრება 2002 წლის 31 დეკემბერსაა ნავარაუდევი.

1997 წლის 19 ივნისს საქართველოსა და მსოფლიო ბანკის მიერ ხელმოწერილ იქნა განვითარების საკრედიტო ხელშეკრულება (ელექტროენერგიის რეაბილიტაციის პროექტი). კრედიტის ოდენობა 52,3 მლნ აშშ დოლარია, მათ შორის, პროექტის საინვესტიციო კომპონენტია თბილსრესის №10 ენერგობლოკის რეაბილიტაცია - თბილსრესისათვის 15 მლნ აშშ დოლარის ღირებულების საწვავის შეძენა. 10 მლნ აშშ დოლარი 1996-97 წლების ზამთრის პერიოდში გამოიყენეს, ხოლო 5 მლნ აშშ დოლარი მიმდინარე წლის ზამთრის პერიოდისათვისაა გათვალისწინებული.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ 776 ათასი აშშ დოლარის კრედიტია გამოყოფილი, მანვე ორგანიზაცია გაუკეთა გაცვლით პროგრამებს და აშშ კერძო და სახელმწიფო სამსახურებთან თანამშრომლობის საფუძვლები ჩამოაყალიბა, მხარი დაუჭირა კომპანიებსა და მათ ქართველ პარტნიორებს შორის კომერციული კავშირებისა და ერთობლივი საწარმოების განვითარებას.

1993 წელს ჰუმანიტარული დახმარების სახით ევროკომისიის მიერ საწვავის შესაძენად 6 მლნ ეკიუ გამოიყო. 1992-95 წლებში აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) მაზუთის, საწვავის, ნავთობის შესაძენად და მონიტორინგის სისტემის შესაქმნელად 10,2 მლნ აშშ დოლარი გამოყო. 1996 წელს ენერგეტიკის სამინისტრომ თხოვნით მიმართა ამ ორგანიზაციას ზამთრის პერიოდში მაზუთით დახმარების შესახებ, რის შედეგადაც გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე შემოტანილი და გარდაბნის ელექტროსადგურში დასაწყობებული იქნა 4,95 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 51,6 ათასი ტონა მაზუთი. ამავე წელს საქენერგოს რესურსებით მომარაგებისათვის გამოყოფილ იქნა 2,5 მლნ აშშ დოლარი, აგრეთვე 1995-96 წლის ზამთარში გამოყო 93 ათასი ტონა მაზუთი თესისათვის. 1994 წელს სააგენტო CARE-საქართველომ ტრანს-კავკასიური ზამთრის პროექტი 1,1 მლნ აშშ დოლარით დააფინანსა. 1995-96 და 1996-97 წლებში ჰოლანდიის მთავრობამ დახმარების სახით 5 მლნ აშშ დოლარი გამოყო.

ტექნიკური დახმარების სახით: 1993 წელს ტასისმა ენერგოსისტემის საბაზრო ეკონომიკის გარდასაქმნელად 399 ათასი ეკიუ გამოყო; 1994-95 წელს ენერგეტიკის პოლიტიკის მართვისათვის 0,5 მლნ დოლარი; ხოლო 1997 წელს 1,3 მლნ ეკიუ საქართველოს ენერგოსისტემის ტექნიკური დახმარებისათვის.

რეკონსტრუქციისა და განვითარების ევროპული ბანკის მიერ 1997 წელს საქენერგოს მართვის სისტემის მოსაწყობად 427 ათასი ეკიუ, ენგურის სასწრაფო პროექტის ღირებულება 45 ათასი ეკიუ, სატარიფო სისტემის შესასწავლად 191 ათასი ეკიუ და გეოთერმული სადგურისათვის - 30 ათასი ეკიუ გამოიყო.

მსოფლიო ბანკმა 1996-97 წლებში სტრუქტურული გარდაქმნის ტექნიკური დახმარებისათვის კრედიტი გამოყო (SATAC I): 1. საგადასახადო დისციპლინის ჩამოყალიბებისათვის 550 ათასი აშშ დოლარი; 2. საქენერგოს დახმარება 100 ათასი დოლარი. 1997 წელს კი, ახალი კრედიტი (SATAC II) 1 მლნ აშშ დოლარი.

აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტომ (USAID) 1992-95 წლებში ენერგეტიკის დეპარტამენტმა ენერგოსისტემის ეფექტიანობის შესამოწმებლად და მართვის, წარმოებისათვის, კომუნალური მომსახურების შემუშავებისათვის 0,1 მლნ აშშ დოლარი გამოყო.

1992-95 წლებში ამერიკის ენერგეტიკის დეპარტამენტმა ენერგეტიკის წარმოების შესაძლებლობათა კონვერსიის, ტრანსპორტირების, საწვავის გამოყენების, ბუნებრივი გაზის გამომუშავების, გადაცემისა და ელექტროენერგიის გამოყენებისათვის 1,72 მლნ აშშ დოლარი გამოყო, ხოლო 1996 წელს 4 მლნ აშშ დოლარით ფასების, პოლიტიკური რეფორმების და პრივატიზაციის საკითხებში დახმარება გაუწია. ამავე წელს ენერგეტიკის დეპარტამენტმა საქართველოს 0,6 მლნ აშშ დოლარის ოდენობის ტექნიკური დახმარება გაუწია.

შვეიცარიამ 1995 წელს დახმარების სახით ენგურის კაშხალის სარეაბილიტაციოდ 1,5 მლნ აშშ დოლარი გამოყო.

მაგრამ ერთია კრედიტის, ან დახმარების მიღება და მეორეა მისი სწორედ განაწილება. როგორც ჩანს ამ პერიოდში, უზარმაზარი თანხა იქნა მიღებული სხვადასხვა საინვესტიციო ინსტიტუტების მხრიდან, შედეგებით მსჯელობა კი ჩვენთვის სასურველ აზრს ოდნავადაც არ გვაახლოებს. ერთი კი უნდა ითქვას, თუ ენერგეტიკის სფერო სახელმწიფოს საკუთრებაში დარჩება, მოძიებული თანხების მოცულობის მიუხედავად წინსვლა ვერ აღინიშნება. ამის აშკარა მაგალითია უკანასკნელ ათწლეულში მიღებული კრედიტები და დახმარებები და ამ პერიოდში განხორციელებული ღონისძიებები და შედეგები,

რადგანაც, თუ ისეთი მონოპოლია, როგორიც ელექტროენერგეტიკაა (სადაც საქართველოში 30 000 მეტი კაცია დასაქმებული), სახელმწიფო მონოპოლიით იქნება განმტკიცებული, ეს კი მკვეთრად შეზღუდავს კონკურენციას და დარგის განვითარებას.

მიუხედავად გაწეული სამუშაოებისა და გარკვეული წარმატებებისა ელექტროენერგეტიკის სფერომ ვერ შეძლო რეაბილიტაცია.

ელექტროენერგეტიკის სფეროში მასობრივი გადაუხდელობის დამკვიდრებას აღრიცხვის მოშლა, უპასუხისმგებლობა, ისედაც მეტისმეტად შეზღუდული რესურსების უმიზნო ხარჯვა, ეკონომიკური ეფექტიანობის დაცემა მოჰყვა.

საჭირო იყო რადიკალური რეფორმების გატარება, რათა დარგი მორგებოდა დღევანდელ რეალობას და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს დაქვემდებარებოდა.

რეფორმის ძირითადი კომპონენტია დარგის რესტრუქტურიზაცია, ე.ი. რეგულირების ფუნქციისა და კომერციული საქმიანობის გამიჯვნა, რაც აქციონირების გზით დარგის სუბიექტების პრივატიზებას, საბოლოოდ კი სახელმწიფო მონოპოლიის ლიკვიდაციას გულისხმობს.

1995-97 წლებში სახელმწიფო პროგრამის მიხედვით „საქენერგოს“ ერთიანი, მონოპოლიზებული სახელმწიფო სისტემის ძირეული რესტრუქტურიზაცია განხორციელდა, რაც სექტორში პრივატიზაციის განხორციელების და რეალური საბაზრო წესების ეტაპობრივი დანერგვის სტრუქტურულ საფუძველს შექმნის. საქენერგოს რეორგანიზაციით ფინანსურად დამოუკიდებელი სამი — გენერაციის, გადაცემა-დისპეტჩერიზაციის და განაწილების — ქვესექტორი ჩამოყალიბდა, შემდეგ გადაცემა-დისპეტჩერიზაციის ქვესექტორი სახაზინო საწარმოდ - სახელმწიფო კომპანია „საქენერგოდ“ გარდაიქმნა, რომელიც პრივატიზების ჩატარების გარეშე სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს ექვემდებარება. განაწილების ქვესექტორი - მუნიციპალური ენერგოკომპანიები - ტერიტორიული პრინციპით დაცალკევდა, მათ ბაზაზე სააქციო საზოგადოებები ჩამოყალიბდა. გენერაციის ქვესექტორის ორგანიზაციების, ე.ი. ელექტროსადგურების და სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტების საფუძველზე სააქციო საზოგადოებები შეიქმნა, რომელთა მართვას სახელმწიფო კომპანია „საქენერგოგენერაცია“ ახორციელებს. ყოველივე ამის შედეგად, მთელი რიგი ღონისძიებები უნდა გატარდეს, რომელთა მიზანი დარგის ფინანსური მართვის მნიშვნელოვანი გაუმჯობესება, კორუფციასთან ბრძოლა, პრივატიზების პროცესის გაგრძელება და გამჭვირვალობის უზრუნველყოფაა.

საქართველოს პარლამენტის მიერ 1997 წელს „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ მიღებული, ხოლო 1999 წელს შესწორებული და „ელექტროენერგეტიკის და ბუნებრივი გაზის შესახებ“ გადაკეთებული კანონი ეკონომიკური რეფორმების პროგრამის შემუშავებისა და გატარების საფუძველს იძლევა.

დარგის რეფორმის ძირითადი პრიორიტეტებია: საერთო ტექნიკური რეაბილიტაცია, ეკოლოგიური და ტექნიკური უზრუნველყოფა, პრივატიზაციის პროცესის წარმატებით განხორციელება, ბუნებრივ მონოპოლიათა ჩამოყალიბება, ენერგორესურსების წარმოებისა და მოხმარების აღრიცხვიანობის სრულყოფა და საფასურის გადახდის მოწესრიგება, დარგის ფუნქციონირების საკანონმდებლო და ნორმატიული ბაზის ჩამოყალიბება, საინვესტიციო გარემოს განვითარება, კერძოდ ელექტროენერგეტიკაში კი რეფორმის ძირითადი პრიორიტეტები შემდეგში მდგომარეობს: საქართველოს ჰესების, თბილსრესის, თბილისისა და რუსთავის თესებისა და ენერგოსისტემის სხვა კომპონენტების რეაბილიტაცია და მოდერნიზაცია; შიდა და გარე რეგიონალური ბაზრის ეფექტური გამოყენების ბაზაზე ელექტროენერგიის წლიური გამომუშავების პოტენციალის 12-14 მლრდ კვტ/სთ-მდე მიყვანა; შიდა გადამცემი ხაზებისა და გამანაწილებელი ქსელების განვითარების, მეზობელი ქვეყნების ენერგოსისტემებთან კავშირების (განსაკუთრებით თურქეთის მიმართულებით) გაძლიერების, ენერგიის ექსპორტ-იმპორტისა და სატრანზიტო გადაცემების განვითარების გზით ენერგოსისტემის ფუნქციონირების საიმედოობის, გამანაწილებელი ქსელების და ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლება; ენერგოსისტემაში სიმძლავრეთა სტრუქტურის ოპტიმიზაციის აუცილებლობის გათვალისწინებით ელექტროენერგეტიკის განვითარების გენერალური გეგმის დამუშავება; პიკური და ბაზური ენერგიის ექსპორტზე ორიენტირებული პროექტის დამუშავება და რეალიზაცია (რეგიონალური დანიშნულების ჰიდრომაკუმულირებელი სიმძლავრეების შექმნის საკითხთა დამუშავების ჩათვლით); ტყიბულის ნახშირზე მომუშავე თბოენერგეტიკული დანადგარების პროექტის დამუშავება თანამედროვე, ეკონომიკურად ეფექტური და ეკოლოგიურად მისაღები ტექნოლოგიების ბაზაზე და მშენებლობის საკითხის გადაწყვეტა; ქარის ენერგიაზე მომუშავე ელექტროსადგურის პროექტის დამუშავება და სადგურის პირველი რიგის აშენება. რეფორმამდე არა ერთი მცდელობა იყო ცალკეული ღონისძიებებით ქვეყნის ეკონომიკაში შექმნილი კრიზისული ვითარების

გამოსწორება მომხდარიყო, მაგრამ ნაწილობრივმა, ზოგჯერ უმისამართო, ერთმანეთთან დაუკავშირებელმა არაკომპლექსურმა ღონისძიებებმა, პოზიტიურ შედეგებამდე ვერ მიგვიყვანა და ცხადი გახდა, რომ ქვეყნის კრიზისიდან გამოყვანის მიზნით აუცილებელი იყო რადიკალური კომპლექსური მიდგომა. სწორედ ამიტომ, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ტენდერში გამარჯვებულმა კონსორციუმმა, საფინანსო ჯგუფ „მერილ ლინჩის“ ხელმძღვანელობით, სახელმწიფო ქონების მართვისა და სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროებთან ერთად ელექტროენერგეტიკული სექტორის პრივატიზაციის სტრატეგია ჩამოაყალიბა.

საინვესტიციო ბანკი „მერილ ლინჩ ინტერნეიშენალი“ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს უწევს საკონსულტაციო მომსახურებას. აქედან გამომდინარე, იგი პრივატიზაციის სფეროში საქართველოს მთავრობის ფინანსური მრჩეველია. საინვესტიციო ბანკთან გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, ბანკი სხვადასხვა სახის მხარდაჭერას უზრუნველყოფს, კერძოდ:

- ახორციელებს საწარმოების შეფასებას და ხელს უწყობს მისი გაყიდვის მოლაპარაკებებს, რაც თითოეული საწარმოსათვის გაყიდვათა მემორანდუმების მომზადებაში დახმარებას მოიცავს;
- პრივატიზაციისათვის საუკეთესო სტრატეგიას არჩევს, ნებისმიერი აუცილებელი ფინანსური რესტრუქტურიზაციის, აქციათა გაყიდვების და სხვათა ჩათვლით. საწარმოთა აქციების გაყიდვების ღირებულების მაქსიმალიზაციის, აგრეთვე საწარმოებისათვის აუცილებელი საინვესტიციო რესურსების თვალსაზრისით საუკეთესო სტრატეგიას არჩევს;
- პრეზენტაციათა ორგანიზებით, ინფორმაციის გავრცელებით, პუბლიკაციებით და სხვა საქმიანობით აქტიურად უწყობს ხელს პრივატიზაციის პროცესში პოტენციურ ინვესტორთა ჩართვას;
- ეხმარება წინსვლისათვის აუცილებელი დოკუმენტების მომზადებაში, გაყიდვათა მემორანდუმების ჩათვლით;
- მყიდველთა წინასწარი კვალიფიცირებისათვის უწევს ტექნიკური კრიტერიუმების რეკომენდირებას და ეხმარება მთავრობას, შემსყიდველთა წინასწარი კვალიფიკაციის მოკლე სიის დაზუსტებასთან დაკავშირებით;
- ეხმარება სპეციფიკათა, შესყიდვის დოკუმენტთა, კონტრაქტის ფორმათა და სხვა საპრივატიზაციო დოკუმენტთა დაპროექტებაში, რომელიც გავრცელდება პოტენციური მყიდველებისათვის;
- რჩევა-დახმარებას უწევს სავაჭრო გარიგების პროცესის დაპროექტირება-განხორციელებაში და მიღებულ წინადადებათა შეფასებაში.

რეფორმების სტრატეგია დამტკიცებულ იქნა საქართველოს მთავრობის მიერ და დაიწყო პრივატიზაციის პრაქტიკული სამუშაოები, უწინარეს ყოვლისა, მუნიციპალური გამანაწილებელი ენერგოკომპანიებისათვის. რადგანაც ეს გზა იყო ერთადერთი, უალტერნატივო ვარიანტი მდგომარეობის გამოსწორებისა, რაც თავის მხრივ განსაზღვრავდა სექტორში ძირეული რეფორმების განხორციელების აუცილებლობას ე.ი. რესტრუქტურიზაციას, კორპორაციების შექმნას, კომერციალიზაციას, პრივატიზებასა და საკანონმდებლო გარანტიებს. ეს ჩამონათვალი პოტენციური ინვესტორების პირდაპირი მოთხოვნების ნუსხას წარმოადგენდა, რომელთა გარეშეც წარმოუდგენელი იყო დარგის ფინანსური რეაბილიტაცია.

ქვეყნის ეკონომიკის სხვა სექტორებისაგან განსხვავებით, ელექტროენერგეტიკის სრული გაკოტრება რეფორმების განხორციელების დაგვიანებამ განაპირობა, რის შედეგადაც იგი სრულიად დაუცველი აღმოჩნდა და ამ ნიადაგზე ელექტროენერგიისადმი „მომხმარებლური“ დამოკიდებულება ჩამოყალიბდა. მასობრივი გადაუხდელობის დამკვიდრებას აღრიცხვის მოშლა, უპასუხისმგებლობა, ისედაც მეტისმეტად შეზღუდული რესურსების უმიზნო ხარჯვა, ეკონომიკური ეფექტიანობის დაცემა მოჰყვა.

როგორც უკვე ითქვა, რეფორმების ერთ-ერთი ძირითადი მიზანი ტარიფების მოწესრიგების პრობლემის გადაჭრა იყო. „ელექტროენერგეტიკის შესახებ“ კანონის საფუძველზე ელექტროენერგიის ტარიფების დადგენის მეთოდოლოგია და საქართველოს საბითუმო ბაზრის პრინციპები დაწესდა. 1998 წლის 1 ოქტომბრიდან კი, სამოქმედოდ ელექტროენერგიის ახალი საბითუმო ტარიფებია შემოღებული (იხ. დანართი 1).

როგორც №1 დანართში მოყვანილი ცხრილებიდან ჩანს, საქართველოში ელექტროენერგიის საბოლოო ტარიფი არ ჩამოუვარდება ესტონეთის და დიდად არ განსხვავდება ლიტვა, ლატვია, სომხეთის ტარიფებისაგან. აღნიშნული სახელმწიფოები გამოირჩევიან მწირი ჰიდროენერგორესურსებით და ძირითადად იმპორტირებულ, ან ადგილობრივ ატომურ ენერგიაზეა დამოკიდებული. სავალუტო ფონდის ოფიციალური განცხადება ასეთია: ელექტროენერგიის 1 კვტ/სთ-ის სატარიფო ღირებულება უნდა მიუახლოვდეს საერთაშორისო ტარიფების სტანდარტებს. ეს კარგია იმ შემთხვევაში, როდესაც მოსახლეობის დონეც საერთაშორისო სტანდარტებამდეა აყვანილი. ამჯერად კი, 1 კვტ/სთ-ზე 9 თეთრის გადახდა მოსახლეობის უმრავლესობისათვის წარმოუდგენელია. სხვა შემთხვევაში კი, ენერგიის წარმოების ხარჯები დაუფარავი რჩება და ეს გასაგებიცაა, როდესაც მისი წარმოება უძველესი, მწყობრიდან გამოსული ტექნოლოგიით ხორციელდება. წლების განმავლობაში მიღებული

ინვესტიციების მიუხედავად, ენერგეტიკის სექტორის რეაბილიტაცია ვერ განხორციელდა. ტარიფების მომატება პრივატიზების პროცესში ინვესტორების მოზიდვის ერთ-ერთი წინაპირობაა, წინააღმდეგ შემთხვევაში ენერგიის წარმოების ხარჯები არ დაიფარებოდა.

1 კვტ/სთ-ზე 6 თეთრი ელექტროენერგიის ტარიფების შემოღების შემდეგ პერიოდში ქვეყნის ელექტრობალანსის სტრუქტურა შეიცვალა, ადგილი ჰქონდა მნიშვნელოვან ინფლაციას, ცვლილებები განიცადა ეროვნული ვალუტის კურსმა, რომლემაც უშუალო გავლენა იქონია თბოსადგურებში იმპორტულ საწვავზე გამომუშავებული ელექტროენერგიის თვითღირებულებაზე; შეიცვალა ელექტროენერგიისა და საწვავის იმპორტის დაბეგვრის რეჟიმი. ყოველივე ამან გამოიწვია დისპროპორცია ელექტროენერგიის წარმოებასა და მიწოდებაზე გაწეულ დანახარჯებსა და არსებულ სამომხმარებლო ტარიფებს შორის. გარდა ამისა ქ. თბილისის ელექტრომომარაგების ტარიფზე გავლენა იქონია ს/ს „თელასის“ პრივატიზაციის ხელშეკრულებით დამტკიცებული საინვესტიციო პროგრამის შესაბამისი სატარიფო განაკვეთის შემოღების აუცილებლობამ, რამაც ინდექსაციის საჭიროების წინაპირობა შექმნა. 1999 წლის 1 ივლისიდან საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის „ელექტროენერგიის სატარიფო სისტემის მოწესრიგების შესახებ“ №1 დადგენილების მიხედვით, ყველა კატეგორიის მომხმარებლისათვის, მათ შორის მოსახლეობისათვის შემოღებულ იქნა ელექტროენერგიის ახალი საცალო ტარიფი:

- ქ. თბილისში 9 თეთრი ყოველ კვტ/სთ-ზე;
- საქართველოს მთელ ტერიტორიაზე (თბილისის გარდა) - 8,3 თეთრი ყოველ კვტ/სთ-ზე.

იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფი არსებული ხელშეკრულების მიხედვით 1 კვტ/სთ-ზე 6,2 თეთრია, მათ შორის ს/ს „პონტოელის“ მომსახურებაზე — 0,1 თეთრი. საქართველოს ელექტროსადგურებიდან გაცემული და იმპორტირებული ელექტროენერგიის საშუალო შეწონილი ტარიფი 4 თეთრი ყოველ კვტ/სთ-ზე, მათ შორის, საქართველოს თბოელექტროსადგურებისათვის 3,5 თეთრი, ხოლო იმპორტირებულისათვის — 0,5 (დანართი №1). სწორედ ამიტომაც „ეი-ი-ეს თელასს“ ენერგიის ყაზახეთიდან რუსეთის გავლით შემოტანა სურს, ამასთან იგი ყაზახეთში ეკიბასტუზის ცნობილი თბოელექტროსადგურის აქციათა საკონტროლო პაკეტის მფლობელია. აღნიშნული სადგური „ეი-ი-ეს“-მა მინიმალურ ფასში შეისყიდა, დღეს კი ყოფილ მეპატრონეს 1 მლრდ აშშ დოლარს უფასებს. აქედან გამომდინარე, ქვეყნისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე ობიექტების პრივატიზება არასასურველია. საქართველოში ასეთ ობიექტად უნდა მივიჩნიოთ ენგურჰესი. ენგურჰესისათვის საკუთარი საბითუმო ტარიფის, 1,4 თეთრის შენარჩუნების და პოტენციალის მიხედვით წლის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობის პირობებში, ზოგიერთი ენერგეტიკოსის აზრით, ეს ობიექტი საკმაოდ სწრაფად შეძლებს თვითრეაბილიტაციას და შემდგომში მოგების მიღებასაც. 1998 წელს ენგურჰესის წლიურმა გამომუშავებამ 3135 მლნ კვტ/სთ შეადგინა, ე.ი. წლიური შემოსავალი ტოლია:

3135 მლნ კვტ/სთ * 4 თეთრი = 125,4 მლნ ლარი

აქედან ჯამში 17-20% მოდის გადასახადებზე და დისტრიბიუტორებზე:

125,4 მლნ ლარი * 0,2 = 25,08 მლნ ლარი

ენეგურჰესს ეკუთვნის:

3135 მლნ კვტ/სთ *1,4 თეთრი = 43,89 მლნ ლარი

დარჩენილი თანხა გადაცემასა და დისპეტჩერიზაციას შორის ნაწილდება:

125,4 — 43,89 - 25,08 = 56,43 მლნ ლარი

როგორც ჩანს, თვით ენგურჰესს 43,89 მლნ ლარი რჩება. ცნობილია, რომ სარემონტო სამუშაოების I ეტაპის ჩასატარებლად 62 მლნ აშშ დოლარია საჭირო, რასაც სარეაბილიტაციო პროექტებზე გამოყოფილი კრედიტებიც ემატება. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შესაძლებელია, რომ ენგურჰესის პრივატიზება არ მოხდეს. თუმცა, აფხაზეთში არსებული კონფლიქტური სიტუაციის გამო, ამ ეტაპზე ენგურჰესის განსახელმწიფოებრიობაზე საუბარი წარმოუდგენელია.

საქართველოს ელექტროენერგეტიკაში მცირე პრივატიზაციის პროცესი 1992 წელს დაიწყო და საქენერგოს დეპარტამენტს დაქვემდებარებული 30 მცირე ჰესიდან სხვადასხვა ფორმით 19 პრივატიზებულ იქნა, რომელთა სიმძლავრე ქვეყნის ელექტროსადგურების სიმძლავრის 2,2%-ს შეადგენს. პრივატიზაციის პროცესი დღეს საქართველოში არსებულმა ფისკალურმა კრიზისმა დააჩქარა. ენერგეტიკაში მიმდინარე პრივატიზების პროცესის ეფექტურობაზე მეტყველებს ის, რომ ფაქტიურად ყველა პრივატიზებული ობიექტი მუშაობს და მათი გამომუშავება საპროექტოს უახლოვდება (იხ. დანართი 2).

განხილულ სფეროში, პრივატიზების მთავარი ხელისშემშლელი გარემოება საფასურის ამოღების დაბალი მაჩვენებელია. საკმაოდ რთულ საკითხს წარმოადგენს აგრეთვე ობიექტების შეფასებაც.

როგორც უკვე აღინიშნა, საქართველოს ქონების მართვის სანისტრომ ტენდერში გამარჯვებულ კომპანიებს „მერილ ლინჩს“, „კანტორის“, KPMG-ს მიანჭათ უფლება წარემართათ სექტორის პრივატიზაცია და მოეძებნათ ინვესტორები. ტენდერის პირობებით სავარაუდოდ დადგინდება საწარმოში ინვესტიციების მინიმალური დონე. შეუფერხებელი მიწოდების გარანტირებისათვის

ინვესტორს უნდა მიეცეს გამანაწილებელი და მწარმოებელი საწარმოების შეძენის, ასევე მთელი გამანაწილებელი სისტემის მართვის უფლება.

ქვეყნის მნიშვნელოვანი ობიექტების პრივატიზების მიზნით, შექმნილმა მუდმივ-მოქმედმა საკონკურსო კომისიამ უკვე განახორციელა აააქციო საზოგადოება „თელასის“ აქციათა პაკეტის 75% პრივატიზება, რის შემდეგაც ბიუჯეტმა მიიღო 40,3 მილიონ ლარამდე.

ს/ს „თელასი“ საქართველოში მოხმარებული ელექტროენერგიის 35%-ს ანაწილებს და მისი პრივატიზება მსოფლიო ბანკის სტრუქტურულ გარდაქმნათა კრედიტის (SAC) შემდეგი ტრანშის გამოყოფის ერთ-ერთი პირობა იყო. ტენდერში მონაწილეობას იღებდა ამერიკული კომპანია „AES Silk Road Holdings B.V.“ და კონსორციუმი, რომელიც აერთიანებდა ფრანგულ კომპანიებს EDF, Sour და ქართულ „TBC-ბანკს“.

ტენდერი 1998 წლის აგვისტოში დაიწყო და 22 ოქტომბერს ამერიკულმა კომპანიამ „AES Silk Road Holdings B.V.“ მოიპოვა უფლება აქციათა 75%-ზედა 25,50 მილიონი აშშ დოლარი გადაიხადა. AES-მა „თელასის“ 10 მილიონი ლარის ოდენობის ვალის დაფარვაც იკისრა, მაშინ როდესაც მეორე კონსორციუმს მთლიანობაში მხოლოდ 10,40 მილიონი აშშ დოლარის გადახდა შეეძლო.

„AES Silk Road Holdings B.V.“ რეგისტრირებულია ნიდერლანდებში და მას მთლიანად ფლობს და აკონტროლებს მსოფლიოში უმსხვილესი ენერგეტიკული კორპორაცია „AES“. მისი აქტივები 10 მილიარდ აშშ დოლარს აღწევს.

AES-ი 10 წლის განმავლობაში 83 მილიონი ამერიკული დოლარის ინვესტირებას აპირებს, მაშინ როდესაც წაგებულ კონსორციუმს 123 მილიონი აშშ დოლარის დაბანდება ჰქონდა დაგეგმილი. მაგრამ ასეთ ტენდერებში განცხადების შეფასებისას დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობას შედარებით ნაკლები მნიშვნელობა ენიჭება. თუ კომპანიას რეალურად შეუძლია ვალდებულების შესრულება, ამის მისაღწევად დაგეგმილი ინვესტიციის ოდენობას მნიშვნელობა არ აქვს.

AES-ის უმთავრესი მიზანი თბილისის ოცდაოთხსაათიანი ელექტრომომარაგებით უზრუნველყოფაა. ოქტომბერში, კომპანიის ვიცე პრეზიდენტმა განაცხადა, რომ, საკონტროლო პაკეტის მიღების შემდეგ, ამ მიზანს რამდენიმე კვირაში მიაღწევდა. 1999 წლის დასაწყისში „თელასის“ საკონტროლო პაკეტის ოფიციალურად მიღებასთან ერთად AES-ს მემკვიდრეობის პრობლემებიც ერგო, რომლებიც ელექტროენერგიით მომარაგებაში წარმოიშვა დეკემბრის ბოლოს გარდაბნის თბოელექტროსადგურში გაჩენილი ხანძრის გამო. AES-მა ცვლილებების გატარების ზომიერი სტრატეგია აირჩია: მან დაიწყო ურჩი გადამხდელებისათვის ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა, მაგრამ ამ დროს მოსალოდნელზე მცირე ცვლილებები შეაქვს „თელასის“ თანამშრომელთა შემადგენლობაში. AES-მა ხაზი გაუსვა მის მზადყოფნას ენერგიის მიწოდების გაუმჯობესების ვალდებულების შესასრულებლად გამოიყენოს იპორტირებული ელექტროენერგია, როგორც „საქენერგოს“ ალტერნატივა. „საქენერგოს“ დიდი სამუშაოების ჩატარება დასჭირდება მდგომარეობის გამოსასწორებლად, ვინაიდან „თელასი“ ვალდებული იყო „საქენერგოსაგან“ ელექტროენერგიის მხოლოდ მარტის ბოლომდე შეძენის. თბილისში და მის დაქვემდებარებაში მყოფ ზონებში განლაგებული 35 კილოვატიანი სადგურები და 35 კილოვოლტიანი ხაზები პრივატიზებულ იქნა, როგორც „თელასის“ აქტივები. „თელასის“ პრივატიზაცია მოიცავდა ასევე ზოგიერთ 110 კილოვოლტიან ელექტროხაზებს, რომლებიც არ გამოიყენება ელექტროენერგიის ტრანზიტისათვის და 110 კვტ-იან ქვესადგურებს, რომლებიც შეიძლება გამოიყენებოდეს ელექტროენერგიის გადაცემისათვის. ტენდერის მიმდინარეობის დროს ზოგიერთი ოფიციალური პირი ეწინააღმდეგებოდა ზემოთ აღნიშნული ქვესადგურებისა და ხაზების პრივატიზებას, რადგან თვლიდა, რომ ისინი „საქენერგოს“ ეკუთვნოდნენ, ხოლო ეს კომპანია სახელმწიფო საკუთრებაა და პრივატიზებას არ ექვემდებარება. მაგრამ ვინაიდან ეს ქვესადგურები და ხაზები გამოიყენება თბილისის არეალში ელექტროენერგიის გასანაწილებლად, სახელმწიფო ენერგეტიკის მარეგულირებელმა კომისიამ შესაბამისი სამინისტროებისა და ადმინისტრაციული უწყებების წარმომადგენლებთან ერთად გადაწყვიტა მათი, როგორც „თელასის“ ძირითადი საშუალებების პრივატიზება. AES-ი საქართველოს ელექტროენერგიის მწარმოებელი სადგურების შესყიდვასაც ფიქრობს.

თბილისში ამ ბოლო წლებში, ეკონომიკის გამოცოცხლებისა და მოსახლეობის რიცხვის მატების შედეგად ელექტროენერგიაზე მოთხოვნა განუხრელად იზრდება. ეკონომიკური ზრდის უფრო ნელი ტემპის პირობებშიც კი ელექტროენერგიის მოხმარების დონე შეიძლება უფრო სწრაფად გაიზარდოს, თუ მიწოდება მოთხოვნის შესაბამისი იქნება.

„თელასის“ პრივატიზაციის ზოგმა მონინააღმდეგემ ეჭვის ქვეშ დააყენა მისი შესაბამისობა საქართველოს ანტიმონოპოლიურ კანონმდებლობასთან. მართალია, ელექტროენერგიის განაწილება ბუნებრივ მონოპოლიას წარმოადგენს, მაგრამ ეს ახალი სისტემა ბევრ სხვა ქვეყანაში არსებულის იდენტურია - მმართველობას ახორციელებს კერძო სტრუქტურა, მაგრამ ტარიფის ზრდაზე დაწესებულია მკაცრი ლიმიტი — მაჰს საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისია არეგულირებს. აქედან გამომდინარე, AES-სთვის მოგების მიღების ერთადერთი საშუალება

ეფექტურობის გაუმჯობესებაა; როგორც ჩანს კომპანია ამას გადასახადების განაკვეთების გაუმჯობესებით, დანაკარგების შემცირებითა და იაფი ელექტროენერგიის მარაგებით აპირებს. გარდა ამისა, „თელასის“ პრივატიზაცია არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას; ანტიმონოპოლიურმა სამსახურმა შეადგინა იმ საწარმოთა სია, რომლებიც მიმდინარე ეტაპზე არ ექვემდებარებიან პრივატიზაციას, მონოპოლისტურ კომპანიად განვითარების საშიშროების გამო; ამ სიაში ს/ს „თელასი“ არ არის შეტანილი.

ოქტომბერში სამმა ამერიკულმა კომპანიამ შექმნა „მხარდაჭერის ჯგუფი“ „ჟინვალჰესის“ იჯარით აღებისა და მისი გვირაბების სისტემის განახლების მიზნით. თბილისი და მცხეთა ჟინვალის წყალსაცავიდან სასმელი წყლით მარაგდება და მასზე არსებული ჰიდროელექტროსადგური იმდენად ახლოს არის თბილისთან, რომ შეიძლება პრივატიზებული „თელასისთვის“ ელექტროენერგიის ერთ-ერთი ძირითადი მიმწოდებელი გახდეს.

უკვე მიმდინარე წლის 5 თვის განმავლობაში „AES თელასს“-მა „საქენერგოს“ წარმოდგენილი ანგარიშების შესაბამისად 28 283 311 ლარი გადაუხადა. ელექტროგადაცემას - 12 004 951 ლარი, ჰიდროსადგურებს - 2 081 440 ლარი. საერთო თანხით მოწოდებული ელექტროენერგეტიკისათვის ანაზღაურებულია 42 369 702 ლარი. გარდა ამისა „ეი-ი-ეს თელასმა“ მარტსა და აპრილში სომხეთიდან იმპორტირებულ ელექტროენერგიაში 2 087 217 აშშ დოლარი და 938 000 ლარი საბაჟო გადასახადი გადაიხადა. „ეი-ი-ეს თელასის“ მიერ ნაკისრი ვალდებულების თანახმად, დაიფარა 9 449 631 ლარის ოდენობის ძველი კრედიტორული დავალიანება. აქედან 670 623 ლარი თანამშრომელთა ხელფასების ძველი დავალიანებაა.

ამის გარდა, ამერიკის მთავრობამ სოციალურად დაუცველი ფენების ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით 5 მილიონი აშშ დოლარი დახმარება გამოყო.

1999 წლის პირველი 5 თვის განმავლობაში „ეი-ი-ეს თელასმა“ ახალი ტრანსფორმატორების შეძენასა და ძველის შეკეთებას 717 200 აშშ დოლარი მოახმარა. შეისყიდა 2 068 000 აშშ დოლარის კაბელები და 191 400 აშშ დოლარის კომპიუტერული მოწყობილობები, 206 850 აშშ დოლარის მრიცხველები, 962 800 ტრანსფორმატორის ზეთი და 26 000 აშშ დოლარის სათადარიგო ნაწილები.

მარაგების შევსებისა და მომსახურებისათვის ინვესტორმა წელს 7 164 500 აშშ დოლარი დახარჯა.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს, რომ ამ ეტაპზე „AES-თელასი“ ზამთრისათვის სერიოზულ მზადებას ეწევა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ 1999 წლის დასაწყისში „თელასის“ პრივატიზებამ წარმატებით ჩაიარა.

ენერგეტიკულ პრობლემებს შორის ყველაზე ხანგრძლივი და მწვავეა მოხმარებული ელექტროენერგიის რეალიზაციის სფეროში შექმნილი მდგომარეობა. გადაუხდელობამ ძლიერ გაართულა მოქმედი ენერგეტიკული ობიექტების საექსპლუატაციო პირობები, რის შედეგად ელექტროსადგურებისა და გადაცემა-განაწილების ტექნიკური მდგომარეობა კვლავ დაძაბული დარჩა. ს/ს „თელასის“ პრივატიზაციამ კი დასაბამი დაუდო ელექტროენერგიის გამანაწილებელი ქსელების პრივატიზების ახალი პროგრამის შემუშავებას. სტრატეგიის მიხედვით გადაწყდა საქართველოში მოქმედი 66 გამანაწილებელი კომპანიის გამსხვილება და 4 ძირითად ჯგუფად ჩამოყალიბება: „თელასი“, აღმოსავლეთ საქართველო, დასავლეთ საქართველო და აჭარა. არ არის გასაკვირი, თუ „თელასის“ პრივატიზაციის შემდეგ სხვა ინვესტორებიც დაინტერესდნენ საქართველოს ელექტროგამანაწილებელი და მწარმოებელი კომპანიების შეძენაში. თუმცა, სექტორში არსებული ისეთი პრობლემები, როგორიცაა - კორუფცია, ვალებისა და გადასახადის გადაუხდელობა კიდევ დიდხანს იქნება მათთვის დამბრკოლებელ ფაქტორად.

1999 წლის 19 ივლისს ქონების მართვის სამინისტრომ საქართველოს ელექტროგამანაწილებელი კომპანიები და გენერაციის ობიექტები გასაყიდად გამოიტანა. ელექტროენერგიის გამანაწილებელი კომპანიებისა და თბოელექტროსადგურების აქტივების პრივატიზებაში, საქართველოს მთავრობას პრივატიზების პროცესში ფინანსური მრჩეველი, „მერილ ლინჩი“ ეხმარება. „მერილ ლინჩის“ სახელზე წინასწარი ინტერესის გამოხატვა 2 ივლისს დასრულდა. საქართველოს ელექტროგამანაწილებელი და გენერაციის ობიექტები ინვესტორებს სამ ლოტად შესთავაზეს. კერძოდ,

I ლოტში გაერთიანდა:

- ს/ს „რელასის“ (რუსთავის ენერგოკომპანია) აქციათა 75%, კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით;
- ს/ს „თბილსრესის“ აქციათა 80%, კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით;
- ს/ს „ხრამი-1“-ის აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსის გზით;
- ს/ს „ხრამი-2“-ის აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით, კონკურსის გზით;

II ლოტში შევიდა:

- ს/ს „ქელასის“ (ქუთაისის ენერგოკომპანია) აქციათა 75%, კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით;
- ს/ს „ლაჯანურჰესის“ აქციათა 100%, 25 წლით მართვის უფლებით;
- ს/ს „ტყიბულჰესის“;
- „შაორჰესის“;
- ს/ს „გუმათჰესების კასკადი“;
- „რიონჰესი“.

კონკურსანტს უნდა ჰქონოდა გარკვეული

ჰიდრო და თბოელექტროსადგურების ოპერირების გამოცდილება. ამავე დროს მას შეეძლო გაეკეთებინა განაცხადი ერთ ან ორივე ლოტზე, მაგრამ ცალ-ცალკე.

რაც შეეხება მესამე ლოტს, მასში პირველ და მეორე ლოტს გარე დარჩენილი რაიონული ენერგოკომპანიების აქციათა პაკეტები შევიდა. მათი განსახელმწიფოებრიობა აქციათა 75%-ის კონკურენტული პირდაპირი მიყიდვის გზით მოხდება. ამ ლოტში გაერთიანდა 58 გამანაწილებელი ენერგოკომპანია. ყველა დაინტერესებულ ინვესტორს ერთ, ან რამდენიმე ენერგოკომპანიაზე აქვს განაცხადის გაკეთების უფლება. „ენინვალჰესი“ და „ზაჰესი“ საქართველოს ენერგოკომპანიების მასიურ პრივატიზებაში ვერ მოხვდა. სასამართლოს გადაწყვეტილებით, მათი პრივატიზება შეჩერებულია.

ამასთან, პოტენციურმა ინვესტორმა პირველი და მეორე ლოტის შესაძენად „ბე“ თითოეულისთვის 250 ათასი აშშ დოლარი უნდა გადაეხადა, ხოლო მესამე ლოტში შემავალი რაიონული გამანაწილებელი ენერგოკომპანიისათვის - თითოეულზე 30 ათასი აშშ დოლარი. კონვერტები კომისიას ოფიციალურად 24 აგვისტოს უნდა გაეხსნა, მაგრამ მოხდა გადავადება.

პრეტენდენტს პირველი ლოტის პრივატიზებისას „თბილსრესის“ შემოდგომა-ზამთრის პერიოდში მოქმედების შესახებ წინადადებები უნდა გაეკეთოს, რაც მომავალში ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებაში აისახება. თითოეულ ლოტში წარდგენილ წინადადებებს

ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ძვეყნის ინტეგრაციას რეგიონალურ და გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში.

განმანაწილებელი კომპანიების შესყიდვას აპირებს.

რაც შეეხება „ორთაჭალჰესს“, მისი პრივატიზება მოხდება მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც კონტრაქტი აღნიშნული ობიექტის იჯარის შესახებ იურიდიულად ძალადაკარგულად ჩაითვლება.

როგორც იქნა გაიხსნა დალუქული პაკეტები და აღმოჩნდა, რომ პირველი ლოტით მხოლოდ ორი კომპანია დაინტერესდა: ამერიკული „AES Silk Road Holdings B.V.“ და ბრიტანული „Power Management PTY L.t.d.“

მეორე ლოტზე გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო ოთხმა კომპანიამ: ფრანგულმა 1. Europacific Corporate Finance Limited 2. კონსორციუმი „Hainan S.i.t. Enterprise Corp.“ (ჩინეთში საუკეთესოთა პირველ ათეულშია) და „Sichuan Electric Power Import and Export Corporation“. მესამე მონაწილე IDM - გულანია. მეოთხე მონაწილე Mecamidi Georjie Ltd., რომელმაც არა მარტო მეორე ლოტის შეძენის სურვილი გამოთქვა, არამედ მესამე ლოტის ორი ელექტროგამანაწილებელი კომპანიის შეძენისაც.

ს/ს „მარნეული ელექტროქსელი“-ს აქციებით რუსეთის OAO "Энергомашиностроительная корпорация" დაინტერესდა.

ს/ს „ბოლნისის ელექტროქსელის“ და „ფოთის ელექტროქსელის“ აქციათა პაკეტის მიმართ დიდი ინტერესი გამოხატა ბრიტანეთის მოქალაქე გრიმ ინტერესი გამოხატა ბრიტანეთის მოქალაქე გრიმ რისიმ. რაც შეეხება ს/ს „გორი ენერგოს“ აქციებს, მისი ყიდვის მსურველი ს/ს „ელექტრომშენი-გორი“ აღმოჩნდა. გარდაბნის რაიონში ს/ს „ენერგოსერვისის“ აქციებით კი შპს „ენერგოსერვისი“ დაინტერესდა.

1997-98 წლებში ელექტროენერგიის ექსპორტმა, შესაბამისად, 11936,3 ათასი და 10668,7 ათასი აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი ექსპორტის 5% და 5,5%-ია.

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ადრე გატარებულმა არარაციონალურმა პოლიტიკამ, რაც იაფი ენერგორესურსების იმპორტისათვის უპირატესობის მინიჭებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების უგულვებელყოფაში გამოიხატა, გარკვეული ნეგატიური გავლენა მოახდინა ამ სექტორში მიმდინარე პროცესებზე.

კომისიას კომპლექსურად უნდა განეხილა. კონკურსში გამარჯვებულის შერჩევის კრიტერიუმებია:

- ფინანსური წინადადება აქციების შესყიდვის ან აქციების მართვაში გადასაცემად საფასურის თაობაზე;
- მყიდველის მიერ წარმოდგენილი საინვესტიციო ვალდებულებები;
- ვალების ოდენობა, რომლის გადახდის ვალდებულებასაც იღებს მყიდველი;
- ელექტროენერგიის ტარიფების სიდიდე;
- განცხადების განხილვისას უპირატესობა მიეცემა იმ მყიდველს, რომელიც დამატებით

ელექტროგამანაწილებელი კომპანიის „ახმეტაენერგო“, „ენერგეტიკი“ (ყვარელი), „თელავენერგო“, „ლაგოდეხენერგო“, „სიღნაღის ელეგმა“, „ელექტროსერვისი“ (საგარეჯო), „ელექტრონი“ (გურჯაანი), „ენერგეტიკოსი“ (დედოფლისწყარო) აქციათა შესყიდვა კი შპს „თაქლამ“ ისურვა.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ელექტროენერგიის გენერაციის სფეროში თბოელექტროსადგურების პრივატიზებასთან დაკავშირებული საკითხების სწრაფად გადაწყვეტა. რაც შეეხება თბილსრესს, მისი ენერგეტიკული სიმძლავრის ამოქმედება, ანუ ელექტროენერგიის გენერაციის გადიდების, ენერგოსისტემის სტაბილური

მუშაობის, სისტემური პარამეტრების სტანდარტების დაცვისა და ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირების პრობლემების გადაჭრა, მხოლოდ სტრატეგიული ინვესტორის

2000 წლისათვის ნავარაუდეგია 9,2 მლრდ კვტ/სთ, 2005 წლისათვის 12,8 მლრდ კვტ/სთ, და 2010 წლისათვის - 16,3 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგიის წარმოება.

მოძიების შედეგად შეიძლება დადებითად გადაწყდეს.

მსოფლიო ბანკის და სხვა ეკონომიკური ინსტიტუტების დაფინანსებული მოთხოვნით 1998 წლის 20 ივლისს საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სებ) ჩამოყალიბების ძირითადი პრინციპების შესახებ“ №421 ბრძანებულებით საქართველოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზარს ჩამოყალიბების საფუძველი შეექმნა. მაგრამ დასახულ ვადებში ბაზრის ამოქმედება ვერ მოხერხდა. ბაზარმა ფუნქციონირება დაიწყო 1999 წლის 1 ივლისიდან. ბაზრის მუშაობა არის მსოფლიო ბანკის მიერ სოლიდური კრედიტის მიღების ერთ-ერთი მთავარი წინაპირობა. ფუნქციონირება ხორციელდება ელექტროენერგიისა და ბუნებრივი გაზის შესახებ საქართველოს კანონის და საბაზრო წესების საფუძველზე საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის დამტკიცებით.

ბაზარი არსებობს ასოციაციის წევრების მიერ საწევრო შენატანების საფუძველზე. თანხების მოძრაობა არის გამჭვირვალე. აქვს ტრანსფერტული ანგარიში, რომელზეც ირიცხება ელექტროენერგიის ღირებულების თანხები. თანხების გადარიცხვა ხორციელდება „საქართველოს ელექტრობაზრის სპეციალური ტრანსფერტული ანგარიშსწორების შესახებ“ ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული ბრძანების საფუძველზე.

საქართველოს ელექტროენერგეტიკის საბითუმო ბაზარში გაწევრიანება სავალდებულოა:

- ყველა იურიდიული თუ ფიზიკური პირისათვის, რომლებიც მიერთებულნი არიან გადაცემის ქსელთან, ან შეუძლიათ მასთან მიერთება ელექტროენერგიის მიწოდების მიზნით და რომელთაც აქვთ წარმოების ლიცენზია;
- ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომლებიც იღებენ ელექტროენერგიას მიწოდების წერტილზე გაყიდვის მიზნით, და რომელთაც აქვთ განაწილების ლიცენზია;
- ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომლებიც მიერთებულნი არიან ან შეუძლიათ მიწოდების წერტილთან მიერთება მხოლოდ ელექტროენერგიის მოხმარების მიზნით;
- ყველა ფიზიკური და იურიდიული პირისათვის, რომლებიც იღებენ ელეტროენერგიას მიწოდების წერტილზე განაწილების ლიცენზიატისთვის, პირდაპირი მომხმარებლისათვის, ან უცხოელი პარტნიორისათვის მიყიდვის მიზნით და იმ პირებისათვის, რომელთაც მიეცათ იმპორტით ან ექსპორტით ვაჭრობის ლიცენზია.

საქართველოს ელექტროენერგიის ბაზრის წევრად გახდომის უფლება აქვთ მხოლოდ საქართველოში რეგისტრირებულ იურიდიულ ან ფიზიკურ პირს.

ბაზრის წევრების რაოდენობა დღესდღეობით შეადგენს 5 მსხვილ სახელმწიფო კომპანიას, 23 ელექტროსადგურს, 78 გამანაწილებელ კომპანიას, 50 პირდაპირ მომხმარებელს.

საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს და საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიას საქართველოს პრეზიდენტის № 370 1999 წლის 13 ივნისის ბრძანებულების საფუძველზე დაევალათ ზომების მიღება, რათა ელექტროენერგეტიკული სექტორის კომპანიებმა 1999 წლის 1 ივლისამდე არსებულ კანონმდებლობას შეუსაბამონ თავიანთი წესდებები, კონტრაქტები, აგრეთვე ანგარიშსწორებასთან დაკავშირებული ურთიერთობები, განახორციელონ ელექტროენერგიის წარმოების, გადაცემის, იმპორტის, ექსპორტის, მოხმარების აღრიცხვის მოსაწესრიგებლად გადაუდებელი, პირველი რიგის სამუშაოები. 1999 წლის 1 ივლისისთვის მოქმედებდა 180-ზე მეტი პირდაპირი კონტრაქტი. საქართველოს ელეტროენერგეტიკის საბითუმო ბაზარმა საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელ კომისიასთან ერთად შეძლო შესაბამისობაში მოეყვანა სულ 30-მდე პირდაპირი კონტრაქტი, აქედან 13 გენერაციის და 3 გადაცემის.

ბაზარმა მუშაობა ნულოვანი საწყისი პირობებით დაიწყო, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არანაირი ვალი არ გააჩნია. გადახდის უნარიანობა, უკანასკნელი სამი თვის განმავლობაში შემდეგნაირად აისახა: რაიონების გადახდა დაუკმაყოფილებელ დონეზეა, AES-თელასი უკეთესად იხდის. არაფერს იხდიან დიდი სამრეწველო საწარმოები: მაგალითად, ს/ს „ფერო“,

ს/ს „აზოტი“, ს/ს „მადნეული“, საქართველოს რკინიგზა და სხვები. მიუხედავად გადახდის დაბალი დონისა, პირველ თვეებში პრაქტიკულად მოხერხდა ყველა ელექტროსადგურის პერსონალის დაკმაყოფილება ხელფასებით.

დღესდღეობით, საქართველოში ზამთრის პერიოდში არსებული ელექტროენერგიის დეფიციტის გამო ბაზარი არის რეგულირებადი, რაც ნიშნავს ტარიფების რეგულირებას და მწარმოებლის და მომხმარებლის თანაბარ პირობებში ჩაყენებას. მაგრამ დეფიციტის აღმოფხვრის კვალობაზე აუცილებლად მოხდება ბაზრის მსვლელობა თავისუფალი კონკურენციისა და ფასწარმოქმნისაკენ.

სათბობ-ენერგეტიკულ კომპლექსში ადრე გატარებულმა არარაციონალურმა პოლიტიკამ, რაც იაფი ენერგორესურსების იმპორტისათვის უპირატესობის მინიჭებისა და ადგილობრივი რესურსების გამოყენების უგულებელყოფაში გამოიხატა, გარკვეული დაღი დასვა ამ სექტორში მიმდინარე პროცესებს. თუმცა, თავისი უნიკალური ადგილმდებარეობის გამო, საქართველოს ტერიტორია შეიძლება გამოყენებულ იქნას, როგორც ელექტროენერგიის სატრანზიტო ქვეყანა რუსეთსა და თურქეთს, რუსეთსა და სომხეთს, აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის. არსებული ხაზები საქართველოს გავლით თურქეთსა და სომხეთს შორის უკვე აღდგენილია. საქართველო აგრეთვე დაკავშირებულია აზერბაიჯანთან და რუსეთთან მაღალი ძაბვის ხაზებით.

ენერგეტიკული დერეფნის ფუნქციის შესრულება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ქვეყნის ინტეგრაციას რეგიონალურ და გლობალურ ეკონომიკურ ურთიერთობათა სისტემაში. რაც ქვეყანაში პოლიტიკური სტაბილურობის მნიშვნელოვან ეკონომიკურ პირობას წარმოადგენს.

„საქენერგომ“ რაც შეიძლება სწრაფად უნდა დაიწყოს მოლაპარაკებები მეზობელი ქვეყნების ენერგოკომპანიებთან, იმ მიზნით, რომ არსებული ტექნიკური შესაძლებლობების ფარგლებში აწარმოოს ელექტროენერგიის რეექსპორტი, რეგიონალური ბაზრის მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად.

ენერგეტიკული დერეფნის ფორმირების პროცესში ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, რომ საქართველო არ გახდეს მხოლოდ მარტივი ტრანზიტის ფუნქციის შემსრულებელი, რადგანაც ტერიტორიაზე გამავალი ენერგეტიკული შესაძლებლობები მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მრეწველობის განვითარებაზე: იქმნება ენერგიის პირველადი რესურსების ელექტროენერგიად ადგილზე გარდაქმნის შესაძლებლობები, მისი შემდგომი ექსპორტის მიზნით.

1997-98 წლებში ელექტროენერგიის ექსპორტმა შესაბამისად შეადგინა 11936,3 ათასი და 10668,7 ათასი აშშ დოლარი, რაც მთლიანი ექსპორტის 5 და 5,5%-ია. მაშინ, როდესაც უზარმაზარი ჰიდრორესურსების გათვალისწინებით საქართველოს გაზაფხული-ზაფხულის პერიოდში დამატებითი და გარკვეულ დონეზე უფრო იაფი ელექტროენერგიის წარმოება შეუძლია, რითაც დიდად არიან დაინტერესებულნი მეზობელი ქვეყნები. მაგალითად, ელექტროენერგიის მოთხოვნამ თურქეთში 2000 წელს შეიძლება 134 მლნ კილოვატსაათს მიაღწიოს, ხოლო 2010 წლისთვის 290 მლნ კილოვატსაათს. დღეს აზერბაიჯანი და თურქეთი ამზადებს ერთობლივ პროექტს საკუთარი ელექტროძალების ინტეგრაციისათვის, რათა საქართველოს დახმარებით დანერგონ ერთიანი უნიფიცირებული სისტემა. რაც შეეხება სომხეთს, იქ 1998 წელს ელექტროენერგიის წარმოება აღემატებოდა მის მოხმარებას.

ამავე დროს, საქართველოს ენერგოსისტემის ტექნიკური პარამეტრები და მისი გეოგრაფიული განლაგება ფრიად ხელსაყრელს ხდის საგარეო გადახდისუნარიან ბაზარზე, პირველ რიგში თურქეთის და აზერბაიჯანის ენერგობაზრებზე გადაორიენტაციას. საკითხის ამგვარი დაყენება მისაღებია საზღვარგარეთელი ინვესტორებისათვის და მიზანშეწონილია ექსპორტი წარმოებდეს თბილისის სრესის სიმძლავრეთა სრული გამოყენების ხარჯზე. თურქეთში ელექტროენერგიის საკმაოდ მაღალი ტარიფია და ამ ქვეყანაში საქართველოდან ელექტროენერგიის ექსპორტის ტრადიციაც არსებობს.

ამ მეთოდის საფუძველზე ჩატარებულმა გათვლებმა გვაჩვენა, რომ ექსპორტირებულ პიკურ ელექტროენერგიაზე ტარიფმა შეიძლება გაცილებით მეტი შეადგინოს, ვიდრე იმპორტირებულ ბაზისურ ელექტროენერგიაზე. ხოლო იმპორტირებული ღამის ჩავარდნის ელექტროენერგია კი არ აღემატება ბაზისური ელექტროენერგიის ტარიფის ნახევარს.

თავისთავად, წყალუხვობის პერიოდში მეზობელ ქვეყნებში ელექტროენერგიის ექსპორტი ბიუჯეტში გარკვეულ დამატებით თანხებს შესძენს, რომლებიც შემდგომში შეიძლება როგორც ენერგეტიკის რეაბილიტაციის პროგრამებს, ასევე სოციალური პრობლემების გადაჭრას მოხმარდეს.

რაც შეეხება შემოდგომა-ზამთრის პერიოდს, როდესაც ენგურზე და მცირე და საშუალო სიდიდის ჰესებზე კლებულობს წყლის მარაგები, ხოლო თბილსრესის საბოლოოდ ამუშავება ჯერ კიდევ ვერ მოხერხდა, სიტუაცია იძულებულს გვხდის მოვახდინოთ ელექტროენერგიის იმპორტი მეზობელი ქვეყნებიდან, კერძოდ სომხეთიდან და მცირეოდენი აზერბაიჯანიდან, რომლის ბაზისური ენერგიის ტარიფი 4 ცენტს აღწევს. რა თქმა უნდა გაცილებით ხელსაყრელი იქნებოდა იმპორტი აზერბაიჯანიდან შეგვეცვალა საკუთარი მცირე ჰესების გამომუშავებით. თუმცა, მათ აღდგენას გარკვეული რაოდენობის თანხები და დრო სჭირდება. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ

უცხოელი ინვესტორები და ენერგეტიკული კომპანიები დიდ სურვილს გამოთქვამენ მათი რეაბილიტაციის და ახალი მცირე ჰესების მხარდაჭერისათვის. იცნობენ რა, საქართველოს ძლიერ ჰიდროენერგეტიკულ პოტენციალს, უპირველეს აუცილებლობად მიიჩნევენ ადგილობრივი, განახლებადი ბუნებრივი რესურსების ათვისებას. რადგანაც საქართველოში წყალი იაფი რესურსია და მასზე მოთხოვნა მუდამ მზარდი იქნება. თუმცა, ყოველივე ამისათვის პირველ რიგში, სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაა საჭირო, რაც უმთავრესად შემოიფარგლება არსებული ენერგეტიკული სიმძლავრეების რეაბილიტაციით და მათი ტექნიკური გადაიარაღებით. ამასთან, ენერგორესურსებით ქვეყნის მომარაგების გაუმჯობესება უნდა მოხდეს ძირითადად ადგილობრივი რესურსების ხარჯზე. ამ მიზნით ენერგორესურსების წარმოების მოცულობის გაზრდასთან ერთად უნდა მოხდეს ძირითადად განაწილებისა და მიწოდების მექანიზმების სრულყოფა, ენერგოდამზოგ ღონისძიებათა მხარდაჭერა და სტიმულირება.

1999-2005 წლებში მიზანშეწონილია ელექტროენერგიაზე მოსახლეობისათვის მისაწვდომი ტარიფების დანესება, რომელიც ელექტროენერგიის მოხმარების ეკონომიის მექანიზმების სრულყოფასთან ერთად „საქენერგოსა“ და ელექტროკომპანიების სრულ დანახარჯებსაც გაითვალისწინებს. ამასთან, მოსახლეობის სოციალურად დაუცველი ფენებისათვის უნდა დაწესდეს შეღავათები. 2005 წლამდე ძირითადი ენერგეტიკული სიმძლავრეების გადაიარაღებასთან ერთად უნდა დაიწყოს ახალი ობიექტების მშენებლობა. 2010 წლამდე სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსის განვითარებაში ძირითადი პრიორიტეტი უნდა მიენიჭოს ახალ ენერგეტიკულ მშენებლობებსა და სათბობის ახალი მარაგების ინტენსიური დაძიების სამუშაოებს, რადგანაც ენერგორესურსების მოხმარების დონეების ენერგობალანსის ძირითად რესურსებად კვლავ ნავთობპროდუქტები და ბუნებრივი გაზი რჩება.

2000 წლისათვის ნავარაუდებია 9,2 მლრდ კვტ/სთ, 2005 წლისათვის 12,8 მლრდ კვტ/სთ და 2010 წლისათვის - 16,3 მლრდ კვტ/სთ ელექტროენერგიის წარმოება (იხ. დიაგრამა №3). ამ მოთხოვნილებათა დაფარვა უნდა მოხდეს, როგორც სადგურთა რეაბილიტაციით, ასევე ისეთი ახალი სადგურების მწყობრში შეყვანით, როგორიცაა ხუდონჰესი, ნამახვანის ჰესების კასკადი და მთელი რიგი მცირე ჰესები.

ასე რომ, უახლოეს პერიოდში საქართველოში ელეტროენერგეტიკის განვითარების რეალური შანსები არსებობს, მხოლოდ აუცილებელია, მათი გააზრებულად გამოყენება და რაციონალური პოლიტიკის გატარება. ეს მოიცავს, როგორც ტარიფების მსოფლიო სტანდარტულ დონეზე აყვანას, ასევე ქვეყანაში დღევანდელი სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებას, ინვესტორების მოძიების მიზნით ენერგოობიექტების პრივატიზებას და ამავე დროს სტრატეგიული მნიშვნელობის ობიექტების შენარჩუნებას და ა.შ. საქართველოში ელექტროენერგეტიკის დარგის განვითარებამ საფუძველი უნდა დაუდოს სხვა დარგების რეაბილიტაციას და აქედან გამომდინარე მნიშვნელოვანი წვლილი უნდა შეიტანოს მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში. დღეს კი, აუცილებელია იმ ხარვეზების საფუძვლიანი გამოსწორება, რომლებსაც წლების განმავლობაში ჰქონდა ადგილი, ანუ იმ მცირე ჰესების რეაბილიტაცია, რომლებიც 1955 წლამდე მუშაობდნენ და შემდგომში, ცენტრალიზებული დაგეგმვის გამო, შეწყვიტეს ფუნქციონირება; კრედიტების რაციონალური განაწილება; პრივატიზების პროცესის წარმატებულად დამთავრება და ა.შ. მხოლოდ, ამის შემდეგ, შესაძლებელი გახდება ელექტროენერგეტიკის სექტორის განვითარების პერსპექტივებზე საუბარი.

დანართი №1

ელექტროენერგიის ტარიფები ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში 1999 წლის 4 ივნისის მდგომარეობით

ქვეყანა	ტარიფი ($)
რუსეთი (მოსკოვი)	1.2
უკრაინა	2.8
ბელორუსია	2.0
სომხეთი	5.0
აზერბაიჯანი	2.0
ლიტვა	6.5
ლატვია	5.5
ესტონეთი	4.5
უზბეკეთი	0.6
ყაზახეთი	3.0
ყირგიზეთი	0.6
საქართველო	4.5

კესებიდან გაცემული ელექტროენერგიის საბითუმო ტარიფი კვტ/სთ-ში:

„საქენერგოგენერაცია“ (ენგურჰესი და ვარდნილჰესი)	1.4 თეთრი	აჭიჰესი	3.0 თეთრი
ვარციხეჰესების კასკადი	1.5 თეთრი	დაშბაშჰესი	3.0 თეთრი
ხრამჰესი-I	1.7 თეთრი	დმანისჰესი	3.0 თეთრი
ხრამჰესი-II	1.7 თეთრი	თბილისჰესი	3.0 თეთრი
გუმათჰესის კასკადი	1.8 თეთრი	კაბალაჰესი	3.0 თეთრი
ლაჯანურჰესი	1.8 თეთრი	კახეთჰესი	3.0 თეთრი
რიონჰესი	1.8 თეთრი	ყინაბაშჰესი	3.0 თეთრი
ძევრულჰესი	1.8 თეთრი	ურხუჰესი	3.0 თეთრი
შაორჰესი	1.9 თეთრი	მარტყოფჰესი	3.0 თეთრი
ზაჰესი	2.0 თეთრი	მაშავერაჰესი	3.0 თეთრი
ჟინვალჰესი	2.2 თეთრი	მაჭახელაჰესი	3.0 თეთრი
ჩითახევჰესი	2.2 თეთრი	მესაქციელაჰესი	3.0 თეთრი
აწჰესი	2.6 თეთრი	რიცვულაჰესი	3.0 თეთრი
ბჟუჰესი	2.6 თეთრი	სანალიაჰესი	3.0 თეთრი
თეთრიხევიჰესი	2.6 თეთრი	სქურიჰესი	3.0 თეთრი
ორთაჭალჰესი	2.6 თეთრი	ტირიფონჰესი	3.0 თეთრი
ალბანჰესი	2.8 თეთრი	შიდა ქართლის ენერგორესურსები (ძამაჰესი, არბოჰესი)	3.0 თეთრი
საცხენისჰესი	2.8 თეთრი	ხერთვისჰესი	3.0 თეთრი
სიონჰესი	2.8 თეთრი	ჩხოროწყუჰესი	3.0 თეთრი
აბჰესი	3.0 თეთრი		

- თბილსრესის მიერ გაცემული ელექტროენერგიის საბითუმო ტარიფი 7.9 თეთრი კვტ/სთ-ზე
- თბილთეცის მიერ გაცემული ელეტროენერგიის საბითუმო ტარიფი 19 თეთრი თეთრი კვტ/სთ-ზე და თბოენერგიის საბითუმო ტარიფი 9 თეთრი კვტ/სთ-ზე

ტარიფი ელექტროენერგიის გადაცემისათვის ძაბვების მიხედვით:

მომსახურების მიმღები	მომსახურების გამწევი	
	საქ. ელექტრო-გადაცემა	საქრუსენერგო
გამანაწილებელი ენერგოკომპანია		
1. AES 35-110 კვტ	1.0	0.25
2. დუშეთის ენერგო-კომპანია 35-110 კვტ	1.05	0.35
3. სხვა გამანაწილებე-ლი კომპანიები 6-10 კვტ	1.25	0.35
პირდაპირი მომხმარებლები (თბილისის გარდა)		
• 35-110 კვტ	1.3	0.35
• 6-10 კვტ	1.5	0.35

- ერთიანი ენერგოსისტემის დისპეტჩერიზაციისათვის – 0.35 თეთრი კვტ/სთ (გარდა თბილისისა და დუშეთისა);
- AES-თელასისათვის – საშუალო შეწონილი 3.2 თეთრი კვტ/სთ. მათ შორის:
  - 110-35 კვტ ძაბვაზე – 1.4 თეთრი კვტ/სთ (მოხმარების 4%);
  - 6-10 კვტ ძაბვაზე – 2.4 თეთრი კვტ/სთ (მოხმარების 12%);
  - 380-220 ვოლტ ძაბვაზე – 3.4 თეთრი კვტ/სთ (მოხმარების 84%);
- დუშეთის ენერგოკომპანიისათვის:
  - 380/220 ვოლტ ძაბვაზე – 2.55 თეთრი კვტ/სთ;
  - 6-110 კვტ ძაბვაზე – 1.55 თეთრი კვტ/სთ.

ელექტროენერგიის ტარიფი მომხმარებლებისათვის (თეთრი კვტ/სთ)

მომხმარებლები ძაბვების მიხედვით	ხულ	მათ შორის					
		წარ-მოება	იმ-პორტი	საქელ ექტრო გადაც ემა	საქრუ სენერგ ო	დისპეტ ჩერიზა ცია	ენერგოგა მანაწ. კომპანია
თბილისი:							
1. 380/220 ვოლტი	9.0	3.5	0.5	1.0	0.25	0.35	3.4
2. 6-10 კვტ	8.0	3.5	0.5	1.0	0.25	0.35	2.4
3. 35-110 კვტ	7.0	3.5	0.5	1.0	0.25	0.35	1.4
დუშეთი:							
1. 380/220 ვოლტი	8.3	3.5	0.5	1.05	0.35	0.35	2.55
2. 6-10 კვტ	7.3	3.5	0.5	1.05	0.35	0.35	1.55
საქართველოს რეგიონები: 380/220 ვოლტი	8.3	3.5	0.5	1.25	0.35	0.35	2.35
პირდაპირი მომხმარებლები (თბილისის გარდა):							
1. 35-110 კვტ	6.0	3.5	0.5	1.3	0.35	0.35	–
2. 6-10 კვტ	6.2	3.5	0.5	1.5	0.35	0.35	–

შენიშვნა:

1. თბილისის 35-110 კვტ-ის ქსელის მომხმარებელია პირი, რომელიც ფლობს 35-110 კვტ-ის ქვესადგურს, რაც არ შედის "აი-ი-ეს თელასის" აქტივებში და ელექტროენერგიას მოიხმარს საკუთარი საჭიროებისათვის.
2. თბილისის და დუშეთის 6-10 კვტ ქსელის მომხმარებელია პირი, რომელიც ფლობს 6-10 კვტ-იან ეგხ-ს და სატრანსფორმატორო ქვესადგურს, რაც არ შედის გამანაწილებელი კომპანიების აქტივებში და ელექტრონერგიას მოიხმარს საკუთარი საჭიროებისათვის.
3. იმ მომხმარებლის ტარიფი, რომელიც არ არის ასახული ცხრილში დგინდება ორივე მხარის მიერ (მიმწოდებელი მომხმარებელი მიერ სემეკ-ში) წარდგენილი განაცხადის საფუძველზე დადგენილი წესით.

დანართი № 2

პრივატიზებული ჰესების მონაცემები

„აბჰესი“

მდებარეობს მარტვილის რაიონში, პრივატიზებულია 1995 წლის 3 მაისს შრომით კოლექტივზე პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად. პრივატიზებამდე ჰესი არ მუშაობდა, აღდგენაზე დაიხარჯა 14 ათ. ლარი, სიმძლავრემ შეადგინა 1,75 მგვტ, ხოლო პრივატიზაციის შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1995 წელს - 2.5 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 4.2 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 2.79 მლნ კვტ/სთ.
დასაქმებულია 14 კაცი, საშუალო ხელფასია 85,5 ლარი.
აუნაზღაურებელი სახსრები შეადგენს 45 ათასს ლარს, მთლიანად „საქენერგოს“ მხრიდან.

„ალაზანჰესი“

მდებარეობს გურჯაანის რაიონში. პრივატიზებულია 1995 წლის 20 მარტს შრომით კოლექტივზე პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად.
ჰესის სიმძლავრე პრივატიზებამდე იყო 2 მგვტ. პრივატიზების შემდეგ მისი სიმძლავრე გაიზარდა 3 მგვტ-მდე. წელის უკმარისობის გამო მუშაობს მხოლოდ ერთი აგრეგატი, მეორე აგრეგატი მზადყოფნაშია.
პრივატიზებამდე ჰესი გამოიმუშავებდა 10 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას, ხოლო პრივატიზაციის შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1995 წელს - 10,3 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 10,1 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 11,7 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე ჰესზე დასაქმებული იყო 18 კაცი, საშუალო ხელფასით 18 ლარი. ამჟამად დასაქმებულია 24 კაცი, საშუალო ხელფასია 95 ლარი.
აუნაზღაურებელი სახსრები შეადგენს 61,2 ათ. ლარს „საქენერგოს“ მხრიდან, სხვადასხვა მომხმარებელის მხრიდან კი - 81 ათ. ლარს.

„ბჟუჟჰესი“

მდებარეობს ოზურგეთის რაიონში. სააქციო საზოგადოებად ობიექტი დაფუძნებული იქნა სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1994 წლის 1 აგვისტოს.
საწესდებო კაპიტალი შეადგენს 102 000 აშშ დოლარს. აქციათა საკონტროლო პაკეტი (50,17%) პირდაპირი მიყიდვის წესით შეისყიდა შრომითი კოლექტივის საფუძველზე შექმნილმა ამხანაგობამ, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად. შრომითი კოლექტივის წევრებზე უფასოდ გაცემულია 1563 აშშ დოლარის ღირებულების აქციები. საბარათო აუქციონზე გაიყიდა აქციათა 23,65%, 37650 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების საარივატიზებო ბარათზე. 25 146 აშშ დოლარის ღირებულების აქციები (24,65%) გაიყიდა ნულოვან აუქციონზე.
ჰესის სიმძლავრე პრივატიზამდე იყო 10,5 მგვტ-ს. რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 12 ათ. ლარი და პრივატიზების შემდეგ სიმძლავრემ შეადგინა 12 მგვტ.
პრივატიზებამდე ჰესი გამოიმუშავებდა 36 მლნ კვტ/სთ ელექტრენერგიას, ხოლო პრივატიზების შემდეგ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა:
1995 წელს - 49 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 44,4 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 55 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე ჰესზე დასაქმებული იყო 19 კაცი, საშუალო ხელფასით 22 ლარი. ამჟამად დასაქმებულია 37 კაცი, საშუალო ხელფასია 130 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 61,2 ათ. ლარი, მათ შორის სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან 1,7 მლნ ლარი, „საქენერგოს“ მხრიდან კი - 370,0 ათ. ლარი.

„დაშბაშჰესი“

მდებარეობს წალკის რაიონში. პრივატიზებულია 1995 წლის 29 მაისს შრომით კოლექტივზე პირდაპირი

მიყიდვის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად.
ჰესის სიმძლავრე შეადგენს 1,2 მგვტ. პრივატიზებამდე გამოიმუშავებდა 0,24 მლნ კვტ.სთ ელექტრენერგიას, ხოლო პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1995 წელს - 1.8 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 2,1 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 2,0 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე ჰესზე დასაქმებული იყო 10 კაცი, საშუალო ხელფასით 21 ლარი. ამჟამად დასაქმებულია 12 კაცი, საშუალო ხელფასია 184,5 ლარი.
აუნაზღაურებელი სახსრები შეადგენს 89.1 ათ. ლარს, მათ შორის სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან 76,3 ათ. ლარს, „საქენერგოს“ მხრიდან კი - 12,8 ათ. ლარს.

„დმანისის ჰესი“

მდებარეობს დმანისის რაიონში. პრივატიზებულია 1995 წლის 1 ნოემბერს კონკურსის წესით.
ჰესი პრივატიზებამდე არ მუშაობდა, პრივატიზების შემდეგ მისი სიმძლავრე შეადგენს 0,45 მგვტ-ს. პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1996 წელს - 0,35 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 1,35 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 12 კაცი, საშუალო ხელფასია 45 ლარი. აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 35.0 ათ. ლარი, მთლიანად „საქენერგოს“ მხრიდან.

„თეთრიხევიჰესი“

მდებარეობს ქობილისში, პრივატიზებულია 1995 წლის 16 მარტს შრომით კოლექტივზე პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად.
ჰესი პრივატიზებამდე არ მუშაობდა, მის რეაბილიტაცია-აღდგენაზე გაიხარჯა 348 ათ. ლარი.
პრივატიზების შემდეგ მისი სიმძლავრე შეადგენს 13 მგვტ-ს, ხოლო პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1995 წელს - 3,7 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 13,7 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 26,0 მლნ კვტ/სთ.
დასაქმებულია 23 კაცი, საშუალო ხელფასია 206 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 12 ათ. ლარი, მთლიანად სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან.

„იგოეთჰესი“

მდებარეობს კასპის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წლის 29 ნოემბერს კონკურსის წესით.
ჰესი პრივატიზებამდე არ მუშაობდა, აღდგენაზე დახარჯულია 65,417 ათ. ლარი, შედეგად სიმძლავრემ შეადგინა 1.2 მგვტ.
პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1994 წელს - 0,7 მლნ კვტ/სთ;
1995 წელს - 3,9 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 0,2 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 1,5 მლნ კვტ/სთ.
ჰესი მუშაობს ავტონომიურ რეჟიმში 0,25 მგვტ სიმძლავრით. წარმოებული ელექტროენერგია მიეწოდებათ შემდეგ სოფლებს: იგოეთს, მრგვალიჭალას, თეკზს, ოკამს, სამთავისს, ქვემოჭალას, რენეს, კოდისწყაროს. „იგოეთჰესი“-ს მიერ ელექტროენერგიის გამომუშავება ხდება სარწყავი სისტემიდან მიღებული წყლის მეშვეობით, ამიტომ რაიონის ხელმძღვანელობასა და მოსახლეობასთან შეთანხმებით სადგური მუშაობას წყვეტს ზაფხულის პერიოდში და მოქმედებას იწყებს სექტემბრის თვიდან. 1996 წელიდან არხის დაზიანების გამო ჰესი არ მუშაობდა.
პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 8 კაცი, საშუალო ხელფასია 105,6 ლარი.
ჰესის აუნაზღაურებელი სახსრები შეადგენს 10,1 ათ. ლარს, მთლიანად „საქენერგოს“ მხრიდან.

„კაბალჰესი“

მდებარეობს ლაგოდეხის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წლის 11 ივნისს აუქციონის წესით.

ჰესი პრივატიზებამდე არ მუშაობდა, ჩაუტარდა აღდგენითი სამუშაოები, რეაბილიტაციაზე დაიხარჯა 83,0 ათ. ლარი, სიმძლავრემ შეადგინა 1,5 მგვტ. პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1995 წელს - 0,95 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 1,9 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 2,1 მლნ კვტ/სთ.
დასაქმებულია 23 კაცი, საშუალო ხელფასია 118 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 42 ათ. ლარი, სხვადასხვა მომხმარებლიდან.

„კახარეთჰესი"

მდებარეობს ადიგენის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წლის 29 ივნისს კონკურსის წესით.
ჰესი გაჩერებულია 1972 წლიდან, მყიდველმა ნაგარა აღდგენითი სამუშაობი, ჰესის რეაბილიტაციაზე დახარჯულია 1 მლნ ლარი. ჰესის ექსპლუატაციაში გაშვება დაგეგმილი იყო 1997 წლის ბოლოსთვის.

„მარტყოფჰესი"

მდებარეობს გარდაბანის რაიონში. პრივატიზებულია 1994 წლის 24 აპრილს კონკურსის წესით.
აღნიშნული ობიექტი პრივატიზებამდე 1990 წლიდან გაჩერებული იყო. ჰესის აგრეგატები პრაქტიკულად მთლიანად გაძაცცული იყო. სადგურების აღდგენა მოხდა ახალ მესაკუთრეთა ძალებით. რეაბილიტაცია-აღდგენაზე დაიხარჯა 240,6 ათ. ლარი. იგი ექსპლუატაციაში შეკიდა 1995 წლის ივლისიდან და 2 წლის მანძილზე გამოიმუშავა 9.9 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგია.
პრივატიზაციის შემდეგ გამომუშავებულ იქნა:
1996 წელს - 4,5 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 5,4 მლნ კვტ/სთ.
დაიდო ხელშეკრულებები „საქენერგოსთან" და რკინიგზის დეპარტამენტთან ელექტროენერგიის მიწოდებაზე.
გარემოს დაცვის მიზნით გატარდა შესაბამისი ღონისძიებები. 1995 წლის ივლისის თვიდან ჰესში შეიქმნა სამუშაო ადგილები. ამჟამად დასაქმებულია 21 კაცი, საშუალო ხელფასით 158 ლარი.
ჰესის საპროექტო სიმძლავრე იყო 3,8 მგვატი. ამჟამად აღნიშნული სიმძლავრე შენარჩუნებულია, ჰესი მწყობრშია და მისი საპროექტო სიმძლავრეზე გასვლა დამოკიდებულია წყლის მიწოდებაზე.
„მარტყოფჰესის" აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 71,5 ათ. ლარი სხვადასხვა მომხმარებლიდან.

„მისაქციელჰესი"

მდებარეობს მცხეთის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წელს კონკურსის წესით.
გაწეულია მნიშვნელოვანი სარეაბილიტაციო სამუშაობი. აღნიშნული სამუშაობის ჩატარებისათვის დაიხარჯა 163,0 ათ. ლარი. სიმძლავრე 1 მგვტ-დან გაიზარდა 2,75 მგვტ-მდე. ჰესი პრივატიზებამდე არ მუშაობდა. პრივატიზების შემდეგ იგი აღდგენილია და ფუნქციონირებს.
წლების მიხედვით მის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1994 წელს - 4,64 მლნ კვტ/სთ;
1995 წელს - 1.87 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 3,67 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 4,31 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 10 კაცი, საშუალო ხელფასია 60 ლარი.
„მისაქციელჰესის" აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 126 ათ. ლარი, მათ შორის „საქენერგოს" მხრიდან 34 ათ. ლარი, 92 ათ. ლარი კი - სხვადასხვა მომხმარებლიდან.

„ორბელჰესი"

მდებარეობს ცაგერის რაიონში, პრივატიზებულია 1994 წლის 12 დეკემბერს პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად.
ჰესი არ მუშაობს და ობიექტის პრივატიზების დღიდან მყიდველის მიერ არ არის შესრულებული არც ერთი საკონკურსო პირობა. რამდენიმე გაფრთხილებისა მიუხედავად არ არის გადახდილი დარიცხული თანხა და არც ჯარიმა 10%-ის ოდენობით.
ამდენად, სამინისტროს მიერ უკვე დაისვა საკითხი პრივატიზების შედეგების გაუქმების შესახებ.

„რიცვულაჰესი"

მდებარეობს ამბროლაურის რაიონში. პრივატიზებულია 1995 წლის 25 მაისს შრომით კოლექტივზე პირდაპირი მიყიდვის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად.
პრივატიზებამდე ჰესი არ მუშაობდა 20 წლის განმავლობაში, პრივატიზების შემდეგ დაიწყო მისი აღდგენითი სამუშაოების ჩატარება.

„რიცვულაჰესის" საცდელის გაშვება მოხდება 1996 წლის 15 დეკემბერს. სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის დაიხარჯა 200 ათ. ლარი. შედეგად ჰესის სიმძლავრემ 3,5 მგვტ-ს მიაღწია, ხოლო აღდგენის შემდეგ გამომუშავებულმა ელექტროენერგიამ შეადგინა:
1996 წელს - 2 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 13 მლნ კვტ/სთ.
დასაქმდა 16 კაცი, საშუალო ხელფასი 70 ლარი.
დღეისათვის აუნაზღაურებელმა სახსრებმა მხოლოდ „საქენერგოს" მხრიდან შეადგინა 140,6 ათ. ლარი.

„საცხენჰესი"

მდებარეობს გარდაბნის რაიონში. პრივატიზებულია 1994 წლის 24 აპრილს კონკურსის წესით.
ჰესში დადგმული იყო 2 აგრეგატი საერთო სიმძლავრით 14 მგვტ. პრივატიზებამდე დაზიანებული იყო №1 ჰიდროაგრეგატი. პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1994 წელს - 29,0 მლნ კვტ/სთ;
1995 წელს - 23,7 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 7.4 მლნ კვტ/სთ;
1997 წლის 8 თვეში - 28.7 მლნ კვტ/სთ.
დღეისათვის ელექტროსადგურის ორივე აგრეგატი მუშა მდგომარეობაშია. ელექტროენერგია მიეწოდება სოფელ მარტყოფს, ვაზიანს, სართიჭალას, ახალსოფელს, ვაზიანში არსებულ სამხედრო ნაწილს.
ელექტროენერგიის მიწოდებაზე ხელშეკრულება დადებულია საქენერგოსთან. ელექტროსადგურში დასაქმებული იყო 31 თანამშრომელი, საშუალო ხელფასით 12 ლარი, ამჟამად დასაქმებულია 35 კაცი, რომელთა საშუალო ხელფასი 90 ლარს შეადგენს.
„საცხენისიჰესის" აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 516,2 ათ, ლარი, მათ შორის „საქენერგოს" მხრიდან 69,4 ათ. ლარი, სხვადასხვა მომხმარებლიდან კი - 446,8 ათ.ლარი.

„ხიონჰესი"

მდებარეობს თიანეთის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წლის 16 ივლისს კონკურსის წესით. ჰესს ჩაუტარდა 328,55 ათ. ლარის მოცულობის აღდგენითი სამუშაოები. ჰესის სიმძლავრეა 9 მგვტ.
პრივატიზებამდე ჰესი გამოიმუშავებდა 10 მლნ. კვტ/სთ ელენერგიას, ხოლო პრივატიზაციის შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგიის რაოდენობა შეადგენს:
1993 წელს - 1,5 მლნ კვტ/სთ;
1994 წელს - 11,3 მლნ კვტ/სთ;
1995 წელს - 11,8 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 18,6 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 24,1 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე დასაქმებული იყო 9 კაცი, საშუალო ხელფასით 16 ლარი, ხოლო პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 9 კაცი, საშუალო ხელფასით 166 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 374,4 ათ. ლარი, მათ შორის, „საქენერგოს" მხრიდან 156,1 ათ. ლარი, 281,3 ათ. ლარი კი - სხვადასხვა მომხმარებლიდან.

„ხეურჰესი"

მდებარეობს წალენჯიხის რაიონში. პრივატიზებულია 1996 წლის 28 ივნისს კონკურსის წესით. ჰესის რეაბილიტაცია-აღდგენაზე დაიხარჯა 6,5 ათ. ლარი.
ჰესის სიმძლავრე პრივატიზებამდე შეადგენდა 0,4 მგვტ-ს, პრივატიზების შემდეგ კი გამომუშავებული იქნა:.
1996 წელს - 3,5 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 4,0 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე დასაქმებული იყო 15 კაცი, საშუალო ხელფასით 20 ლარი, ხოლო პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 15 კაცი, საშუალო ხელფასით 80 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 63 ათ. ლარი, მთლიანად „საქენერგოს" მხრიდან.

„სულორჰესი"

მდებარეობს ვანის რაიონში. პრივატიზებულია 1995 წლის 18 მარტს კონკურსის წესით. მყიდველის მიერ არ იქნა შესრულებული საკონკურსო პირობები, რის გამოც დაჯარიმდა ღირებულების 10%-ით, რაც მყიდველს არ გადაუხდია.
ჰესი განმეორებით პრივატიზებულია 1997 წლის 28 ივლისს საინვესტიციო კონკურსის წესით. მესაკუთრემ შემდეგი ვალდებულებები აიღო: „სულორჰესის" საპროექტო სიმძლავრის გაზრდა, 1997 წლის ბოლომდე საპროექტო სამუშაოების დასრულების უზრუნველყოფა, 1998 წლის ბოლომდე ჰესის ექსპლუატაციაში გაშვება და 750 ათ. აშშ დოლარის ინვესტიციის განხორციელება.

„ტირიფონჰესი"

მდებარეობს გორის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წლის 14 მაისს კონკურსის წესით.
ჰესის სიმძლავრე შეადგენს 3 მგეტ-ს. პრივატიზებამდე ჰესი გამოიმუშავებდა 5.5 მლნ. კვტ/სთ ელექტროენერგიას.
ჰესის რეაბილიტაცია-აღდგენაზე დახარჯულია 260 ათ. ლარი. პრივატიზების შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1994 წელს - 5,0 მლნ კვტ/სთ;
1995 წელს - 6,0 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 9,0 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 10,0 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე დასაქმებული იყო 26 კაცი, საშუალო ხელფასით 11 ლარი, ხოლო პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 21 კაცი, საშუალო ხელფასია 70 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 187 ათ. ლარი, მათ შორის, სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან 55 ათ. ლარი, „საქენერგოს" მხრიდან კი - 132 ათ. ლარი.

„ჩითახევი-ბორჯომი"

მდებარეობს ბორჯომის რაიონში. სააქციო საზოგადოებად ობიექტი დაფუძნდა 1994 წლის 6 მაისს, საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 533 711 აშშ დოლარს. აქციათა საკონტროლო პაკეტი (50,2 %) პრივატიზებულია კონკურსის წესით, სახელმწიფოს მეთაურის 1994 წლის 29 მაისის №178 ბრძანებულების შესაბამისად. შრომითი კოლექტივის წევრებზე უფასოდ და ფასდაკლებით გაცემულია 2421 აშშ დოლარის ღირებულების აქციები. საბარათო აუქციონებზე გაიყიდა აქციათა 37,4 % 470 250 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების საპრივატიზებო ბარათზე.
ჰესის სიმძლავრე პრივატიზებამდე იყო 18 მგეტ და გამოიმუშავებდა 99 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას.
პრივატიზების შემდეგ ჰესის რეაბილიტაცია-აღდგენაზე დაიხარჯა 1,5 მლნ ლარი.
პრივატიზაციის შემდეგ გამომუშავებული ელექტროენერგია შეადგენს:
1994 წელს - 100,2 მლნ კვტ/სთ;
1995 წელს - 108,2 მლნ კვტ/სთ;
1996 წელს - 103,7 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 99,0 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე დასაქმებული იყო 70 კაცი, საშუალო ხელფასით 29 ლარი, ხოლო პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 68 კაცი, საშუალო ხელფასით 112 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 1,2 მლნ ლარი, მათ შორის, სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან 0,7 მლნ ლარი, „საქენერგოს" მხრიდან კი - 0,5 მლნ ლარი.

„ჩხორჰესი"

მდებარეობს ჩხოროწყუს რაიონში. სააქციო საზოგადოებად ობიექტი დაფუძნდა 1995 წელს.
საწესდებო კაპიტალი შეადგენს 178175 აშშ დოლარს. აქციათა 46,36% პრივატიზებულ იქნა 1995 წელს 25-ე საბარათო აუქციონზე 77040 აშშ დოლარის ნომინალური ღირებულების საპრივატიზებო ბარათზე. უფასოდ და ფასდაკლებით შრომითი კოლექტივის წევრებზე გაცემულია 2925 აშშ დოლარის ღირებულების აქციები. სახელმწიფო საკუთრებაში დარჩენილია აქციათა პაკეტის 52%.
ჰესის სიმძლავრე შეადგენს 5,6 მგეტ-ს. პრივატიზების შემდეგ რეაბილიტაცია-აღდგენაზე დაიხარჯა 17 ათ. ლარი. პრივატიზებამდე გამოიმუშავებდა 1,2 მლნ კვტ/სთ ელექტროენერგიას, ხოლო პრივატიზების შემდეგ გამომუშავებულ იქნა:
1996 წელს - 1,7 მლნ კვტ/სთ;
1997 წელს - 7,8 მლნ კვტ/სთ.
პრივატიზებამდე ჰესზე დასაქმებული იყო 14 კაცი, საშუალო ხელფასით 23 ლარი, ამჟამად დასაქმებულია 18 კაცი, საშუალო ხელფასით 75 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 114,3 მლნ ლარი, მათ შორის, სხვადასხვა მომხმარებლის მხრიდან 66,3 მლნ ლარი, საქენერგოს მხრიდან კი - 48 მლნ ლარი.

„ხერთვისჰესი"

მდებარეობს ასპინძის რაიონში. პრივატიზებულია 1993 წლის 16 იელისს კონკურსის წესიფ. პრივატიზებამდე ჰესი არ მუშაობდა 15 წლის განმავლობაში.
პრივატიზაციის შემდეგ რეაბილიტაციაზე დაიხარა 6,5 ათ. ლარი და მისმა სიმძლაერემ შეადგინა 0,3 მგეტ.
პრივატიზაციის შემდეგ ყოველწლიურად გამოიმუშავებს 0,2 მლნ კვტ/ სთ ელექტროენერგიას.
პრივატიზების შემდეგ დასაქმებულია 8 კაცი, საშუალო ხელფასით 45 ლარი.
აუნაზღაურებელმა სახსრებმა შეადგინა 4,85 ათ. ლარი, აქედან - 0,85 ათ. ლარი სხვადასხვა მომხმარებლისაგან, 4 ათ. ლარი კი - საქენერგოს მხრიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ეროვნული მარეგულირებელი კომისიის მასალები;
2. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტროს მასალები;
3. საქართველოს ქონების მართვის სამინისტროს მასალები;
4. ენერგეტიკის სექტორი საქართველოში. ალ. დიდებულიძე, მიხ. ჩაჩხუნაშვილი, 1998 წელი;
5. საქართველოს ენერგეტიკა და მისი განვითარების პერსპექტივები. თბილისი, 6 ივლისი, 1999 წელი;
6. საქართველოს ეკონომიკური მიმართულებები. 1999 წლის I კვარტალი, Tasic-ის მონაცემები;
7. საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ";
8. საქართველოს კანონი „ელექტროენერგეტიკის შესახებ";
9. საქართველოს ენერგეტიკის მარეგულირებელი ეროვნული კომისიის №1 დადგენილება „ელექტროენერგიის სატარიფო სისტემის მოწესრიგების შესახებ", 1999 წლის 31 მაისი;
10. საქართველოს პრეზიდენტის № 370 ბრძანებულება „ელეტროენერგეტიკისა და ბუნებრივი გაზის შესახებ" საქართველოს კანონის ამოქმედებისა და საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის ჩამოყალიბების ღონისძიებათა თაობაზე". 1999 წლის 13 ივნისი;
11. საქართველოს პრეზიდენტის № 421 ბრძანებულება „საქართველოს ელექტროენერგიის საბითუმო ბაზრის (სებ) ნამოყალიბების ძირითადი პრინციპების შესახებ". 1998 წლის 20 ივლისი;
12. საქართველოს წყლის რესურსები გ.ხმალაძე. საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი. ბიულეტენი №2 (1). 1997 წელი;
13. საქართველოს რესპუბლიკის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პირველი ინდიკატური გეგმა 1993-1995 წწ-ში. ჟურნალი „ეკონომიკა" 12-1993წ;
14. საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1996-2000 წლების ინდიკატური გეგმა. საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო;
15. საქართველოს ენერგეტიკული პოლიტიკის კონცეფცია. საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის სამინისტრო (პროექტი). სტრარტეგიულ გამოკვლევათა ცენტრი. თბილისი. 1999წ.

ცხრილი №2

„საქმიანობაშია“ ელექტრონული ფოსტა ალრიცხვის და რესურსების საფასურების ელექტრონული ბანკომფასების საკომფასურების ელექტრონული ბანკომფასების

1999 წლის 1 ივნისიდან 1 ივლისამდე

(მილ. კგ/სთ)

№	ელ.საგადასურები	იანვარი			თებერვალი			მარტი			აპრილი			მაისი			ივნისი			სულ		
		ბრუნ	ფიქრ	%	ბრუნ	ფიქრ	%	ბრუნ	ფიქრ	%	ბრუნ	ფიქრ	%	ბრუნ	ფიქრ	%	ბრუნ	ფიქრ	%	ბრუნ	ფიქრ	%
1.	ენერგეტიკა	93.00	137.33	147.7	56.00	65.36	116.7	60.00	70.95	118.4	60.00	121.41	202.36	62.00	379.00	611.1	366.00	355.09	97.02	916.00	1069.55	201.4
2.	ფოლადი	20.00	32.49	162.4	15.00	22.80	152.0	25.00	25.65	102.6	30.00	32.55	109.85	62.00	78.25	126.2	90.00	53.34	59.27	242.00	245.48	101.44
3.	ალუმინი – 1	16.00	8.51	53.2	3.00	6.44	214.8	6.00	11.31	189.0	10.00	13.27	132.73	10.00	14.73	147.3	12.00	7.73	64.40	57.00	61.99	108.77
4.	ალუმინი – 2	17.00	13.60	80.0	4.00	11.00	274.9	8.00	0.91	11.37	15.00	15.44	102.93	20.00	5.06	25.30	6.00	3.50	225.0	70.00	59.51	85.01
5.	ფერადი	26.00	26.21	100.8	15.00	16.98	113.2	36.00	19.31	53.64	30.00	22.50	74.99	40.00	30.28	75.70	25.00	24.92	99.69	172.00	140.20	81.51
6.	შაობრივი	10.00	16.30	163.0	15.00	13.39	89.26	20.00	19.94	99.68	14.00	15.10	107.84	15.00	12.88	85.86	15.00	4.74	31.63	89.00	82.35	92.52
7.	ტვიფოვანი	10.00	7.52	75.24	10.00	0.12	1.23	25.00	21.89	87.57	20.00	15.64	78.18	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	0.00	65.00	45.18	79.50
8.	რიონი	12.00	12.65	105.5	10.00	13.80	138.0	22.00	22.19	100.8	20.0	24.32	121.58	25.00	23.25	92.99	20.00	20.83	104.12	109.00	117.03	107.36
9.	ბუმბეთი	14.00	8.70	62.14	10.00	12.10	121.0	20.00	19.07	95.35	30.00	26.96	96.54	30.00	26.60	88.67	20.00	26.44	132.17	124.00	121.86	98.28
10.	ენერგეტიკა	40.00	31.49	78.73	40.00	54.70	136.8	71.00	73.04	98.66	90.00	77.97	86.64	85.00	96.17	113.1	80.00	91.40	114.24	407.00	422.77	103.87
11.	ლოკომოტივები	15.00	8.54	56.9	10.00	11.24	112.4	22.00	20.14	91.52	40.00	33.61	84.02	40.00	47.00	117.5	36.00	25.44	70.67	163.00	145.96	89.55
12.	ზამბები	8.00	8.34	104.2	7.00	6.96	99.45	15.00	11.71	78.05	20.00	17.00	86.97	20.00	15.78	78.90	20.00	15.18	75.90	90.01	75.36	83.73
13.	ორთოკლასები	4.00	4.17	80.06	3.00	3.68	122.8	6.00	5.90	98.42	10.00	7.84	78.40	10.00	6.90	69.00	6.00	7.72	128.7	39.00	36.21	92.86
14.	აბრეშუმი	5.00	4.00	66.32	555.0	5.76	143.9	9.00	5.86	65.14	10.00	5.14	51.41	10.00	8.63	86.29	6.00	7.07	117.76	44.00	36.46	82.86
15.	თბილისური	400.00	265.28	86.68	7.00	354.12	10.12	395.0	300.29	76.02	186.0	219.45	117.98	29.10	25.74	88.46	0.00	0.00	0.00	1060.10	1164.87	85.65
16.	თბილისელი	5.00	4.33	84.81	562.0	3.95	131.6	3.00	4.26	142.1	3.00	3.84	127.92	3.00	3.91	130.3	3.00	0.06	2.00	20.00	20.35	101.76
	ჯამი	695.00	559.46	85.09	555.0	602.39	108.5	746.0	630.42	84.51	588.0	654.83	111.37	678.10	714.59	105.4	705.00	653.45	98.69	3967.10	3845.14	96.93
17.	პროგტიბებული ენერგია	12.00	10.21	84.82	7.00	6.07	86.69	14.00	8.23	58.76	15.00	17.74	118.23	16.00	17.85	111.6	15.00	16.33	108.9	79.00	76.42	96.74
	სულ საქართველოში	707.00	569.68	84.82	562.0	608.46	108.3	760.0	638.64	84.03	603.0	672.56	111.54	694.10	732.44	105.5	720.00	669.78	93.02	4046.10	3921.56	96.92

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი

■ თემურ მიმინოშვილი
ანი ქათამიძე

ცივი ომის დამთავრების შემდეგ, საერთაშორისო მოვლენების საფუძველი ხდება არა ომები და მილიტარული დაჯგუფებები, არამედ ეკონომიკური მოვლენები. დღეს მსოფლიოს ყველა ქვეყნის წარმომადგენლები ცდილობენ საზოგადოებაში თავი გამოიჩინონ მის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური კეთილდღეობით. დიახ, დღეს-დღეობით უფრო და უფრო მეტი ქვეყანა მიდის იმ დასკვნამდე, რომ ბაზრის წინააღმდეგ ბრძოლა უშედეგოა, ამიტომაც სახელმწიფო ბაზრის მოთხოვნებს უნდა დაემორჩილოს. ამისათვის კი საჭიროა: სავაჭრო ბარიერების შემცირება; სახელმწიფო საწარმოების პრივატიზაცია; კაპიტალის თავისუფალი დინება. თუკი ბაზარს თავისუფალი ფუნქციონირების უფლებას მივცემთ, იგი ხელს შეუწყობს ქვეყანის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებას.

ქვეყნებს, რომლებიც მეტი ეკონომიკური თავისუფლებით ხასიათდებიან, აძვთ ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ძვეყნები ნაკლებ ეკონომიკური თავისუფლებით.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის გათვალისწინებით, უკანასკნელ პერიოდში წარმოიშვა ცალკეული ქვეყნების ეკონომიკის ლიბერალიზაციის კონკრეტული დონის განსაზღვრის საჭიროება. ამ საქმეში პირველი ნაბიჯი გადადგა ამერიკულმა ორგანიზაციამ „ჰერითიჯ ფაუნდეიშენმა“ (**Heritage Foundation**), რომელმაც აღნიშნულ საკითხზე მუშაობა უკვე 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო. ორგანიზაცია მიზნად ისახავდა შეემუშავებინა ეკონომიკური თავისუფლების ერთიანი მაჩვენებელი, რის საფუძველზეც დაითვლიდნენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსს. აღნიშნული ინფორმაცია პოლიტიკოსებისა და ინვესტორებისათვის მეტად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს. ინდექსი არ წარმოადგენს უბრალოდ მაჩვენებელთა ერთობლიობას, არამედ მოცემულია იმ ფაქტორების ფრთხილი ანალიზი, რომლებიც ქვეყნის ეკონომიკურ ზრდას განსაზღვრავენ. ეკონომიკური განვითარების მიზეზებისა და საფუძვლების შესახებ ბევრი თეორია არსებობს, მათ შორის კი მეტად მნიშვნელოვანია შემდეგი: „ქვეყნებს, რომლებიც მეტი ეკონომიკური თავისუფლებით ხასიათდებიან, აქვთ ეკონომიკური ზრდის მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ქვეყნები ნაკლებ ეკონომიკური თავისუფლებით“.

ინდექსი ის არ არის უბრალოდ მაჩვენებელთა ერთობლიობა, არამედ ძვეყნის ეკონომიკური ზრდის გაწყობაზე ზემოქმედების ფაქტორების ფრთხილი ანალიზი.

1994 წელს „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის“ ექსპერტ-ეკონომისტები აღნიშნულ მაჩვენებლებზე საბოლოოდ შეთანხმდნენ და ამ პერიოდიდან მოყოლებული „ვოლ სთრით ჯორნალთან“ (**Wall Street Journal**) ერთად აწარმოებენ მსოფლიოს ქვეყნების რანჟირებას 10 მსხვილი ეკონომიკური ფაქტორის მიხედვით. 1999 წლამდე ყოველწლიურად ხდებოდა მსოფლიოს 156 ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დათვლა, ხოლო მიმდინარე წლის გამოცემაში

1999 წლამდე ყოველწლიურად ხდებოდა მსოფლიოს 156 ძვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დათვლა, ხოლო მიმდინარე წლის გამოცემაში 161 ძვეყნის ინდექსი გამოძვეყნდა.

მოხერხდა 161 ქვეყნის ინდექსის გამოქვეყნება. აღსანიშნავია, რომ 1998 წლის მაჩვენებლებთან შედარებით, 1999 წელს მთელი რიგი ცვლილებები მოხდა. 27-მა ქვეყანამ თავისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი გააუმჯობესა, რის შედეგადაც საერთო რეიტინგულ სისტემაში მოწინავე ადგილებზე გადაინაცვლა, ხოლო 29 ქვეყანამ პირიქით განიცადა რეგრესი და შესაბამისად დაეცა მათი რეიტინგი.

მაშასადამე, 1994 წლიდან მოყოლებული საერთაშორისო საზოგადოებას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის დახმარებით მიეცა საშუალება

ანალიზი გაუკეთოს და დაადგინოს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების და განვითარების დონე. 1994 წელს ჩამოყალიბებულმა ეკონომიკური თავისუფლების იდნექსის გამოთვლის მეთოდოლოგიამ შესაძლებელი გახადა ეკონომიკური თავისუფლებისა და ზრდის გაზომვა ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ჰონ-კონგი და კუბა. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის საშუალებით ასევე შეიძლება გავაანალიზოთ ისეთი ეკონომიკური დეტერმინანტები, როგორიცაა:

- კორუფცია სასამართლოში და საბაჟოზე;
- არა-სატარიფო ბარიერები, როგორიცაა საიმპორტო ქვოტები, მკაცრი სამარკო და სალიცენზიო მოთხოვნები, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის ინსტრუქციები;
- გადასახადები, როგორიცაა დამატებითი ღირებულების ან საშემოსავლო გადასახადები;
- კანონის ძალა. იგულისხმება სასამართლო ძალის ეფექტურობა, კონტრაქტების დადების შესაძლებლობა;
- სირთულეები ბიზნესის რეგულირებაში;
- საბანკო შეზღუდვები საფინანსო მომსახურებასთან დაკავშირებით, როგორიცაა ფასიანი ქაღალდების გაყიდვა და დაზღვევა;
- შრომის ბაზრის ნორმები, როგორიცაა კვირაში შესასრულებელი სამუშაოს დადგენა, ან გარკვეული მოცულობის ჯამაგირის სავალდებულო გადახდა;
- შავი ბაზარი.

ეკონომიკური თავისუფლება შეიძლება განისაზღვროს, როგორც საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების და მოხმარების სფეროში სახელმწიფო შეზღუდვების არსებობა ან არარსებობა.

ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური თავისუფლების ყოველწლიური ანალიზი. იგი საშუალებას გვაძლევს მოვიძიოთ და გამოვიყენოთ უახლესი და მიმდინარე მონაცემები, ამასთანავე, დავინახოთ თუ როგორ გავლენას ახდენს ესა თუ ის ცვლილება ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისა და თავისუფლების დონეზე.

ეკონომიკური თავისუფლების კონცეფცია ასწლეულების მანძილზე გვევლინებოდა ინტენსიური დებატების საგნად, მაგრამ ეს საკითხი ბოლო საუკუნეში განსაკუთრებით გამწვავდა, როცა საქმე თანამედროვე ეკონომიკას შეეხო. სიტყვა "ეკონომიკური" განისაზღვრება, როგორც „ის, რაც წარმოადგენს საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების, და მოხმარების საფუძველს, ან დაკავშირებულია ამ პროცესებთან," ხოლო - „თავისუფლება", როგორც „ყოველგვარი შეზღუდვის, იძულების ან მოთხოვნების არ არსებობა."

წამყვანი ეკონომისტები და პოლიტიკოსები ამ მეტად მნიშვნელოვან კონცეფციასთან დაკავშირებით მხოლოდ ახლა აღწევენ შეთანხმებას. ეკონომიკური თავისუფლება შეიძლება

ეკონომიკური თავისუფლება შეიძლება განისაზღვროს, როგორც „საქონლისა და მომსახურების წარმოების, განაწილების და მოხმარების სფეროში სახელმწიფო შეზღუდვების არსებობა ან არარსებობა".

ისტორიის განმავლობაში სახელმწიფოები აწესებდნენ სხვადასხვა შეზღუდვებს ეკონომიკურ პროცესებზე. ეკონომიკური თავისუფლება არის იმის ხარისხი თუ რამდენად თავისუფალნი არიან ინდივიდები აწარმოონ, გაანაწილონ და მოიხმარონ საქონელი ან მომსახურება. ამის შესწავლის ერთ-ერთი გზაა გავზომოთ სახელმწიფოს მიერ დადგენილი შეზღუდვები. აქედან გამომდინარე, სრულიად ობიექტურად შეიძლება იქნეს გამოვლენილი სახელმწიფო პოლიტიკა და მდგომარეობა, რომელიც ან ზღუდავს ან ზრდის ეკონომიკურ თავისუფლებას.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ქვეყნებს მიუთითებს საუკეთესო გზას მათი ეკონომიკური ზრდისათვის. ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიზანი სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წინ გადავდგათ ერთი ნაბიჯი, გავუსწროთ მოვლენებს და ავხსნათ მიზეზები, რატომ არის დღეს ქვეყნების ერთი ნაწილი მდიდარი, როცა, საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ წლების განმალობაში გაწეული დახმარების და მხარდაჭერის

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ქვეყნებს ეკონომიკური ზრდის საუკეთესო გზას მიუთითებს.

მიუხედავად, მეორენი კვლავ ღარიბ ქვეყნებად რჩებიან. ამ მიზნის მისაღწევად კი ინდექსი სწავლობს 50 სხვადასხვა დამოუკიდებელ ეკონომიკურ პარამეტრს ყოველი ქვეყნის მასშტაბით, ხოლო აღნიშნული პარამეტრები ერთიანდებიან ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის 10 ძირითად კატეგორიაში ანუ „ფაქტორში:" (1)სავაჭრო პოლიტიკა; (2)საგადასახადო სისტემა; (3)სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში; (4)მონეტარული პოლიტიკა; (5)უცხოური ინვესტიციები; (6)საბანკო საქმე; (7)ხელფასისა და ფასების კონტროლი; (8)საკუთრების უფლებები;(9) რეგულირება; (10)შავი ბაზარი.

აღნიშნული ფაქტორების უმრავლესობა უნდა განვიხილოთ როგორც ფაქტორები, რომელთა მეშვეობითაც შეგვიძლია გავზომოთ სახელმწიფო პოლიტიკა, ხელს უწყობს იგი თუ ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას. მაგალითად, ფაქტორები სავაჭრო პოლიტიკა ან

მონეტარული პოლიტიკა ვერ გაზომავენ ქვეყნის მიერ გატარებულ პოლიტიკას ეკონომიკურ თავისუფლებასთან მიმართებაში, მაგრამ მათი საშუალებით შეიძლება გავზომოთ კონკრეტული სახელმწიფოს მიერ დადგენილი კონკრეტული შეზღუდვები.

ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ათივე ფაქტორს განიხილავს როგორც თანაბარმნიშვნელოვანს ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების განსაზღვრისათვის. აღნიშნული მიდგომა ყველაზე მეტად სამართლიანია და შეესაბამება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მიზანს: ყოველ ქვეყანაში ეკონომიკური აქტივობისათვის დადგენილი გარემოს შეფასების მაჩვენებლების სისტემა შექმნას. ამდენად ინდექსი მოწოდებულია გააანალიზოს ის გარემო, რომელიც აუცილებელია

ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების განსაზღვრისას ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ათივე ფაქტორი თანაბარმნიშვნელოვანია.

ეკონომიკური ზრდისათვის. ქვეყანას, რომელსაც სურს მიაღწიოს გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასა და კეთილდღეობას უნდა გაითვალისწინოს და ყურადღება მიაქციოს ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის ათივე ფაქტორს.

ყველა ქვეყანა იღებს ინდექსს, რომელიც გაიანგარიშება ზემოთ აღნიშნული 10 ფაქტორის საფუძველზე და განსაზღვრავს ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკური თავისუფლების ხარისხს. თითოეული ფაქტორის მაჩვენებელი ვარირებს 1-დან 5-მდე, სადაც 1 არის მაჩვენებელი, რომელიც ყველაზე მეტად შეესაბამება ეკონომიკურ თავისუფლებას, ხოლო 5 მიუთითებს ყველაზე ნაკლებ თავისუფალ ეკონომიკაზე. ამასთანავე, ყოველ მაჩვენებელს თან ახლავს ნიშანი პლუს (+), ან მინუს (—), ან „სტაბილური.". აღნიშნული დამატებითი ინფორმაცია მიუთითებს ეკონომიკური თავისუფლების ესა თუ ის ფაქტორი უმჯობესდება, უარესდება თუ რჩება უცვლელი წინა წელთან შედარებით. საბოლოოდ, ყველა ფაქტორი დაჯამდება და გამოიყვანება საშუალო და მიიღება საბოლოო მაჩვენებელი, რომლის მიხედვითაც ფასდება ქვეყნები.

ინდექსის უდიდესი წვლილია, რომ 100-ზე მეტ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის მონაცემთა ბაზა შესახებ შეიქმნა.

ეკონომიკური თავისუფლების ხარისხის შესაბამისად ქვეყნები 4 ჯგუფადაა დაყოფილი:

- თავისუფალი ქვეყნები. ქვეყნები, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელი 1.99 ან ნაკლებია;
- შედარებით თავისუფალი ქვეყნები. ქვეყნები, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელი 2.00-სა და 2.99-ს შორისაა;
- შედარებით არათავისუფალი ქვეყნები. ქვეყნები, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელი 3.00-სა და 3.99-ს შორისაა;
- დახშული ქვეყნები. ქვეყნები, რომელთა საშუალო ერთიანი მაჩვენებელია 4.0 და მეტია.

რამდენადაც ინდექსი მეცნიერულ მეთოდოლოგიას ეფუძნება, იგი გამჭირვალეა და აქვს შესაძლებლობა გააანალიზოს მრავალი სახეობის მონაცემი. მნიშვნელოვანია იმის გაგებაც, რომ სხვადასხვა ფაქტორები სხვადასხვა სახის ინფორმაციას მოითხოვენ. მაგალითად, ისეთი ფაქტორი, როგორიცაა მონეტარული პოლიტიკა, ითვალისწინებს ათი წლის ინფლაციის საშუალო ტემპს, ხოლო საგადასახადო სისტემის მაჩვენებლის დადგენისათვის საჭიროა მიმდინარე წლის მონაცემები.

ინდექსის უდიდესი წვლილი იმაში მდგომარეობს, რომ შეიქმნა მონაცემთა ბაზა 100-ზე მეტ ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის შესახებ. აღნიშნული მონაცემები კი დიდ როლს ასრულებენ ეკონომიკური თავისუფლების კვლევისა და ანალიზის, განვითარების ეფექტური გზების დასახვის სფეროში.

ახლა კი განვიხილოთ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის თითოეული ფაქტორი:

ფაქტორი 1: სავაჭრო პოლიტიკა

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- საშუალო სატარიფო განაკვეთი;
- არასატარიფო განაკვეთი;
- კორუფცია საბაჟოზე.

სავაჭრო პოლიტიკა არის ეკონომიკური თავისუფლების გაზომვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი.

რა დონითაც სახელმწიფო ხელს უშლის საგარეო ვაჭრობის თავისუფალ დინებას, იმდენად აფერხებს ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას. ამდენად სავაჭრო პოლიტიკა მნიშვნელოვანი ფაქტორია განვითარებადი ქვეყნების ინდუსტრიალიზაციის საქმეში. საერთაშორისო ვაჭრობა ქვეყნის მრეწველობას უქმნის პირობებს წარმოების მაქსიმალურად გაზრდისათვის. ასევე აძლევს მსოფლიო ბაზარზე გასვლის საშუალებას, რასაც თავის მხრივ შეუძლია უზრუნველყოს დიდი დოვლათის დაგროვება.

მეთოდოლოგია:

სავაჭრო პოლიტიკის მაჩვენებლები გამოიანგარიშება ქვეყნის საშუალო სატარიფო განაკვეთის საფუძველზე, რაც უფრო მაღალია განაკვეთი, მით უფრო ცუდია (ანუ მაღალია) მაჩვენებელი. იმ შემთხვევაში, თუ საშუალო

სატარიფო განაკვეთი ხელმისაწვდომი არაა, მაშინ მაჩვენებელი განისაზღვრება ტარიფებისა და მთლიანი იმპორტისაგან მიღებული შემოსავლების გამოთვლით, ხოლო თუ აღნიშნული ინფორმაციაც რთული მისაღებია, სავაჭრო პოლიტიკის მაჩვენებლის მისაღებად გაანალიზდება და გამოიყენება ყველა ის მაჩვენებელი და მონაცემები, რომელიც სატარიფო სტრუქტურას შეადგენს.

ამასთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტარიფები არ წარმოადგენენ ვაჭრობის ერთადერთ შემაფერხებელ ბარიერს. ბევრი ქვეყანა იმპორტის შესაზღუდავად ანესებს საიმპორტო ქვოტებს, ლიცენზიების მოთხოვნებსა და სხვა სახის შეზღუდვებს. თუ კი ქვეყანა აქტიურად იყენებს ამგვარ არასატარიფო ბარიერებს, იგი იღებს

ცხრილი №1

საავაჭრო პოლიტიკის შეფასების შკალა

შეფასება	პროტექციონიზმის დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ტარიფის საშუალო განაკვეთი 4%-მდე და/ან ძალიან დაბალი არასატარიფო ბარიერები
2	დაბალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 5%-დან 9%-მდე და/ან დაბალი არასატარიფო ბარიერები
3	ზომიერი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 10%-დან 14%-მდე და/ან ზომიერი არასატარიფო ბარიერები
4	მაღალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 15%-დან 19%-მდე და/ან მაღალი არასატარიფო ბარიერები
5	ძალიან მაღალი	საშუალო ტარიფის განაკვეთი 20%-ზე მაღალი და/ან ძალიან მაღალი არასატარიფო ბარიერები, რომლებიც ფაქტიურად ხურავენ ბაზარს იმპორტისათვის

დამატებით პუნქტს (რაც მიუთითებს ეკონომიკური თავისუფლების შემცირებაზე). სავაჭრო პოლიტიკის ანალიზი ასევე ფართოდ ითვალისწინებს კორუფციის არსებობის შესაძლებლობას საბაჟო სისტემაში. ეს ფრიად მნიშვნელოვანი სფეროა, რამდენადაც სავსებით შესაძლებელია ქვეყანას ჰქონდეს დაბალი სატარიფო განაკვეთი, მაგრამ საბაჟოს პერსონალი იღებდეს მაღალ ქრთამს, ან საერთოდ იპარავდეს საქონელს, რაც თავის მხრივ უკვე წარმოადგენს ვაჭრობის ხელშემშლელ ფაქტორს (იხ. ცხრილი №1).

ფაქტორი 2: დაბეგვრა

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთები;
- საშუალო შემოსავლის საგადასახადო განაკვეთი;
- მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთი;
- სხვა გადასახადები.

ზოგადად გადასახადები ზიანს აყენებენ ეკონომიკურ პროცესებს, რამეთუ გადასახადი თავისი არსით სახელმწიფოს მიერ დადგენილი ბარიერია ეკონომიკური საქმიანობის განსახორციელებლად. ამდენად, გაუაზრებელ გადასახადებს შეუძლიათ შეაჩერონ ეკონომიკური ზრდა.

მეთოდოლოგია:

აღნიშნული ფაქტორის მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად გამოიყენება სხვადასხვა სახის გადასახადი. თავიდან ყოველი ქვეყნისათვის გამოიანგარიშება ისეთი მნიშვნელოვანი გადასახადი, როგორიცაა საშემოსავლო და მოგების გადასახადი, შემდეგ კი ითვლიან მათ საშუალოს რათა მივიღოთ დაბეგვრის საერთო მაჩვენებელი. ასევე გაითვალისწინება სხვა სახის გადასახადები, დამატებითი ღირებულების გადასახადი, კომერციული გადასახადი, სახელმწიფო და ადგილობრივი გადასახადები. თუ კი ასეთი სახის გადასახადები საკმარისი რაოდენობით არსებობენ, ისინი არსებით გავლენას მოახდენენ ინდივიდუალურ ეკონომიკურ თავისუფლებაზე, რაც ეკონომიკური თავისუფლების შემცირებაზე მიუთითებს.

მთელ რიგ ქვეყნებში საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი შედარებით მაღალია, მაგრამ აღნიშნულ კატეგორიაში ცოტა ადამიანი თუ ხვდება. მაგალითად იაპონიაში, აღნიშნული მაჩვენებელი 50%-ს წარმოადგენს, მაგრამ შემოსავლის დონე, რომელზეც ეს გადასახადია დანესებული, იმდენად მაღალია, რომ ძალიან ცოტა ადამიანი ხვდება ამ კატეგორიაში. ასე რომ საგადასახადო პოლიტიკის სწორი ანალიზისათვის უნდა გამოიკვლიონ როგორც საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი, ასევე იმ განაკვეთის დონე, რომლითაც იბეგრება საშუალო შემოსავალი (იხ. ცხრილი №2ა და №2ბ).

ფაქტორი 3: მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- სახელმწიფო ხარჯების პროცენტული მაჩვენებელი მთლიან შიდა პროდუქტში;
- სახელმწიფოს საკუთრების წილი ბიზნესის სფეროში;
- სახელმწიფოს მიერ წარმოებული პროდუქცია.

რაც უფრო დიდია მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დონე, მით ნაკლებ ინდივიდებს აქვთ თავისუფლება საკუთარ ეკონომიკურ ქცევაში. თუკი გავითვალისწინებთ სახელმწიფო მოხმარების წილს მთლიან შიდა პროდუქტში, შესაძლებელია განისაზღვროს მთავრობის ჩარევის დონე. რაც უფრო მაღალია აღნიშნული წილი, მით უფრო მაღალია მაჩვენებელი და ამდენად დაბალია ეკონომიკური თავისუფლება.

ცხრილი №2ა

საშემოსავლო გადასახადის შეფასების შკალა

შეფასება	განაკვეთები	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	არავითარი გადასახადები, ან ფიქსირებული გადასახადი 10%-ის ფარგლებში
2	დაბალი	უმაღლესი განაკვეთი 25%-მდე, ან ფიქსირებული გადასახადი 10%-დან 20%-მდე, ხოლო საშუალო შემოსავალი 10%-მდე განაკვეთით იბეგრება
3	ზომიერი	უმაღლესი განაკვეთი 35%-მდე, ხოლო საშუალო შემოსავალი ხვდება 15%-იანი დაბეგვრის ფარგლებში
4	მაღალი	უმაღლესი განაკვეთი 36%-დან 50%-მდე, ხოლო საშუალო შემოსავალი ხვდება 15%-დან 20%-მდე დაბეგვრის ფარგლებში
5	ძალიან მაღალი	უმაღლესი განაკვეთი 50%-ზე მეტი, ხოლო საშუალო შემოსავალი ხვდება 20-25%-იანი დაბეგვრის ფარგლებში

ფაქტორი 4: მონეტარული პოლიტიკა

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- ინფლაციის საშუალო ტემპი 1986-1996 წლების განმავლობაში;
- 1997 წლის ინფლაციის საშუალო ტემპი.

ცხრილი №2ბ

მოგების გადასახადის შეფასების შკალა

შეფასება	განაკვეთები	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	არავითარი გადასახადი ან ძალზე მცირე გადასახადი
2	დაბალი	დაბალი ფიქსირებული განაკვეთი 25%-მდე, ან პროგრესული გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 25%-მდე
3	ზომიერი	პროგრესული გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 26%-დან 35%-მდე, ან ფიქსირებული გადასახადი 25%-ზე მეტი
4	მაღალი	პროგრესული გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 36%-დან 45%-მდე, ქვეყანაში საგადასახადო სტრუქტურა არ არის სათანადოდ განვითარებული
5	ძალიან მაღალი	პროგრესული გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 46%-ზე მეტი

ნაკლებად განვითარებული ქვეყნების უმრავლესობაში, მონაცემები, რომლებიც სახელმწიფო ხარჯებს ეხება, არ შეიცავენ ინფორმაციას იმ თანხების შესახებ რომელიც გამოყენებულ იქნა ბიუჯეტის დეფიციტის დასაფარავად ან ზოგიერთი ტრანსფერული გადასახადის განსახორციელებლად. ამასთანავე ასეთი სახის მონაცემები ძნელი მოსაპოვებელია ან მოძველებულია. მონაცემები სახელმწიფო საერთო ხარჯების შესახებ კი ხელმისაწვდომია და მათი მიღება დროულადაა შესაძლებელი. ასევე სავარაუდოა, რომ სახელმწიფოები ცდილობენ ყალბად წარმოაჩინონ მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის დონე. თუმცა მხოლოდ სახელმწიფო ხარჯების გამოყენება ათვლის წერტილად აღნიშნული მაჩვენებლის გამოსაანგარიშებლად არამიზანშეწონილია. ამის შემდეგ გამოითვლება მთავრობის ქონების წილი ქვეყნის ეკონომიკაში. თუ ქვეყანაში არსებობს ბევრი სახელმწიფო სანარმო, ან სამთავრობო სექტორი, რომელიც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის დიდ ნაწილს აწარმოებს, ქვეყანაში მცირეა ეკონომიკური თავისუფლების დონე. აღნიშნული ფაქტორის მაჩვენებლის გაანგარიშებისას აგრეთვე ითვალისწინებენ პრივატიზაციის პროცესის მიმდინარეობას ქვეყანაში (იხ. ცხრილი №3).

ინფლაციის ტემპი

ქვეყნის ვალუტის ღირებულება გამომდინარეობს ქვეყნის მიერ გატარებული მონეტარული პოლიტიკიდან, როდესაც მთავრობა მიმართავს ისეთ მონეტარულ პოლიტიკას როცა ვალუტის მიწოდება არ აღემატება მოთხოვნას — ინდივიდები თავისუფალნი არიან ჩაერთონ მომგებიან ეკონომიკურ საქმიანობაში. თუ სახელმწიფო ატარებს თავისუფალ მონეტარულ პოლიტიკას — ანუ აწოდებს უფრო მეტს, ვიდრე არის მოთხოვნა — ვალუტა კარგავს ფასს და ინდივიდებს ნაკლები შანსები აქვთ ჩაერთონ მომგებიან ეკონომიკურ საქმიანობაში. ინფლაციის ტემპი საუკეთესო გზით წარმოაჩენს მთავრობის უნარს მართოს ფულის მიწოდება ეკონომიკაში.

მეთოდოლოგია:

ამ ფაქტორის მაჩვენებლის გამოანგარიშების ძირითადი გზაა 1986-1996 წლებში არსებული ინფლაციის საშუალო ტემპი. ქვეყნები, რომლებთაც ინფლაციის მაღალი დონე აქვთ, ატარებენ სრულიად თავისუფალ მონეტარულ

პოლიტიკა და ეკონომიკური თავისუფლება დაბალია იმ ქვეყნებისგან განსხვავებით, სადაც ფიქსირდება ინფლაციის დაბალი დონე. ეს უკანასკნელნი იღებენ საუკეთესო შეფასებას. ასევე

ცხრილი №3

მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის შეფასების შკალა

შეფასება	ჩარევის დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	მშპ-ში 10%-ზე ნაკლები, სახელმწიფო საწარმოები ფაქტობრივად არ არსებობს
2	დაბალი	მშპ-ში 11%-დან 25%-მდე; მცირეოდენი სახელმწიფო საწარმო, როგორიცაა საფოსტო მომსახურება. აგრესიული პრივატიზაციის პროგრამის მოქმედება
3	ზომიერი	მშპ-ში 26%-დან 35%-მდე. მცირეოდენი სახელმწიფო საწარმოები, როგორიცაა ტელეკომუნიკაციები, ზოგიერთი ბანკი და ენერგიის წარმოება
4	მაღალი	36%-დან 45%-მდე; სახელმწიფო ფლიბის ბევრ საწარმოს, როგორიცაა სატრანსპორტო და სამრეწველო საწარმოები
5	ძალიან მაღალი	46% და მეტი, ძირითადად სახელმწიფო საწარმოები; თითქმის არ არის კერძო საწარმო

ყურადღებას აქცევენ ინფლაციის ტემპს უახლოესი წლების განმავლობაში, რადგან სავსებით შესაძლებელია, რომ ქვეყანაში ადრე არსებული მაღალი ტემპი შემცირდეს და გახდეს უფრო სტაბილური, აგრეთვე აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს ძალუძს კურსის ხელოვნურად შენარჩუნება გარკვეული პერიოდის განმავლობაში (იხ. ცხრილი №4).

ფაქტორი 5: კაპიტალი და უცხოური ინვესტიციები

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- უცხოური ინვესტიციების შესახებ კანონი;
- შეზღუდვები უცხოელებისათვის საკუთრებაზე;
- მიწის საკუთრების უფლება უცხოელებისათვის;
- კანონის ძალა, რომელიც თანაბრად

ცხრილი №4

მონეტარული კოლიტიკის შეფასების შკალა

შეფასება	ინფლაციის ტემპი	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	6%-ს ქვემოთ
2	დაბალი	7%-სა და 13%-ს შორის
3	ზომიერი	14%-სა და 20%-ს შორის
4	მაღალი	21%-დან 30%-მდე
5	ძალიან მაღალი	30%-ზე მეტი

ვრცელდება როგორც ადგილობრივ, ასევე უცხოურ კომპანიებზე;

- შეზღუდვები შემოსავლების რეპატრიაციაზე;
- ადგილობრივი ფინანსების ხელმისაწვდომობა უცხოური კომპანიებისათვის.

უცხოური ინვესტიციები ეკონომიკური ზრდისათვის ქვეყანას უზრუნველყოფენ ფონდებით. უცხოური ინვესტიციები ხშირად აწოდებენ კაპიტალს ადგილობრივ ინვესტორებს, რომლებსაც სურთ დაინყონ თავიანთი ბიზნესის გაფართოება. შეზღუდვები უცხოურ ინვესტიციებზე ზღუდავს კაპიტალის დინებას და შესაბამისად ზღუდავს ეკონომიკურ თავისუფლებას. როცა შეზღუდვები დაბალია ან არ არის საერთოდ უცხოური ინვესტიციების დინება ქვეყანაში არსებითად იზრდება.

მეთოდოლოგია:

ეს ფაქტორი დაწვრილებით გამოიკვლევს ქვეყნის პოლიტიკას უცხოურ ინვესტიციებთან მიმართებაში, რათა განსაზღვროს მისი სრული საინვესტიციო კლიმატი. იგი ითვალისწინებს თუ როგორია ინვესტორების საკუთრების უფლებები, არსებობს თუ არა კოდექსი უცხოური ინვესტიციებისათვის, რომელიც განსაზღვრავს საინვესტიციო კანონებსა და პროცედურებს. ქვეყანა უცხოელ ინვესტორებს ისევე ეპყრობა თუ არა, როგორც ადგილობრივებს, თუ რიგი სფეროები შეუღწევადია უცხოელი ინვესტორებისათვის. აღნიშნული სახის ანალიზი საშუალებას იძლევა ზუსტად აისახოს ქვეყანაში არსებული საინვესტიციო გარემო მოცემული ფაქტორის მაჩვენებელში (იხ. ცხრილი №5).

ფაქტორი 6: საბანკო საქმე

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული ბანკები;
- შეზღუდვები უცხოურ ბანკებზე გახსნან ფილიალები და განყოფილებები;
- მთავრობის გავლენა კრედიტების განაწილებაზე;
- სახელმწიფო რეგულირება, როგორიცაა სადეპოზიტო დაზღვევა;
- თავისუფლება ყველა სახის მომსახურებაში, როგორიცაა უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების, სადაზღვევო პოლისების ყიდვა-გაყიდვა.

ქვეყნების უმრავლესობაში ბანკები უზრუნველყოფენ ეკონომიკას ფინანსური რესურსებით. ისინი გასცემენ სესხს ბიზნესის დასაწყებად, ახორციელებენ სხვადასხვა სახის მომსახურებას, მათ შორის ინდივიდების თავისუფალი ფინანსური რესურსების შენახვას. რამდენადაც მეტად გაკონტროლდება ბანკები მთავრობის მიერ, მით უფრო ნაკლებად განახორციელებენ ისინი ამგვარ საქმიანობას.

მეთოდოლოგია:

„საბანკო საქმის“ ფაქტორის მაჩვენებელი განისაზღვრება ქვეყნის საბანკო სისტემის

გახსნილობის შესაბამისად: განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ ფაქტს, თუ რამდენად აქვთ უცხოურ ბანკებს საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობა, და რამდენად თავისუფალნი არიან ბანკები მომსახურების სფეროში (იხ. ცხრილი №6).

ცხრილი №5

კაპიტალის მოძრაობისა და უცხოური ინვესტიციების შეფასების შკალა

შეფასება	ბარიერები უცხოური ინვესტიციების მიმართ	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	უცხოელი ინვესტორების მიმართ დიდ და მიუკერძოებელი მიპყრობა. შესაბამისი ელექტრის არსებობა.
2	დაბალი	კომუნალურ მომსახურებაში, ეროვნული თავდაცვის საწარმოებში და ბუნებრივ რესურსებში განხორციელებულ ინვესტიციებზე შეზღუდვები.
3	ზომიერი	შეზღუდვები ინვესტიციების დიდ ნაწილზე, თუმცა ოფიციალური პოლიტიკა ეხმიარება უცხოური ინვესტიციების კანონს; უცხოური ინვესტიციების განხილვის ბიუროკრატიული სისტემა.
4	მაღალი	ინვესტიციები ნებადართულია მხოლოდ ცალკეულ შემთხვევებში; ბიუროკრატიული განხილვის პროცესი და კორუფციის ელემენტები.
5	ძალიან მაღალი	მთავრობა ერძალავს უცხოურ ინვესტიციებს.

ფაქტორი 7: ხელფასებისა და ფასების კონტროლი

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ;
- ფასების დაწესების თავისუფლება სახელმწიფოს გავლენის გარეშე;
- მთავრობის კონტროლი ფასებზე;
- ფასებზე სახელმწიფო კონტროლის გამოყენების ხარისხი;
- სახელმწიფო სუბსიდიები, რომელიც აისახება ფასებში.

თავისუფალი ეკონომიკა ინდივიდებს აძლევს საშუალებას წარმართონ ბიზნესი არა მარტო საქონლსა და მომსახურებაზე ფასების დაწესებით, არამედ აგრეთვე ისეთი ხელფასის გადახდით, რომელსაც ისინი ჩათვლიან საჭიროდ. ზოგიერთი მთავრობა ხელფასისა და ფასების კონტროლისათვის ნორმებს აწესებს. რამდენადაც მაღალი იქნება აღნიშნული სახის კონტროლი, მით უფრო მაღალი იქნება ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის მაჩვენებელი, და შესაბამისად დაბალი ეკონომიკური თავისუფლების დონე.

161 ქვეყნის რეიტინგულ სისტემაში საქართველოს, მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.65 — ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების ჯგუფი) შესაბამისად 116-ე ადგილზეა.

მეთოდოლოგია:

აღნიშნული მაჩვენებელი გამოითვლება იმისდა მიხედვით, ხელფასებსა და ფასებს სახელმწიფო განსაზღვრავს თუ ბაზარი, აგრეთვე გაითვალისწინება სფეროები, რომელიც იმართება მთავრობის მიერ. მაგალითად, აკონტროლებს თუ არა ის კომუნალურ მომსახურებას, ატარებს თუ არა სახელმწიფო მინიმალური ხელფასის პოლიტიკას. მაჩვენებელი 1 ენიჭებათ ისეთ ქვეყნებს, სადაც ფასიც და ხელფასიც თავიდან ბოლომდე ბაზრის მიერ განისაზღვრება (იხ. ცხრილი №7).

ფაქტორი 8: საკუთრების უფლება

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- თავისუფლება სახელმწიფო გავლენისაგან და ეფექტიანი სასამართლო სისტემა;
- კონტრაქტების მარეგულირებელი საკანონმდებლო სისტემა;
- განსახილველი კონტრაქტების უცხოურ არბიტრაჟზე სანქცირება;
- საკუთრებაზე სახელმწიფოს ექსპროპრიაცია;
- კორუფცია სასამართლო სისტემაში;
- სასამართლო გადაწყვეტილებების დაყოვნება;
- კანონით გარანტირებული და დაცული კერძო საკუთრება.

კერძო საკუთრების ზრდის და დაგროვების შესაძლებლობა ის მთავარი მოტივია, რომელიც უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის სიცოცხლისუნარიანობას და ამ შემთხვევაში კანონის უზენაესობას მნიშვნელობა ენიჭება. ეს ფაქტორი გამოიკვლევს არსებითად რამდენად იცავს სახელმწიფო კერძო საკუთრებას და მოცემულ სახელმწიფოში რამდენად დაცულია კერძო საკუთრება კონფისკაციისაგან. რაც დაბალია ასეთი მაჩვენებელი, შესაბამისად მაღალია ეკონომიკური თავისუფლება.

მეთოდოლოგია:

ამ ფაქტორის მაჩვენებელი ითვალისწინებს იმას, თუ რამდენადაა დაცული კერძო საკუთრება კანონის ძალით, როგორია ქონების კონფისკაციის შესაძლებლობა. ამის გარდა აანალიზებს სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობას, შესაძლო კორუფციას მის შიგნით, კონტრაქტების

დადების შესაძლებლობას. ინდექსის მაჩვენებელი მით უფრო დაბალია, რაც უფრო მაღალი იქნება კერძო საკუთრება იურიდიული ძალით დაცული (იხ. ცხრილი №8).

ფაქტორი 9: რეგულირება

მეთოდოლოგია:

მოცემული ფაქტორი განსაზღვრავს და ზომავს თუ რამდენად ადვილია ან რთული ბიზნესის დაწყება და შემდგომში გაგრძელება, რაც უფრო დიდია რეგულირების დონე მით უფრო

ცხრილი №6

საბანკო საქმის შეფასების შკალა

შეფასება	საბანკო შეზღუდვები	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ძალზე დაბალი შეზღუდვები უცხოურ ბანკებზე; ბანკების შეუძლიათ ნაერთონ ყველა სახის ფინანსურ მომსახურებაში; მთავრობა არ აკონტროლებს ბანკებს; მთავრობისათვის სადაზღვეო შენატანების გამოყოფის აუცილებლობა არ არსებობს.
2	დაბალი	დაბალი შეზღუდვები უცხოურ ბანკებზე; ქვეყანას შეიძლება გაანძღეს გარკვეული შეზღუდვები ფინანსური მომსახურების გაწევაზე; ადგილობრივი ბანკების დაარსება შეიძლება აწყდებოდეს გარკვეულ ბარიერებს.
3	ზომიერი	მთავრობა ზემოქმედებას ახდენს ბანკებზე; მთავრობა ფლობს ან მართავს ზოგიერთ ბანკს; ადგილობრივი ბანკების დაარსებისას აწყდებიან ბარიერებს.
4	მაღალი	საბანკო სისტემა გარდამავალ ეტაპზე; ბანკები მჭიდროდ კონტროლდება მთავრობის მხრიდან; არსებობს კორუფციის ელემენტები; ადგილობრივი ბანკების დაარსება თითქმის შეუძლებელია.
5	ძალიან მაღალი	ფინანსური ინსტიტუტები სრულ ქაოსში იმყოფებიან; ბანკები ფუნქციონირებენ პრიმიტიულ დონეზე; კრედიტების უმრავლესობა მიედინება სახელმწიფო საწარმოებში; კორუფცია ფართოდაა გავრცელებული.

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- სალიცენზიო მოთხოვნილებები ბიზნესის მიმართ;
- ბიზნესის დაწყებისათვის საჭირო ლიცენზიის მიღების სიმარტივე;
- ბიუროკრატიული კორუფცია;
- შრომის რეგულირება, როგორიცაა სამუშაო დღის დაწყება, ფასიანი შვებულება და სხვა;
- გარემოს დაცვა და მომხმარებლის უსაფრთხოება;
- რეგულირებები, რომლებსაც აწესებენ ბიზნესზე.

ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში, ბიზნესის ლიცენზიების მოპოვება თითქმის შეუძლებელია. რეგულირება და შეზღუდვები სხვადასხვა საწარმოებს უძნელებს ახალი საქმის წამოწყებას. რიგ ქვეყნებში ლიცენზიის მიღება უმარტივესია, მაგრამ ბიზნესის დაწყება არ ნიშნავს სახელმწიფოს რეგულირებისაგან თავის დაღწევას. ბევრ ქვეყანაში აღნიშნული რეგულირება პირიქით იზრდება. მაგალითად, გარემოს დაცვის რეგულირებამ შეიძლება ზოგიერთი სახეობის ბიზნესის საქმიანობის დახურვა გამოიწვიოს. ამის გარდა რეგულირების დიდი რაოდენობით არსებობა თავისთავად იწვევს კორუფციას.

ძნელია მუშაობა ბიზნესში. აღნიშნული ფაქტორი ასევე ზომავს კორუფციას, რომელსაც იწვევს რეგულირება. რეგულირების ფაქტორი ითვალისწინებს არსებობს თუ არა ქვეყანაში სახელმწიფო გეგმის შემუშავების საგეგტოები, რომლებიც ადგენენ ლიმიტებსა და ქვოტებს წარმოებაზე. მაჩვენებელი 1 მიუთითებს, რომ ქვეყანაში კორუფცია არ არსებობს, რეგულირება კი მინიმალურია და ფორმალურ ხასიათს ატარებს (იხ. ცხრილი №9).

ფაქტორი 10: შავი ბაზარი

მისი შემადგენელი პარამეტრებია:

- კონტრაბანდა;
- მეკობრეობა ინტელექტუალურ საკუთრებაზე შავ ბაზარზე;
- სოფლის მეურნეობის პროდუქციის მიწოდება შავ ბაზარზე;
- სამრეწველო პროდუქციის მიწოდება შავ ბაზარზე;
- მომსახურების მიწოდება შავ ბაზარზე;
- სატრანსპორტო საშუალების მიწოდება შავ ბაზარზე;
- შრომის მიწოდება შავ ბაზარზე.

ერთი შეხედვით, შეიძლება წარმოიშვას ისეთი აზრი, რომ შავი ბაზრის არსებობა პოზიტიურია. ბოლოს და ბოლოს იქმნება პროდუქციის წარმოების საშუალება და

ცხრილი №7

ხელფასების და ფასების კონტროლის შეფასების შკალა

შეფასება	ხელფასებზე და ფასებზე კონტროლი	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	ხელფასები და ფასები განისაზღვრება ბაზრის მიერ; არ არსებობს მინიმალური ხელფასის ზღვარი.
2	დაბალი	ფასების დიდი ნაწილი მოთხოვნა-მიწოდებით განისაზღვრება, თუმცა ზოგიერთი ფასის დადგენა მთავრობის ან მონოპოლიური გაერთიანებების, მაგალითად კომუნალური მომსახურების მიერ ხდება; მინიმალური ხელფასის კანონები შეიძლება არსებობდეს ან არა.
3	ზომიერი	მთავრობისა და ბაზრის მიერ დაწესებული ფასებისა და ხელფასების ნარევი; ან რომელიმე მათგანზე მძიმე სახელმწიფო კონტროლი.
4	მაღალი	ხელფასებისა და ფასების კონტროლი, უმრავლესობა ხამუშაო ადგილებსა და საგნებზე.
5	ძალიან მაღალი	ხელფასები და ფასები თითქმის მთლიანად მთავრობის მიერ დგინდება.

შესაძლებელი ხდება დეფიციტური საქონლისა და მომსახურების მიღება. მაგრამ შავი ბაზარი მთავრობის ეკონომიკაში ჩარევის უშუალო შედეგია. იმ ფაქტორებს შორის, რომელსაც შეისწავლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი, შავი ბაზარი ერთადერთია, რომელიც წარმოადგენს არალეგალურ ერთეულს. აღსანიშნავია, რომ მონაცემების მოპოვება ამ ფაქტორის შესახებ ხდება არაოფიციალური გზებით და ხშირ შემთხვევაში შორს დგას რეალური მდგომარეობისაგან. შავი ბაზრის არსებობა კი ზოგადად ამცირებს ქვეყნის ეკონომიკის თავისუფლების დონეს.

მეთოდოლოგია:

მოცემული ფაქტორის მაჩვენებელი შავი ბაზრის სიდიდეს ზომავს. თუმცა აღნიშნული სახის ინფორმაციის მოპოვება ნაკლებად განვითარებულ ქვეყნებში ძალიან რთულია და მაინც მაჩვენებელი გამოითვლება კონტრაბანდის, ინტელექტუალური საკუთრების მეკობრეობის და შავ ბაზარზე შრომის მიწოდების ფაქტებზე დაყრდნობით. აღნიშნული ფაქტორი შავ ბაზარზე საქონლისა და მომსახურების წარმოებას, განაწილებასა და მოხმარებას ზომავს, მაგრამ არ

ცხრილი №8

საკუთრების უფლებების შეფასების შკალა

შეფასება	კერძო საკუთრების დაცვა	კრიტერიუმები
1	ძალიან მაღალი	კერძო საკუთრება გარანტირებულია მთავრობის მიერ, არსებობს ეფექტიანი სასამართლო სისტემა; სასამართლო სისტემით ისჯება ყველა ის, ვინც კი უკანონოდ ითვისებს კერძო საკუთრებას; ექსპროპრიაცია არ ხდება.
2	მაღალი	კერძო საკუთრება გარანტირებულია მთავრობის მიერ. ექსპროპრიაცია არ ხდება.
3	ზომიერი	მთავრობა აღიარებს კერძო საკუთრების ზოგიერთ უფლებას. მაგრამ ქონება შეიძლება იქნეს ნაციონალიზირებული. არსებობს ექსპროპრიაციის შესაძლებლობები. სასამართლო შეიძლება განიცდიდეს სამთავრობო სტრუქტურების ჯაჭვენას.
4	დაბალი	საკუთრების უფლებები ვრცელდება მხოლოდ პირად ნივთებზე; კოლექტიური საკუთრება წესადაა; ექსპროპრიციის შესაძლებლობა არსებობს და მთავრობა არ იცავს კერძო საკუთრებას ადეკვატურად; სასამართლო სისტემა განიცდის ჯაჭვენას მთავრობის სხვა შტოებიდან; სასამართლოს შიგნით კორუფციის ელემენტები; საკანონმდებლო სისტემა მოშლილია.
5	ძალიან დაბალი	კერძო საკუთრება იკრძალება; თითქმის მთელი ქონება ეკუთვნის სახელმწიფოს; ექსპროპრიცია გარდაუვალი მოვლენაა ან ქვეყანა იმდენად კორუმპირებულია და ქაოტური, რომ საკუთრების დაცვა არ არსებობს.

ზომავს შავი ბაზრის ისეთ ელემენტებს, როგორიცაა გაცვლითი კურსი, აზარტული თამაშები, ნარკოტიკები, იარაღი, პროსტიტუცია, რადგან მათი ობიექტურად გაზომვა ურთულეს პრობლემას წარმოადგენს (იხ. ცხრილი №10).

ცხრილი №9

რეგულირების შეფასების შკალა

შეფასება	რეგულირების დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	არსებული რეგულირებანი ღიაა და ერთნაირად გამოიყენება ყველა სახის ბიზნესის მიმართ; რეგულირება მძიმე ტვირთად არ აწევება ბიზნესს; კორუფცია თითქმის არ არსებობს.
2	დაბალი	ლიცენზირების მარტივი პროცედურები; არსებული რეგულირებანი ღიაა და მეტწილად ერთნაირად გამოიყენება ყველა ბიზნესის მიმართ, მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში ტვირთად აწევება მეწარმეებს; კორუფცია თუმცა შესაძლებელია, იშვიათია და არ წარმოადგენს პრობლემას.
3	ზომიერი	არსებული რეგულირებანი გამოიყენება დროგამოშვებით და ზოგიერთ შემთხვევაში მთავრობა არც კი აქვეყნებს; ლიცენზირების პროცედურები გართულებულია; რეგულირება სერიოზულ ტვირთად აწევება ბიზნესს; სახელმწიფო სექტორის წილი დიდია; კორუფცია არსებობს და გარკვეულ ზეგავლენას ახდენს ბიზნესზე.
4	მაღალი	მთავრობა აწესებს ქვოტებს წარმოებისათვის და მოქმედებს სახელმწიფო დაგეგმარების პრაქტიკა; სერიოზული ბარიერები არსებობს ბიზნესის წამოწყებისათვის; გართულებულია ლიცენზირების პროცესები; ძალიან მაღალია გადასახადებში; ქრთამი ზოგჯერ აუცილებლობას წარმოადგენს; გადამეტებული კორუფცია, რეგულირება მძიმე ტვირთად აწევება ბიზნესს.
5	ძალიან მაღალი	მთავრობა ხელს უშლის ახალი ბიზნესის დაწყების ქვეყანაში; კორუფცია ფართოდაა მოდებული.

აღნიშნული მეთოდოლოგიით, ამერიკული ორგანიზაციის „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" (Heritage Foundation) მიერ გაანგარიშებულ იქნა 1999 წლის ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი 161 ქვეყნისათვის. შესაბამისად მომზადებულ იქნა რეიტინგული სისტემა, რომლის მიხედვითაც სისტემის პირველი და ბოლო ათეული შემდეგნაირად გამოიყურება (იხ. ცხრილები №11 და №12).

ზემოთ აღნიშნული 161 ქვეყნის რეიტინგულ სისტემაში საქართველოს, მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.65 — ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების ჯგუფი) შესაბამისად 116-ე ადგილი უკავია (იხ. ცხრილი №13), აგრეთვე მნიშვნელოვანია საქართველოს მეზობელი და მოკავშირე ქვეყნების ადგილი და მდგომარეობა მოცემულ რეიტინგულ სისტემაში (იხ. ცხრილი №14).

ქვემოთ ჩვენ გთავაზობთ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ საქართველოსა და მისი მეზობელი ქვეყნების შეფასების დეტალურ მიმოხილვას.

საქართველო

საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.65) მიხედვით შედის ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების რიცხვში. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლები.

1. <u>საგაჭრო პოლიტიკა</u> — 3 სტაბილური (პროტექციონიზმის ზომიერი დონე).

საქართველოში საშუალო საბაჟო სატარიფო განაკვეთი 8%-ს უდრის. მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობს ბარიერები იმპორტზე, ზოგიერთი სახეობის პროდუქციის იმპორტირებისათვის საჭიროა ლიცენზია. ასევე აღსანიშნავია, რომ საქართველო იყენებს საიმპორტო და საექსპორტო ქვოტებს.

2. <u>დაბეგვრა.</u>

საშემოსავლო გადასახადები — 2 სტაბილური (დაბალი საგადასახადო განაკვეთი);

მოგების გადასახადი — 2 სტაბილური (დაბალი საგადასახადო განაკვეთი);

საბოლოო შეფასება — 2.5 (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი);

საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი შეადგენს 20%-ს. საშუალო გადამხდელები ხვდებიან 15%-იან ზონაში. უმაღლესი მოგების გადასახადი არის 20%. ასევე აქვს სხვა სახის გადასახადებიც, მათ შორის 20%-იანი დღგ. გადასახადის აკრეფას ზიანს აყენებს არაეფექტური ბიუროკრატიული სისტემა.

3. <u>სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში</u> — 2 სტაბილური (ეკონომიკაში ჩარევის დაბალი დონე).

სახელმწიფო მოიხმარს მთლიანი შიდა პროდუქტის 7%-ს, აღნიშნული მონაცემი 1992 წელს 30%-ს შეადგენდა. შესაბამისად

საქართველოს მაჩვენებელი ამ ფაქტორის მიხედვით გაუმჯობესდა, მაგრამ სახელმწიფო ქონებაში არსებულ სექტორს დიდი წვლილი შეაქვს მშპ-ში. ზემოთ აღნიშნული მოხმარების დონის შემცირების გამო, სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში შემცირდა გლობალური სტანდარტების შესაბამისად.

4. <u>მონეტარული პოლიტიკა</u> — 5 სტაბილური (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

1993-94 წლებში ფასები 60%-ით გაიზარდა. 1996 წელს ინფლაციის ტემპი 48%-ით დაეცა. მაგრამ სტანდარტების შესაბამისად მაჩვენებელი კვლავ მკაცრია.

5. <u>კაპიტალის მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები</u> — 3 სტაბილური (ზომიერი ბარიერები).

საქართველოში არსებობს მცირე შეზღუდვები ინვესტიციებზე. მრეწველობის უმრავლესი დარგი ღიაა ინვესტიციებისათვის, მაგრამ არის პრობლემები საკანონმდებლო სისტემასთან და ბიუროკრატიულ აპარატთან მიმართებაში. სახელმწიფო ქონებაში არსებული საწარმოების გაკოტრება დიდ პრობლემას წარმოადგენს. ასევე გადაუჭრელ პრობლემად რჩება მიწის საკუთრება.

6. <u>საბანკო საქმე</u> — 4 სტაბილური (შეზღუდვების მაღალი დონე).

საქართველოს საბანკო სისტემაში ქაოსური მდგომარეობაა. სახელმწიფო მკაცრად აკონტროლებს ადგილობრივ საბანკო სისტემას. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტი აცხადებს: „საქართველოს კანონები ნებას რთავენ ფინანსების თავისუფალ მოძრაობაზე, მაგრამ პრაქტიკულად, დინება ფერხდება სუსტი და არასაიმედო ბანკთა შორისი კომუნიკაციების გამო".

ცხრილი №10

შავი ბაზრის შეფასების შკალა

შეფასება	შავი ბაზრის აქტივობის დონე	კრიტერიუმები
1	ძალიან დაბალი	შავი ბაზრის აქტივობის ძალიან დაბალი დონე; ეკონომიკა ძირითადად თავისუფალია, მაგრამ არსებობს იარაღისა და ნარკოტიკების შავი ბაზარი.
2	დაბალი	შავი ბაზრის აქტივობის დაბალი დონე; ეკონომიკას შეიძლება ახასიათებდეს ხამუშაო ძალის მცირე შავი ბაზარი ან ინტელექტუალური საკუთრების მეკობრეობა.
3	ზომიერი	შავი ბაზრის აქტივობის ზომიერი დონე; ქვეყნებში შეიძლება იყოს შრომის, სოფლის მეურნეობის და ტრანსპორტის შავი ბაზარი, ასევე ინტელექტუალური საკუთრების მეკობრეობის ზომიერი დონე.
4	მაღალი	შავი ბაზრის აქტივობის მაღალი დონე; ქვეყნებს შეიძლება გააჩნდეთ შავი ბაზრის არსებითი დონე ისეთ სექტორში, როგორიცაა შრომა, ინტელექტუალური საკუთრება და სამომხმარებლო საქონლის კონტრაბანდა, აგრეთვე ისეთ მომსახურების სფეროებში, როგორიცაა ტრანსპორტი, ელექტროენერგია და ტელეკომუნიკაციები.
5	ძალიან მაღალი	შავი ბაზრის ძალიან მაღალი დონე; შავი ბაზარი სჭარბობს მათ ფორმალურ ბაზარს.

კომუნიკაციების გამო".

7. <u>ხელფასისა და ფასების კონტროლი</u> — 4 სტაბილური (მაღალი დონე).

მთავრობა კვლავ აწესებს ზოგიერთ ხელფასსა და ფასს. სახელმწიფო გასცემს სუბსიდიებს სამთავრობო საწარმოებზე, რათა მათი საქონელი გაიყიდოს ხელოვნურ დაბალ ფასებში, ასევე იგი აწესებს ფასებს ელექტროენერგიაზე, პურზე და ზოგიერთ მუნიციპალურ მომსახურებაზე.

8. <u>საკუთრების უფლება</u> — 4 სტაბილური (პროტექციის დაბალი დონე).

საქართველოში 90-იანი წლების დასაწყისში არსებულმა ეთნოკომფლიქტურმა მდგომარეობამ განაპირობა, რომ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში არ ვრცელდება საქართველოს იურისდიქცია, აქედან გამომდინარე, დარღვეულია ამ ტერიტორიებზე საკუთრების უფლებები. სწორედ აღნიშნულმა ფაქტორმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა მოახდინა მოცემულ მაჩვენებელზე. ამასთან, ჯერჯერობით არ არის სრულყოფილი არც სასამართლო სისტემა და არც საკანონმდებლო ბაზა, რომელიც დაიცავს საკუთრების უფლებებს.

9. <u>რეგულირება</u> — 4 სტაბილური (მაღალი დონე).

ბიზნესის დაწყება საქართველოში ხშირ შემთხვევაში რთულია, განსაკუთრებით თუ

აღნიშნული საქმიანობა კონკურენციას გაუწევს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ საწარმოს. რეგულირება არათანაბრად ვრცელდება და დიდია კორუფცია. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტი ყოველივე ამას უმატებს კრიმინალური მდგომარეობის მაღალ დონეს, ცენტრალური დაგეგმის და ბიუროკრატიის ნიშნებს.

10. <u>შავი ბაზარი</u> —5 სტაბილური (ძალიან მაღალი დონე).

ზოგიერთი გამოთვლის შედეგად საქართველოში შავი ბაზრის მოცულობა ფორმალური (ოფიციალური) ბაზრის მოცულობის ტოლია. იგი მოიცავს კომპიუტერული

ცხრილი №11

ყველაზე თავისუფალი ეკონომიკის მქონე 10 ქვეყანა ეთი-ს მიხედვით

ქვეყნები	შეფასება					ვაჭრობა	დაბეგვრა	მთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრების უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
	1999	1998	1997	1996	1995										
1. ჰონ-კონგი	1,25	1,25	1,25	1,25	1,25	1	1,5	1	2	1	1	2	1	1	1
2. სინგაპური	1.,30	1.,30	1.,30	1.,30	1,25	1	3	1	1	1	2	1	1	1	1
3. ბაჰრეინი	1,70	1,70	1,60	1,70	1,60	2	1	3	1	2	2	2	1	2	1
4. ახალი ზელანდია	1,75	1,75	1,75	1,75	–	2	3,5	2	1	2	1	2	1	2	1
5. შვეიცარია	1,85+	1,90	1,90	1,80	–	2	2,5+	3	1	2	1	2	1	3	1
6. აშშ	1,90	1,90	1,90	1,90	1,90	2	4	2	1	2	2	2	1	2	1
7. ირლანდია	1,95+	2,00	2,20	2,20	2,20	2	4,5+	2	1	2	2	2	1	2	1
7. ლუქსემბურგი	1,95	1,95	2,05	1,95	–	2	3,5	3	1	2	2	2	1	2	1
7. ტაივანი	1,95	1,95	1,95	1,95	1,95	2	2,5	2	1	3	3	2	1	2	1
7. დიდი ბრიტანეთი	1,95	1,95	1,95	1,95	1,95	2	4,5	2	1	2	2	2	1	2	1

პროგრამების, კომპაქტ დისკებისა და ფილმების მეკობრეობას. ასევე კონტრაბანდას მეზობელი ქვეყნებიდან: თურქეთიდან, რუსეთიდან, სომხეთიდან და აზერბაიჯანიდან.

სომხეთი

სომხეთი მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.45) მიხედვით შედის ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების ჯგუფში. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლები.

1. <u>სავაჭრო პოლიტიკა</u> — 2 სტაბილური (პროტექციონიზმის დაბალი დონე).

სომხეთში საშუალო სატარიფო განაკვეთი 5%-ზე ნაკლებია. იგი იყენებს არასატარიფო ბარიერებს, ითხოვს რა ლიცენზიებს რამდენიმე სახეობის საქონელზე, მათ შორის ფარმაცევტულზე.

2. <u>დაბეგვრა</u>.

საშემოსავლო გადასახადები — 3 სტაბილური (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი)

მოგების გადასახადი — 3 სტაბილური (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი);

საბოლოო შეფასება — 3.5 (მაღალი; საგადასახადო განაკვეთი).

საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი სომხეთში შეადგენს 30%-ს. საშემოსავლო გადასახადის საშუალო განაკვეთი — 12-15% - მდეა. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთი არის 30%. სომხეთის სახელმწიფო ასევე აწესებს 20%-იან დღგ-ს.

3. <u>სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში</u> — 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

ცხრილი №12

ყველაზე დახურული ეკონომიკის მქონე 10 ქვეყანა ე.ი.ი. მიხედვით

ქვეყნები	შეფასება					ვაჭრობა	დაბეგვრა	მთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრების უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
	1999	1998	1997	1996	1995										
152. ვიეტნამი	4,60+	4,70	4,70	4,70	4,70	5	5	5	4+	4	4	4	5	5	5
153. კონგო (ყოფილი ზაირი)	4,70	4,70	4,20	4,20	–	5	5	4	5	5	5	4	5	4	5
153. ირანი	4,70	4,70	4,70	4,70	–	5	5	5	4	5	5	4	5	4	5
155. ბოსნია	4,80	4,80	–	–	–	5	5	5	5	4	5	4	5	5	5
155. სომალი	4,80-	4,70	4,70	4,70	–	5	5	5	5	4	5	4	5	5	5
157. ერაყი	4,90	4,90	4,90	4,90	–	5	5	5	5	5	5	5	5	4	5
157. ლაოსი	4,90+	5,00	5,00	5,00	–	5	5	5	4+	5	5	5	5	5	5
157. ლიბია	4,90-	4,70	4,70	4,70	–	5	5	5	4	5	5	5	5	5	5
160. კუბა	5,00	5,00	5,00	5,00	5,00	5	5	5	5	5	5	5	5	5	5
160. სრ. კორეა	5,00	5,00	5,00	5,00	5,00	5	5	5	5	5	5	5	5	5	5

მოშლილი ინფრასტრუქტურა და არაეფექტური საბანკო და სასამართლო სისტემა.

6. <u>საბანკო საქმე</u> — 3 სტაბილური (შეზღუდვების ზომიერი დონე).

საბანკო სისტემა სომხეთში უმჯობესდება და 40-ზე მეტი კერძო ბანკი ფუნქციონირებს. აღნიშნული ბანკები თავაზობენ ზოგიერთი სახის მომსახურებას და გაცემენ სესხებს კერძო სექტორზე, ამასთანავე სახელმწიფო კვლავ ფლობს და მართავს რამდენიმე ბანკს.

7. <u>ხელფასისა და ფასების კონტროლი</u> — 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

ფასების უმრავლესობა წესდება ბაზრის მიერ. ფასების კონტროლი კვლავ ხდება რენტაზე, ელექტროენერგიაზე და საზოგადოებრივ ტრანსპორტზე.

8. <u>საკუთრების უფლება</u> — 3 სტაბილური (პროტექციის ზომიერი დონე).

კერძო საკუთრება გარანტირებულია სომხეთის კანონის მიერ. თუმცა ვერც საკანონმდებლო და ვერც სასამართლო სისტემა ვერ უზრუნველყოფენ საკუთრების უფლებების შესაბამის დაცვას. ამერიკის შეერთებული შტატების ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენებაში ნათქვამია: „ყველა უთანხმოება რაც წარმოიშვება ინვესტორებსა და სომხეთს შორის, წყდება სომხეთის სასამართლოში“. აღნიშნული ფაქტორი ზღუდავს კერძო საკუთრების მეპატრონის შესაძლებლობებს, ეს განსაკუთრებული სიმწვავით უცხოელ ინვესტორებს ეხება. ყველაფერთან ერთად სასამართლო სისტემა მთლიანად დამოუკიდებელი არ არის“. აშშ-ს ვაჭრობის

ცხრილი №13

საქართველოს ეკონომიკის თავისუფლების ხარისხი ეთი-ს მიხედვით

ქვეყნები	შეფასება					ვაჭრობა	დაბეგვრა	მთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრების უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
	1999	1998	1997	1996	1995										
111. ნიკარაგუა	3,50	3,50	3,60	3,60	3,90	4	3	2	5	2	3	3	4	4	5
115. გამბია	3,60	3,60	3,60	–	–	4	4	3	2	4	4	4	2	4	5
116. ხორვატია	3,65+	3,75	3,70	3,70	–	3	3,5	4+	5	3	3	4	4	4	3
116. საქართველო	3,65	3,65	3,85	3,85	–	3	2,5	2	5	3	4	4	4	4	5
116. მალავი	3,65	3,65	3,55	3,40	3,40	5	4,5	3	4	3	3	3	3	4	4
119. კაბო ვერდე	3,67-	3,44	3,44	3,44	–	5	–	5-	2	2	5	4	2	4	4
120. ეთიოპია	3,70	3,70	3,60	3,70	3,80	5	4	3	2	4	4	3	4	4	4

დეპარტამენტის მოხსენებაში ასევე აღნიშნულია, რომ „კონსტიტუცია ანიჭებს სასამართლოს დამოუკიდებლობას, თუმცა რეალობაში აღნიშნული სისტემა განიცდის სერიოზულ ზეწოლას, როგორც საკანონმდებლო ისევე აღმასრულებელი ორგანოებიდან“. მიუხედავად ამისა გლობალური სტანდარტების შესაბამისად სომხეთი იღებს ზომიერი დონის შეფასებას 3-ს.

9. <u>რეგულირება</u> — 4 სტაბილური (მაღალი დონე).

სომხეთში ბიზნესის დაწყება უფრო და უფრო ადვილი ხდება, მაგრამ კორუმპირებული, ბიუროკრატიული აპარატი კვლავ რჩება რეგულირების მაღალი დონის განმსაზღვრელად. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენების მიხედვით „მთავრობამ წინ გადადგა ნაბიჯი ეკონომიკის განვითარებაში, მაგრამ კვლავ არსებობს უამრავი პრობლემა რომელსაც აწყდებიან ბიზნესმენები და ინვესტორები: რთული ბიუროკრატია, გადასახადების არაგამჭვირვალობა, კორუფცია.“

10. <u>შავი ბაზარი</u> — 4 სტაბილური (მაღალი დონე).

შავ ბაზარს მყარად აქვს ფეხი მოკიდებული ტრანსპორტისა და შრომის სექტორში. სავაჭრო ემბარგოების გამო, მრავალი საქონელი (მათ შორის სურსათი) კონტრაბანდული გზით შემოდის. სომხეთი ასევე ვერ უზრუნველყოფს ინტელექტუალური საკუთრების დაცვას. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მონაცემების მიხედვით არალეგალური გზით შემოსული ამერიკული ფილმები, აუდიოჩანაწერები, კომპიუტერული პროგრამები და წიგნები ფართოდ ხელმისაწვდომია.

აზერბაიჯანი

აზერბაიჯანი მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (4.30+) მიხედვით დახშული ქვეყნების რიცხვში შედის. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლები.

1. <u>სავაჭრო პოლიტიკა</u> — 5 სტაბილური (პროტექციონიზმის ძალიან მაღალი დონე).

1997 წელს აზერბაიჯანმა შეამცირა საბაჟო ტარიფი 15%-მდე. მაგრამ იგი კვლავ მაღალია სტანდარტების შესაბამისად, ასევე არსებობენ

ცხრილი №14

საქართველოს და მეზობელი ქვეყნების ეკონომიკის თავისუფლების ხარისხი ეთი-ს მიხედვით

ქვეყნები	შეფასება 1999	1998	1997	1996	1995	ვაჭრობა	დაბეგვრა	მთავრობის ინტერვენცია	მონეტარული პოლიტიკა	უცხოური ინვესტიციები	საბანკო საქმე	ხელფასები ფასები	საკუთრების უფლებები	რეგულირება	შავი ბაზარი
54. თურქეთი	2,80	2,80	2,80	3,00	3,00	2	4	2	5	2	2	3	2	3	2
106. სომხეთი	3,45	3,45	3,45	3,75	–	2	3,5	3	5	4	3	3	3	4	4
106. რუსეთი	3,45	3,45	3,65	3,50	3,50	4	3,5	3	5	3	2	3	3	4	4
116. საქართველო	3,65	3,65	3,85	3,85	–	3	2,5	2	5	3	4	4	4	4	5
124. უკრაინა	3,80	3,80	3,75	4,00	3,90	4	4	3	5	3	4	3	4	4	4
143. აზერბაიჯანი	4,30+	4,40	4,60	4,70	–	5	4	4+	5	4	4	5	4	4	4

არასატარიფო ბარიერები. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენებაში აღნიშნულია, რომ „კომპანიები ხშირად აწყდებიან პრობლემებს საბაჟოზე საქონლის მიღებისას, რამეთუ ჩინოვნიკები ამ პროცესს განგებ აყოვნებენ ქრთამის მიღების იმედით“.

2. <u>დაბეგვრა.</u>

საშემოსავლო გადასახადები — 4 სტაბილური (მაღალი საგადასახადო განაკვეთი);

მოგების გადასახადი — 3 სტაბილური (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი);

საბოლოო შეფასება — 4 (მაღალი საგადასახადო განაკვეთი);

აზერბაიჯანის საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 40%-ს შეადგენს, რომელიც შემცირდა 1996 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით (55%). საშემოსავლო გადასახადის საშუალო განაკვეთი 15%-ს შეადგენს. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 34%. აზერბაიჯანი ასევე ბეგრავს 20%-იანი დღგ-თი.

3. <u>სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში</u> — 4+ სტაბილური (მაღალი დონე).

აზერბაიჯანში სახელმწიფო ქონების ფართო პრივატიზაცია მიმდინარეობს, მაგრამ სახელმწიფო რჩება მსხვილი საწარმოების მფლობელად და იგი მთლიანად დომინირებს აგროსამრეწველო სექტორში.

4. <u>მონეტარული პოლიტიკა</u> — 5 სტაბილური (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

აზერბაიჯანის მთავრობამ მოახდინა დიდი პროგრესი ინფლაციის შემცირებაში, რომლის დონეც 1992 წელს 616% იყო, 1130% — 1993 წელს, 1664% — 1994 წელს, და 411% — 1995 წელს, ხოლო 1996 წელს ამ მაჩვენებელმა 19,9% შეადგინა, და მაინც სტანდარტების შესაბამისად, ინფლაციის დონე კვლავ ძალიან მაღალია.

5. <u>კაპიტალის მოძრაობა და უცხოური ინვესტიციები</u> — 4 სტაბილური (მაღალი ბარიერები).

მართალია სახელმწიფოს სურს გაზარდოს უცხოური ინვესტიციები, მაგრამ არაეფექტური საკანონმდებლო ბაზის გამო ეს პროცესი ფერხდება. ასევე არსებობს ბიუროკრატიზმი, კორუფცია და სუსტი ინფრასტრუქტურა. პრობლემას წარმოადგენდა ის ფაქტი, რომ დიდი ხნის მანძილზე აკრძალული იყო მიწის საკუთრება. დამატებით, როგორც ამას აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენებაში ვკითხულობთ, „აზერბაიჯანში არა-ნავთობის ინვესტორები აწყდებიან პრობლემას თავიანთი საქმიანობის ეფექტურად წარმართვისას, რაც გამოწვეულია ნელი პრივატიზაციული პროცესით, გაურკვეველი საგადასახადო სისტემით და ზოგადად სახელმწიფოს მიერ გატარებული პოლიტიკით, ასევე კორუფციის მაღალი დონით“, მაგრამ ასევე უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფომ შეამცირა ყველა ფორმალური ბარიერი ინვესტიციებისათვის. 1996 წლის ივლისში მიიღო კანონი მიწის საკუთრების შესახებ, რაც უცხოელ ინვესტორებს მიწის ფლობის ნებას რთავს.

6. <u>საბანკო საქმე</u> — 4 სტაბილური (შეზღუდვების მაღალი დონე).

აზერბაიჯანის საბანკო სისტემაში ქაოსური მდგომარეობაა. ბანკების უმრავლესობას სახელმწიფო ფლობს, რომელთა უმრავლესობა გაკოტრებულია. ასევე არის რამდენიმე უცხოური ბანკი.

7. <u>ხელფასისა და ფასების კონტროლი</u> — 5 სტაბილური (ძალიან მაღალი დონე).

ხელფასები და ფასები კონტროლდება სახელმწიფო სამინისტროებისა და სახელმწიფო საკუთრების სექტორის მიერ. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენებაში ნათქვამია: რომ „აზერბაიჯანი აკონტროლებს ფასებს მნიშვნელოვან საქონელზე: პურზე, ბუნებრივ გაზზე და ნავთობზე. როდესაც იგი წევს ფასებს აღნიშნულ საქონელზე, ან ხელოვნურად დაბალ ფასებს აწესებს, წარმოიშობა მათი დეფიციტი, რაც თავის მხრივ იწვევს კორუფციასა და შავი ბაზრის გააქტიურებას“.

8. <u>საკუთრების უფლება</u> — 4 სტაბილური (პროტექციის დაბალი დონე).

კერძო საკუთრება არ არის დაცული კანონის მიერ. უკანასკნელ პერიოდამდე უცხოელ ინვესტორებს არ შეეძლოთ მიწის ფლობა. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენების შესაბამისად „აზერბაიჯანში სასამართლო სისტემა არ არის თავისუფალი პოლიტიკური და ფინანსური ზეგავლენისაგან. კორუფცია კი მთავარ პრობლემად რჩება“.

9. <u>რეგულირება</u> — 4 სტაბილური (მაღალი დონე).

ბიზნესის დაწყება რთული და ხანგრძლივი პროცედურაა, რომელიც მოითხოვს უამრავი ბიუროკრატიული ბარიერის გადალახვას. ამ ეტაპზე აზერბაიჯანი ამზადებს და მუშაობს საკითხზე, თუ როგორ გაივლიან რეგისტრაციას და როგორ მიიღებენ ლიცენზიებს პირები, ვისაც სურს ახალი საქმის დაწყება.

10. <u>შავი ბაზარი</u> — 4 სტაბილური (მაღალი დონე).

შავი ბაზრის უდიდესი წილი კონტრაბანდაზე მოდის. არალეგალური ვაჭრობა მიმდინარეობს თითქმის ყველა სახის საქონელზე. აზერბაიჯანმა მიიღო კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და შავი ბაზრის აქტივობა ამ მხრივ შემცირდა.

უკრაინა

უკრაინა მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.80) მიხედვით შედის ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების რიცხვში. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლები.

1. <u>სავაჭრო პოლიტიკა</u> - 4 სტაბილური (პროტექციონიზმის მაღალი დონე).

უკრაინაში სატარიფო განაკვეთები 0%-დან 30%-მდე ვარირებენ, მაგრამ ტარიფების უმრავლესობა 16%-ს შეადგენს. უკრაინაში უფრო აქტიურად გამოიყენება არასატარიფო ბარიერები, იმპორტისათვის სალიცენზიო მოთხოვნები ბოლო დროს უფრო გამარტივდა, ახლა აღნიშნული სახის მოთხოვნები ეხება უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვის სტანდარტებს, ასევე შეზღუდვებია ფარმაცევტულ საქონელზე.

2. <u>საგადასახადო სისტემა.</u>

საშემოსავლო გადასახადი - 4 სტაბილური (მაღალი საგადასახადო განაკვეთი);

მოგების გადასახადი - 3 სტაბილური (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი);

საბოლოო შეფასება - 4 სტაბილური (მაღალი საგადასახადო განაკვეთი).

უკრაინაში საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 40%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო განაკვეთი - 20%-ს, რომელიც 1997 წელს 30% იყო. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთი კი 30%-ია. უკრაინაში ასევე არის 20%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადი.

3. <u>სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში</u> - 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

მთავრობა უკრაინის მთლიანი შიდა პროდუქტის 18.3%-ს მოიხმარს. ამასთანავე, სახელმწიფო სექტორი კვლავ განაგრძობს მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითადი ნაწილის წარმოებას.

4. <u>მონეტარული პოლიტიკა</u> - 5 სტაბილური (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

მას შემდეგ, რაც უკარაინა გახდა

დამოუკიდებელი სახელმწიფო, მან შეძლო ინფლაციის დაძლევა. ინფლაციის ტემპი წლების შესაბამისად ასე გამოიყურება: 1992წ - 1310%, 1993წ - 4735%, 1994 წელს — 891%, 1995 წელს - 337%, 1996 წელს - 80%. მიუხედავად აღნიშნული პროგრესისა უკრაინამ მაინც მიიღო უმაღლესი შეფასება სტანდარტების შესაბამისად.

5. <u>უცხოური ინვესტიციები</u> - 3 სტაბილური (ზომიერი ბარიერები).

უკრაინის კანონების შესაბამისად უცხოელი და ადგილობრივი ინვესტორები თანაბარი უფლებებით სარგებლობენ. შეზღუდვები თითქმის არ არის. 1996 წელს კი უკრაინის მთავრობამ მიიღო კანონი, რომელიც ინვესტორებს უქმნის უფროლია და საიმედო გარემოს, ვიდრე ეს იყო მანამდე. მიუხედავად ამისა კვლავ ძლიერად მუშაობს ბიუროკრატიის და კორუფციის მექანიზმი.

6. <u>საბანკო საქმე</u> - 4 სტაბილური (შეზღუდვების მაღალი დონე).

უკრაინის საბანკო სისტემა რჩება ქაოსურ მდგომარეობაში, იგი განიცდის ძლიერ სახელმწიფო ჩარევას და მკაცრ კონტროლს კრედიტების გაცემაზე. მართალია არსებობენ კერძო ბანკები, მაგრამ ისინი ვერ უწევენ კონკურენციას სახელმწიფოს კონტროლის ქვეშ არსებულ და სუბსიდირებულ ინსტიტუტებს. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის შეფასებით „უკრაინის საბანკო სისტემა არის არასტაბილური და იმყოფებიან რთულ გარდამავალ პერიოდში“

7. <u>ხელფასისა და ფასების კონტროლი</u> - 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

უკრაინის მრეწველობაში დასაქმებულთა ხელფასებს აკონტროლებს მთავრობა. იგი ასევე აკონტროლებს ზოგიერთ ფასს, განსაკუთრებით საზოგადოებრივი მომსახურების სფეროებში.

8. <u>საკუთრების უფლებები</u> - 4 სტაბილური (პროტექციის დაბალი დონე).

უკრაინის კონსტიტუცია იცავს კერძო საკუთრებას, თუმცა მთავრობამ ჯერ კიდევ ბევრი უნდა იმუშაოს საკანონმდებლო სისტემაზე, რომელიც უზრუნველყოფს საკუთრების უფლების სრულუფლებიან დაცვას. მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარეობს ფართო პრივატიზაციული პროცესი, სახელმწიფოს კვლავ აქვს ქონების კონფისკაციის უფლება.

9. <u>რეგულირება</u> - 4 სტაბილური (მაღალი დონე).

რეგულირება ბიზნესს უკრაინაში სერიოზულ ზიანს აყენებს. ამასთანავე, მეორე პრობლემა არის ფართოდ გავრცელებული ბიუროკრატიული კორუფცია, რომელიც ზღუდავს ეკონომიკური საქმიანობის შესაძლებლობებს. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენების შესაბამისად „კორუფცია არსებობს უკრაინის სამოქალაქო მომსახურების და რეგულირების თითქმის ყველა სისტემაში... გართულებული და არაგამჭირვალე რეგულირების სისტემა ასევე ხელს უწყობს კორუფციას სამთავრობო დონეებზე.“

10. <u>შავი ბაზარი</u> - 4 სტაბილური (მაღალი დონე).

ვინაიდან მთავრობა აკონტროლებს უკრაინის ეკონომიკის დიდ ნაწილს, ბიზნესი უმეტესწილად არაოფიციალურ სექტორში ფუნქციონირებს. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენების შესაბამისად „მსოფლიო ბანკმა გამოითვალა, რომ აღნიშნულ სექტორზე მოდის მთლიანი შიდა პროდუქტის ნახევარზე მეტი.“ ზოგიერთი გამოთვლის მიხედვით კი არაოფიციალურ სექტორს უკრაინის ეკონომიკაში 60 % უკავია.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ

თურქეთი მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (2.80) მიხედვით ძირითადად თავისუფალი ქვეყნების რიცხვში შედის. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლები.

1. <u>სავაჭრო პოლიტიკა</u> — 2 სტაბილური (პროტექციონიზმის დაბალი დონე).

თურქეთს აქვს საშუალო სატარიფო განაკვეთი 5-6%. თურქეთში ითხოვენ სპეციალურ ლიცენზიებს ქვეყანაში პროდუქციის გაყიდვის უფლების მისაღებად. თუმცა ამ ლიცენზიის მიღება შედარებით ადვილია, მაგრამ აღნიშნული პროცედურა იმპორტიორებს უქმნის ფინანსურ და ადმინისტრაციულ სირთულეებს. ამის გარდა არსებობს სხვა მნიშვნელოვანი შეზღუდვები იმპორტზე.

2 <u>საგადასახადო სისტემა</u>

საშემოსავლო გადასახადი - 5 სტაბილური (ძალიან მაღალი საგადასახადო განაკვეთი);

მოგების გადასახადი - 2 სტაბილური (დაბალი საგადასახადო განაკვეთი);

საბოლოო შეფასება - 4 სტაბილური (მაღალი საგადასახადო განაკვეთი).

თურქეთში საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 55%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო განაკვეთი - 25%-ს, რომელიც 1995 წელს 45% იყო. თურქეთში ასევე არის 20%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადი.

3. <u>სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში</u> - 2 სტაბილური (დაბალი დონე).

მთავრობა მოიხმარს თურქეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 7,6%-ს. ამასთანავე სახელმწიფო სექტორი კვლავ აწარმოებს მთლიანი შიდა პროდუქტის ძირითად ნაწილს. მიუხედავად იმისა, რომ თურქეთს აქვს პრივატიზაციის პროგრამაც, სახელმწიფო ფლობს ბევრ კომპანიას ისეთ სფეროებში, როგორიცაა პორტები, რკინიგზები, საავიაციო ხაზები, ენერგეტიკა, ნავთობი.

4. <u>მონეტარული პოლიტიკა</u> - 5 სტაბილური (ინფლაციის ძალისმაღალი დონე).

ინფლაციის საშუალო დონე თურქეთში 1985 წლიდან 1995წლამდე 64,6% იყო. 1996 წელს ამ მაჩვენებელმა 80,4% შეადგინა.

5. <u>უცხოური ინვესტიციები</u> — 2 სტაბილური (დაბალი ბარიერები).

თურქეთი შედარებით ღიაა უცხოელი

ინვესტორებისათვის, მაგრამ კვლავ არსებობს ზოგიერთი ბარიერი.

6. <u>საბანკო საქმე</u> - 2 სატაბილური (შეზღუდვების დაბალი დონე).

თურქეთში არის 20-ზე მეტი უცხოური ბანკი, ასევე არსებობენ სახელმწიფო ბანკები. აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის მონაცემების შესაბამისად „თურქეთის საბანკო სისტემაში კვლავ დომინირებს რამდენიმე სახელმწიფო ბანკი და საერთო აქტივების 60% თავმოყრილია 7 ყველაზე დიდ ბანკში“.

7. <u>ხელფასისა და ფასების კონტროლი</u> - 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

თურქეთში ცოტა ფასები კონტროლდება ოფიციალურად, მაგრამ ფასების დიდ ნაწილს არაპირდაპირ კარნახობს სახელმწიფო კორპორაციები, რომლებიც თავის მხრივ მთავრობაზეა დამოკიდებული და მისი ზეგავლენის ქვეშ იმყოფება. თურქეთში ასევე არის კანონი მინიმალური ხელფასის შესახებ.

8. <u>საკუთრების უფლებები</u> - 2 სტაბილური (პროტექციის მაღალი დონე).

საკანონმდებლო სისტემა, თუმცა არც ისე სრულყოფილად, მაგრამ მაინც იცავს კერძო საკუთრებას. არსებობს ასევე კონტრაქტების დადებისათვის საჭირო კანონები. სასამართლო სისტემა ძირითადად თავისუფალია პოლიტიკური გავლენისაგან. აქვს კანონი ვაჭრობისა და გაკოტრების შესახებ. თუმცა სასამართლო პროცესი ხშირად დიდხანს გრძელდება.

9. <u>რეგულირება</u> - 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

თურქეთმა შეამცირა ბიუროკრატიზმის დონე და მოახერხა ეკონომიკური ხასიათის გადაწყვეტილებების ცენტრალიზაცია დაუძვემდებარა რა იგი პრემიერ მინისტრს. რეგულირება მოწოდებულია უზრუნველყოს ბიზნესი მეტი თავისუფლებით. თურქეთში არის რამდენიმე კანონი გარემოს დაცვის შესახებ, შესაძლებელია მათ რიცხვს კიდევ დაემატოს რამდენიმე.

10. <u>შავი ბაზარი</u> — 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

თურქეთში ადრე შავ ბაზარს საკმაოდ დიდი ადგილი ეჭირა, განსაკუთრებით ისეთ სფეროში, როგორიც იყო უცხოეთიდან შემოტანილი წიგნები, ჟურნალები, აუდიო-ვიდეო ჩანაწერები. სახელმწიფომ მიიღო კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ და ამ მხრივ მართლაც შემცირდა შავი ბაზრის წილი. მაგრამ შავ ბაზარზე ისევ დიდი ადგილი უჭირავს კომპიუტერული პროგრამების კონტრაბანდას.

ᲠᲣᲡᲔᲗᲘ

რუსეთი მისი ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.45) მიხედვით ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების რიცხვში შედის. განვიხილოთ თითოეული ფაქტორის მაჩვენებლები.

1. <u>სავაჭრო პოლიტიკა</u> — 4 სტაბილური (პროტექციონიზმის მაღალი დონე).

რუსეთის სატარიფო განაკვეთი მერყეობს 5%-დან 30%-მდე, სადაც საშუალო განაკვეთი გამოდის 10.67%, იგივე მაჩვენებელი 1994 წელს 17%-ს შეადგენდა. აღნიშნული მდგომარეობა შეიძლება გამოსწორდეს მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის გაწევრიანებით, რაც სავარაუდოდ საუკუნის ბოლოს მოხდება. საბაჟოზე სერიოზულად დგას კორუფციის პრობლემა და ხშირად ქვეყანაში საქონლის შეტანისათვის ქრთამი აუცილებელი ატრიბუტია.

2. <u>საგადასახადო სისტემა.</u>

საშემოსავლო გადასახადი - 3 სტაბილური (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი);

მოგების გადასახადი - 3 სტაბილური (ზომიერი საგადასახადო განაკვეთი);

საბოლოო შეფასება - 3.5 სტაბილური (მაღალი საგადასახადო განაკვეთი).

რუსეთში საშემოსავლო გადასახადის უმაღლესი განაკვეთი 35%-ს შეადგენს, ხოლო საშუალო განაკვეთი - 12%-ს. მოგების გადასახადის უმაღლესი განაკვეთია - 35%. რუსეთში ასევე არის 20%-იანი დამატებითი ღირებულების გადასახადი.

3. <u>სახელმწიფოს ჩარევა ეკონომიკაში</u> - 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

მთავრობა მოიხმარს რუსეთის მთლიანი შიდა პროდუქტის 18%-ს. 1990 წელს იგივე მაჩვენებელი 25% იყო, მაგრამ სახელმწიფო სექტორის საწარმოები კვლავ აწარმოებენ პროდუქციის დიდ ნაწილს. მთავრობა კვლავ აგრძელებს ისეთი წამგებიანი დარგების სუბსიდირებას, როგორიცაა ქვანახშირის, შავი და ფერადი მეტალურგიის წარმოება, სოფლის მეურნეობა.

4. <u>მონეტარული პოლიტიკა</u> - 5 სტაბილური (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

ბოლო პერიოდში რუსეთის მთავრობამ ინფალაციის კონტროლის სფეროში მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. 1992 წელს ინფლაციის მაჩვენებელი იყო 1300%, 1993წელს - 843%, 1994წელს - 203%, 1995 წელს - 133%, და 1996 წლისათვის 26%-მდე დაეცა. მაგრამ მოცემული ფაქტორის შეფასების სტანდარტების შესაბამისად რუსეთი მაინც უმაღლესი რიცხვით შეფასდა.

5. <u>უცხოური ინვესტიციები</u> — 3 სტაბილური (ზომიერი ბარიერები).

1991 წელს რუსეთმა მიიღო კანონი, რომელიც უცხოელ ინვესტორებს ნებას რთავს იყიდონ პრივატიზირებული ფირმები და გახდნენ კომპანიების სრულუფლებიანი მფლობელები. მაგრამ არის რამდენიმე საკანონმდებლო შეზღუდვა ინვესტიციებზე. ასევე პრობლემას წარმოადგენს კრიმინალური მდგომარეობა, კორუფცია, სუსტი ინფრასტრუქტურა და პოლიტიკური არასტაბილურობა. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენებაში ნათქვამია, „რუსეთის მთავრობა აწყდება სირთულეებს

სტაბილური და მიმზიდველი საინვესტიციო კლიმატის შექმნაში. ეკონომიკურ-პოლიტიკური არამდგრადობა აფრთხობს ინვესტორებს. სრულყოფილი არ არის სამოქალაქო, საავაჭრო და კრიმინალური კოდექსი, ასევე პრობლემაა მაღალი საგადასახადო განაკვეთები, ხოლო ბიუროკრატიული მექანიზმი თავისთავად იწვევს კორუფციას"

6. <u>საბანკო საქმე</u> - 2 სტაბილური (შეზღუდვების დაბალი დონე).

რუსეთში მოხდა ბევრი სახელმწიფო ბანკის პრივატიზაცია, საბანკო სისტემაში მიმდინარეობს სამართლიანი კონკურენცია. ასევე მუშაობენ უცხოური ბანკები, მაგრამ მომსახურების ზოგიერთ სფეროში მათ აქვთ შეზღუდვები. საბანკო სისტემა ხდება უფრო და უფრო კონკურენტული, სადაც მცირდება სახელმწიფოს გავლენა. აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის მოხსენების შესაბამისად, „საბანკო სისტემა სწრაფად ვითარდება რუსეთში და მსხვილი ბანკები სთავაზობენ თანამედროვე საბანკო მომსახურების სრულ ასორტიმენტს"

7. <u>ხელფასისა და ფასების კონტროლი</u> - 3 სტაბილური (ზომიერი დონე).

ფასების 90% რუსეთში ბაზრის მიერ განისაზღვრება, დანარჩენი 5% დაწესებულია მთავრობის მიერ, 5% - კი დგინდება სახელმწიფო შეზღუდვების გავლენით. ფასების კონტროლი რჩება ისეთ სფეროებზე, როგორიცაა სანვავი და ენერგეტიკული რესურსები, მარცვლეული, საზოგადოებრივი ტრანსპორტი, სამედიცინო მომსახურება. რუსეთში ასევე არსებობს მინიმალური ხელფასი.

8. <u>საკუთრების უფლებები</u> - 3 სტაბილური (პროტექციის ზომიერი დონე).

კერძო საკუთრება გარანტირებულია კონსტიტუციის მიერ, რომელიც 1993 წელს მიიღეს. სასამართლო სისტემა ძალინ ცუდად მუშაობს და არ არის შემუშავებული ნათელი და მოქნილი მეთოდები კერძო საკუთრებასთან დაკავშირებული უთანხმოებების გადასაწყვეტად, უფრო მეტიც, კერძო საკუთრება დიდ პოლიტიკურ ყურადღებას იპყრობს და კრიმინალური მდგომარეობა კორუფციასთან ერთად დიდ საფრთხეს წარმოადგენს. აშშ-ს სავაჭრო დეპარტამენტის მოხსენებაში ნათქვამია: „რუსეთში კანონები სწრაფად იცვლება, რაც სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს ბიზნესის დაწყებისა და შემდგომში საქმიანობის წარმართვისათვის. სასამართლო და საკანონმდებლო სისტემა ძალიან ცუდადაა განვითარებული და მუდამ განიცდის პოლიტიკურ ზეგავლენას."

9. <u>რეგულირება</u> - 4 სტაბილური (მაღალი დონე).

რეგულირების დონე რუსეთში მაღალია, კორუფცია და ბიუროკრატია კვლავ სერიოზულ პრობლემად რჩება. აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის მოხსენების შესაბამისად: „სასამართლო და საკანონმდებლო რეფორმები ვერ შეეხო კრიმინალურ მდგომარეობას, უარესდება ბიუროკრატიული მომენტებიც, ამასთანავე 85 სხვადასხვა სახეობის გადასახადი თითქმის შეუძლებელს ხდის ბიზნესის წარმართვას კორუფციის გარეშე."

10. <u>შავი ბაზარი</u> - 4 სტაბილური (მაღალი დონე).

მიუხედავად რუსეთის მისწრაფებისა ჩამოეყალიბებინა თავისუფალი ბაზარი, მის არალეგალურ სექტორს კვლავ დიდი ადგილი უკავია. ასევე არ არის დაცული ინტელექტუალური საკუთრება. რუსეთში ფეხმოკიდებული ორგანიზებულმა კრიმინალმა უკვე თავი დაანება ნარკოტიკებით, პროსტიტუციით და იარაღით ვაჭრობის ტრადიციულ საქმიანობას და ხელი მოკიდა ფულის გაყალბებას, კონტრაბანდას და საბანკო თაღლითობას.

როგორც ვხედავთ, ამერიკული კომპანიის „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" (**Heritage Foundation**), მიერ აშშ-ს ვაჭრობის დეპარტამენტის, აშშ-ს სახელმწიფო დეპარტამენტის, მსოფლიო ბანკისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების მოხსენებებსა და მონაცემებზე დაყრდნობით გამოანგარიშებულ იქნა მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნების ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი. აღსანიშნავია, რომ საქართველოს შეფასება უცხოელი ექსპერტების მხრიდან არც თუ სახარბიელოა და მსოფლიოს 161 ქვეყანას შორის საქართველო 116-ე ადგილზე იმყოფება, რაც შეიძლება ჩვენს ქვეყანაში უცხოური ინვესტიციების შემოდინების ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად მივიჩნიოთ. საბწუხაროდ ის ინფორმაცია, რომელიც „ჰერითიჯ ფაუნდეიშენის" ძირითად დასაყრდენს წარმოადგენს, ხშირ შემთხვევაში არასწორია ან მოძველებულია, რასაც თავად კომპანიის ხელმძღვანელობაც აღიარებს და ყოველივე ამის მიზეზად იმ გარემოებებს ასახელებენ რაც უმეტეს განვითარებად ქვეყნებს ახასიათებს. ალბათ არ იქნებოდა ურიგო, რომ საქართველოში ასეთ ინსტიტუტებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობას სათანადო ყურადღება მიექცეს, თუნდაც ობიექტური და უახლოესი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით. ასეთი ორგანიზაციების კვლევები და შეფასებები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ ქვეყნის საერთაშორისო იმიჯს. დადებით გავლენას ახდენენ ქვეყანაში სასურველი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებას და პოპულარიზაციას, რაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას უცხოელ ინვესტორებზე დიდ გავლენას ახდენს.

როგორც აღვნიშნეთ საქართველო ეკონომიკური თავისუფლების ინდექსის (3.65) მიხედვით ძირითადად არათავისუფალი ქვეყნების რიცხვში შედის. განვიხილოთ ზოგიერთი ფაქტორი საქართველოს მაგალითზე:

საერთაშორისო ორგანიზაციების კვლევები და შეფასებები მნიშვნელოვან წილად განსაზღვრავენ ქვეყნის მსოფლიო იმიჯს. დადებით გავლენას ახდენენ ქვეყანაში სასურველი საინვესტიციო კლიმატის ჩამოყალიბებას და პოპულარიზაციას, რაც კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებისას უცხოელ ინვესტორებზე დიდ გავლენას ახდენს.

საგაჭრო პოლიტიკა — 3 სტაბილური (პროტექციონიზმის ზომიერი დონე).

მეთოდოლოგიის მიხედვით ქვეყანას, რომლის საშუალო საბაჟო სატარიფო განაკვეთი 5%-დან 9%-მდეა, ეკუთვნის შეფასება — 2 (საქართველოს საშუალო საბაჟო სატარიფო განაკვეთი 8%); მოცემული ფაქტორის მაჩვენებლის დათვლისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს არასატარიფო განაკვეთი და კორუფცია საბაჟოზე, თავად უცხოელი ექსპერტების მოსაზრების თანახმად საქართველოში თითქმის არ არსებობს ბარიერები იმპორტზე, ხოლო რაც შეეხება კორუფციას საბაჟოზე, ამ მხრივ საერთოდ არ არის გათვალისწინებული ამა წლის აგვისტოში საქართველოს საბაჟოს მმართველობის გადაცემა ბრიტანული კომპანიისათვის (**ITS**), რომლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზი, სწორედ საბაჟოზე კორუფციის აღმოფხვრაა. ასევე ხაზგასასმელია საქართველოს გაწევრიანება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში (**WTO**), რომლის მიზანს წარმოადგენს ქვეყნებში თავისუფალი ბაზრის ჩამოყალიბება და ტარიფების მაქსიმალური შემცირება. ყოველივე ამის გათვალისწინების შემთხვევაში, სავსებით შესაძლებელია საქართველოს სავაჭრო პოლიტიკა შეფასდეს 2-ით.

მთავრობის ჩარევა ეკონომიკაში — 2 სტაბილური (ეკონომიკაში ჩარევის დაბალი დონე).

მეთოდოლოგიის მიხედვით მოცემული ფაქტორის მაჩვენებლის გაანგარიშებისას აუცილებლად ყურადღება უნდა მიექცეს ისეთ პარამეტრებს, როგორიცაა სახელმწიფო საკუთრების წილი მრეწველობასა და ბიზნესში, სახელმწიფოს მიერ წარმოებული პროდუქცია. უცხოელი ექსპერტების განმარტებაში, მიზეზად თუ რატომ მივიღეთ შეფასება 2, ნახსენებია, რომ სახელმწიფო მოიხმარს მშპ-ს 7%-ს, რომელიც მნიშვნელოვნად შემცირებულია 1992 წლის მაჩვენებელთან (30%) შედარებით. ანალოგიური ფაქტორის მაჩვენებლის დათვლისას სხვა სახელმწიფოებში ითვალისწინებენ პრივატიზაციის პროცესს, რაც საქართველოს მაგალითში სრულიად იგნორირებულია. აღსანიშნავია, რომ 1999 წლის პირველი კვარტალის მონაცემების შესაბამისად, საშუალო და მსხვილი სანარმოების მთლიანი რიცხვის 80% პრივატიზირებულია და მას შემდეგაც ამ მხრივ მნიშვნელოვანი ძვრები აღინიშნებოდა.

აუცილებელია საქართველოში საერთაშორისო ინსტიტუტებთან და ორგანიზაციებთან თანამშრომლობას სათანადო ყურადღება მიექცეს, თუნდაც ობიექტური და უახლოესი ინფორმაციის მიწოდების თვალსაზრისით.

მონეტარული პოლიტიკა- 5 სტაბილური (ინფლაციის ძალიან მაღალი დონე).

გლობალური სტანდარტების შესაბამისად, რომელიც გულისხმობს 1986-96 წლებში არსებული ინფლაციის საშუალო ტემპს. მაჩვენებელი 5 აშკარად სამართლიანია, მაგრამ ჩვენის აზრით არ იქნებოდა ურიგო, აქვე აღნიშნულიყო (როგორც სხვა სახელმწიფოების ანალიზში ვხვდებით) 1995-96 წლებში სტაბილიზაციის პროგრამის ამოქმედება და წარმატებით განხორციელება, კერძოდ ეროვნული ვალუტის შემოღება, მისი გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება და ინფლაციის ტემპის საგრძნობლად დაცემა.

საბანკო საქმე - 4 სტაბილური (შეზღუდვების მაღალი დონე).

გლობალური სტანდარტების შესაბამისად შეფასება 4 ქვეყნის საბანკო სისტემას იმ შემთხვევაში ენიჭება, როცა საბანკო სისტემა გარდამავალ ეტაპზეა; ბანკები სახელმწიფოს მიერ მკაცრად კონტროლდება და ეს უკანასკნელი ფლობს ქვეყანაში არსებული ბანკების უმრავლესობას; უცხოური ბანკების დაარსება თითქმის შეუძლებელია.

1995-96 წლებში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გატარებული პოლიტიკის საფუძველზე, საქართველოში სამსაფეხურიანი საბანკო სისტემა (ცენტრალური, სახელმწიფო და კომერციული ბანკები) ორსაფეხურიანად (ცენტრალური და კომერციული ბანკები) გარდაიქმნა, ამასთანავე აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი ბანკებისა და უცხოური ბანკების ფილიალების დაარსება სურვილისა და შესაძლებლობების (კაპიტალის) არსებობისას სავსებით შესაძლებელია.

შავი ბაზარი — 5 სტაბილური (ძალიან მაღალი დონე).

აღსანიშნავია, რომ ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი ერთადერთი მაჩვენებელია, რომელიც შავ ბაზარს განიხილავს როგორც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ

ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში გატარდა მთელი რიგი რეფორმები სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებიდან კორუფციის აღმოფხვრისათვის, უნდა ვაღიაროთ, რომ ჯერ-ჯერობით საქართველოს ეკონომიკაში ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი მართლაც დიდია და გლობალური სტანდარტების მიხედვით შესაძლებელი რომ იყოს უფრო მაღალი მაჩვენებლის მინიჭება, საქართველო სამართლიანად დაიმსახურებდა მას.

ვიმედოვნებთ, რომ მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში გაწევრიანების შემდგომ საქართველოს ექნება, ისეთი სახის კანონი, როგორიცაა „კანონი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ“ და სხვა. ვინაიდან ეკონომიკური თავისუფლების ინდექსი მეტად მნიშვნელოვან ღირებულებას წარმოადგენს პოლიტიკოსებისა და ინვესტორებისათვის, აუცილებელია, სერიოზული მუშაობა, რათა მოხდეს საქართველოს საერთო შეფასების გარკვეულწილად გაუმჯობესება, მითუმეტეს თუ კი გავითვალისწინებთ, რომ მსგავსი განვითარების მქონე ქვეყნებმა ამ მხრივ გარკვეულ წარმატებას მიაღწიეს (ასე მაგალითად, ესტონეთი მე-18 ადგილზე იმყოფება). განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის შემცირებას და მონეტარულ პოლიტიკას, სადაც საქართველოს შეფასება ძალზედ არასახარბიელოა და ამ მხრივ აუცილებლად აღსანიშნავია სერიოზული წარმატებები, რომელიც მიღწეულ იქნა ინფლაციასთან ბრძოლაში და ეს ფაქტი აუცილებლად ჰპოვებს ასახვას მომდევნო წლების შეფასებებში. ასევე საჭიროა, რომ თანდათანობით მოხდეს ფასებისა და ხელფასების ლიბერალიზაცია, რეგულირების შეზღუდვა და საბანკო სისტემის განვითარების სტიმულირება.

ეკონომიკური მიმოხილვა

■ დავით ლომიძე

ქვეყნის ეკონომიკური აქტივობის დონის ამსახველი ძირითადი განმაზოგადებელი პარამეტრია მთლიანი შიდა პროდუქტი. 1996-1997 წლებში ამ მაჩვენებლის ზრდის ტემპი საშუალოდ 11% იყო, რაც იმ პერიოდში ძალზე მაღალ მაჩვენებელად ითვლებოდა არა მარტო პოსტსაბჭოურ ქვეყნებში, არამედ აღმოსავლეთ ევროპის სახელმწიფოთა შორისაც.

1998 წელს ქვეყნის საგადასახადო-საბიუჯეტო და ფულად-საკრედიტო სისტემებში მიმდინარე ნეგატიურმა პროცესებმა და რიგმა საგარეო-ეკონომიკურმა ფაქტორებმა უარყოფითი გავლენა მოახდინეს საქართველოს ეკონომიკაზე. მიუხედავად ამისა, ეროვნულმა მეურნეობამ შეინარჩუნა განვითარების წინა წლებში ჩამოყალიბებული პოზიტიური ტენდენცია, კერძოდ, მშპ-ს ზრდის ტემპი წინა წელთან შედარებით 2,9 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდა, რაც მნიშვნელოვნად ჩამორჩება წინა წლების მაჩვენებლებს. ნომინალურმა ღირებულებამ (საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მონაცემებით) 6,8 მლრდ ლარი შეადგინა, რაც ერთ სულ მოსახლეზე 1250 ლარია. ეს მაჩვენებელი მსოფლიო მაჩვენებელთან შედარებით ძალიან დაბალია.

1999 წლის 9 თვეში მშპ-ს ზრდის ტემპი წინასწარი შეფასებით 102,4 პროცენტის დონეზე ჩამოყალიბდა, მისმა ნომინალურმა მოცულობამ 3648,5 მლნ ლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა №1). ეს მაჩვენებელი ჯერჯერობით ჩამორჩება საქართველოს ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1999 წლის ინდიკატური გეგმით ნავარაუდევ 4,4-7,2 პროცენტს. ზემოხსენებული მაჩვენებლის ზრდის ასეთი დაბალი ტემპი ეროვნული მეურნეობის: მშენებლობაში (წინა წლის ანალოგიური მაჩვენებლის 86% შეადგინა), სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში შექმნილი დამატებული ღირებულების მოცულობის დაბალი ზრდის ტემპებმა განაპირობა (შესაბამისად, 102,4% და 101,3%). სამაგიეროდ ისეთ სფეროებში, როგორიცაა კავშირგაბმულობა (113,9%-ით), სასტუმრო-რესტორნები (108,6%-ით) და ვაჭრობა (103,8%-ით), განვითარების ტემპები მაღალი იყო (იხ. ცხრილი №1).

ცხრილი №1

მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდა და სტრუქტურა

დარგები	1999 წ. იანვარ-სექტემბერი %-ით 1998 წ. იანვარ-სექტემბერთან	პროცენტული სტრუქტურა	
		1998 წ. იანვარ-სექტემბერი	1999 წ. იანვარ-სექტემბერი
მრეწველობა	101,3	16,1	15,6
სოფლის მეურნეობა	102,4	25,5	25,2
მშენებლობა	86	4	3,3
ვაჭრობა	103,8	13,1	13
სასტუმრ. და რესტორნები	108,6	2,4	2,7
ტრანსპორტი	102,3	9,5	10
კავშირგაბმულობა	113,9	1,8	2,3
სახ. მართვა, თავდაცვა	94,4	3,7	3,4
განათლება	102,3	3,7	4
ჯანდაცვა	95,7	2,4	2,4
სხვა მომსახურება	99,5	11,8	11,6
დამატ. ღირებულება. სულ	101,2	94,1	93,4
წმინდა გადასახადები	121,6	5,9	6,6
მშპ, სულ	102,4	100	100
მშპ-ს დეფლატორი	106,4	–	–

მიმდინარე წლის დასაწყისში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი იყო კრიზისული მოვლენების გავლენა. მეორე კვარტალიდან სამეურნეო პროცესებმა სტაბილურობის ნიშნები შეიძინა. თუ 1999 წლის პირველ კვარტალში სამრეწველო წარმოების მოცულობა 4,2 პროცენტით შემცირდა, წლის პირველ ნახევარში ზრდა 0,6 პროცენტი იყო, ცხრა თვის შედეგების მიხედვით კი — 1,7 პროცენტი შეადგინა. არსებითად გაიზარდა მანგანუმის მადნის, ნახშირბადიანი ელექტროდების, დიზელის საწვავის, მაზუთის მოპოვება, ასევე მინერალური სასუქების, ცემენტის, ცქრიალა ღვინოს, ლუდის, თამბაქოსა და სხვათა წარმოება. ზრდის ტენდენციები შეინიშნება მრეწველობის სამივე ძირითად სფეროში. გარკვეული წარმატებების მიუხედავად, კვების პროდუქტების და სასმელების დამუშავების მრეწველობაში, რომლის წილი მრეწველობის

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

მთლიან პროდუქციაში მნიშვნელოვანია, ჯერჯერეობით ვერ მოხერხდა კრიზისული მოვლენების დაძლევა. აღნიშნული დარგის მიერ

ცხრილი №3

ფულად-საკრედიტო მაჩვენებლები

(სექტემბრის თვის მონაცემები)

	ერთეული	1998 წ.	1999 წ.
1. ფულის აგრეგატები	მლნ. ლარი		
ლარი მიმოქცევაში (M0)		212	253
სარეზერვო ფული (M1)		246	299
ფართო ფული (M2)		252	288
ფართო ფული (M3)		351	443
2. მიმოქცევის სიჩქარე			
ფართო ფული (M2)		25,27	16,89
ფართო ფული (M3)		18,18	10,99
მულტიპლიკატორი (M2)-ის		1,03	0,96
მულტიპლიკატორი (M3)-ის		1,43	1,48
3. დეპოზიტები	მლნ. ლარი		
საერთო თანხა		151	202
ეროვნულ ვალუტაში		53	47
უცხოურ ვალუტაში		98	155
4. კრედიტები*	მლნ. ლარი	199,7	280,7
სახელმწიფო სექტორი		19,3	32,2
სოფლის მეურნეობა		1,4	1,5
მრეწველობა		3,9	5,9
ელექტროენერგეტიკა		4,7	3,3
მშენებლობა		0,5	1,1
ვაჭრობა		0,4	3,4
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა		1,3	11,7
სხვა მომსახურება		7,1	5,3
კერძო სექტორი		180,4	248,5
სოფლის მეურნეობა		10,1	15
მრეწველობა		23,4	40,1
მშენებლობა		7,7	18,1
ვაჭრობა		70,5	175,2

გამოშვებული პროდუქციის მოცულობა, წინა წელთან შედარებით, 16,3 პროცენტით შემცირდა.

დღეისათვის ქვეყნის ეკონომიკისათვის საქართველოს მრეწველობის მდგომარეობას დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეროვნული მეურნეობის სხვა დარგებში შემოსავლების დაფარვის ხარისხი მაღალია და ფაქტობრივად გადასახადების სრულად ამოღება ვერ ხერხდება. ასეთ პირობებში სახელმწიფო ბიუჯეტისათვის მთავარი შემოსავლის წყარო მრეწველობის დარგი რჩება.

1999 წლის 9 თვეში მრეწველობაში სულ მიმდინარე ფასებში 1269 მლნ ლარის პროდუქცია, ხოლო შესადარ ფასებში - 1271 მლნ ლარის გამოუშვეს. ეს უკანასკნელი კი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 21,5 მლნ ლარით მეტია. ამ პერიოდში პროდუქციის წარმოების ზრდის ტემპი, წინა წელთან შედარებით, 1,7 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიხედვით - 1,2 პროცენტით. მრეწველობის დარგების მიხედვით პროდუქციის წარმოების ზრდის მთავარი წილი გადამამუშავებელ მრეწველობასა და ელექტროენერგეტიკაზე მოდის (მათი წილი მრეწველობის პროდუქციის მთელ მოცულობაში 96,6 პროცენტია). მიმდინარე წლის სექტემბრის თვეში წარმოების მოცულობის განსაკუთრებული მატება აღინიშნა ქვეყნის გადამამუშავებელ და ელექტროენერგეტიკის საწარმოებში, რის შედეგადაც მსხვილი, საშუალო და მცირე საწარმოების მიხედვით 1999 წლის მანძილზე პირველად დაფიქსირდა წარმოების მოცულობის ზრდა წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებლთან შედარებით და მისმა სიდიდემ 1,2 პროცენტი შეადგინა („გადამამუშავებელი მრეწველობა“ 0,5%-ით, „ელექტროენერგეტიკა, ბუნებრივი აირი და წყალმომარაგება“ 0,7%-ით გაიზარდა). მოცულობის მიხედვით ყველაზე დიდი ზრდა ქიმიური და მინერალური პროდუქტების წარმოებაში შეინიშნება, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, შესაბამისად 142,1 და 150,7 პროცენტით გაიზარდა.

გადამამუშავებელი მრეწველობის მთლიან მოცულობაში მცირე წილის მიუხედავად, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, პროდუქციის წარმოების ყველაზე მაღალი ზრდის ტემპი დაფიქსირდა შემდეგ დარგებში: თამბაქოს წარმოება 278,4%; კოქსის, ნავთობის გამოხდის პროდუქტებისა და ბირთვული სანვავის წარმოება 284,9%; მერქნის, ხისა და კორპის ნაწარმის წარმოება 165%. ასევე უდა აღინიშნოს, რომ ამ დარგებში მუშაობა საერთოდ შეჩერებული იყო (მაგალითად, თამბაქოს წარმოება წლის დასაწყისში ბაზარზე მოთხოვნის გაზრდის შედეგად გაფართოვდა) და წარმოების მცირედი გამოცოცხლებაც კი დიდი პროცენტული მაჩვენებელით გამოისახება.

მრეწველობის პროდუქციის წარმოების მხრივ, საქართველოს რეგიონებში ასეთი მდგომარეობა იყო: მხარეებს შორის 1999 წლის 9 თვის მონაცემებით სამრეწველო საქონლის გამოშვების, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ყველაზე დაბალი მაჩვენებელებით გამოირჩეოდნენ ქ. თბილისი — 95,8%, მცხეთა-მთიანეთი — 95%, კახეთი — 90,2% და სამცხე-ჯავახეთი — 54,5%, ხოლო წარმოების ყველაზე დიდი ზრდით ხასიათდებოდნენ შემდეგი რეგიონები: რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი - 191,1%, ქვემო ქართლი - 119,2%, აჭარის არ. — 118,3% და იმერეთი - 110,1%. საყურადღებოა, რომ საქართველოში საშუალო მაჩვენებელის სიდიდეზე უმთავრესად ქ. თბილისის მონაცემმა, კერძოდ, წინა წელთან შედარებით წარმოებული პროდუქციის 8,5 მლნ ლარით შემცირებამ იმოქმედა.

* აგვისტოს თვის მონაცემები

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საქართველოს მონაცემით მიმდინარე წლის 9 თვეში გადატვირთული პროდუქციის მოცულობამ ფაქტიურ ფასებში სულ 458,9 მლნ ლარი, ხოლო წარმოებულთან შედარებით 36,1% შეადგინა. აქედან გამომდინარე, მეწარმეებს წარმოებული პროდუქციის მესამედის რეალიზაციაც კი უჭირთ. ნაშთების განსაკუთრებით დიდი მაჩვენებელი ჰქონდა ქ. თბილისს, აღნიშნულმა თანხამ 70,4 მლნ ლარი შეადგინა.

1999 წლის III კვარტალში მრეწველობის დარგის 2401 მცირე საწარმომ, წინა წელთან შედარებით, 3,9 პროცენტით მეტი სამრეწველო პროდუქცია გამოუშვა, რამაც წარმოებული პროდუქციის მოცულობის 12,9% შეადგინა. მიუხედავად იმისა, რომ 1999 წლის 9 თვეში საქართველოში მთლიანი წარმოებული პროდუქცია წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 1,7 პროცენტით გაიზარდა, მცირე საწარმოების მუშაობა უფრო ეფექტური იყო. ამის გათვალისწინებით სახელმწიფომ მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პოლიტიკა და მცირე ბიზნესის განვითარებას რეალურად შეუწყოს ხელი.

აღსანიშნავია, რომ სასოფლო-სამეურნეო სექტორი საქართველოს ეკონომიკისათვის მეტად მნიშვნელოვანია და მის წილად მშპ-ს მოცულობის 25,2% მოდის (იხ. ცხრილი №1). 1999 წლის 9 თვეში სოფლის მეურნეობაშიც მნიშვნელოვანი პოზიტიური ცვლილებები მოხდა. საანგარიშო პერიოდში, თავთავიანი კულტურებიდან მიღებული მოსავალი 38,7 პროცენტით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს. ნათესი ფართობების 12 პროცენტიანი შემცირების პირობებში, ასეთი ზრდა მოსავლიანობის მკვეთრი, თითქმის 1,6-ჯერ ამაღლებამ განაპირობა, მიღებული მოსავალი კი 280,2 ათას ტონას შეადგენს. ამასთან, არსებითად გაიზარდა ჩაის კრეფის მაჩვენებლებიც. 1999 წლის 7 ოქტომბრის მდგომარეობით, გადამამუშავებელ საწარმოებში მიღებული და გადამუშავებულია 26 პროცენტით მეტი ჩაის ფოთოლი, მოცულობამ 58,5 ათასი ტონა შეადგინა (ჩაბარებული ფოთლის 47% სამეგრელო-ზემო სვანეთის მხარეზე მოდის). 1999 წლის 8 ოქტომბრის მდგომარეობით გადამამუშავებელ საწარმოებში მიღებულია 15,6 ათასი ტონა ყურძენი, რაც 30 პროცენტით მეტია გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელზე. სახეზეა მსხილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობის მნიშვნელოვანი გადიდება. გარკვეული ცვლილებები შეინიშნება სოფლის მეურნეობის სხვა დარგებშიც.

არსებითი ზრდის ტენდენციებით ხასიათდება სატრანსპორტო მომსახურება. 1999 წლის იანვარ-სექტემბერში, წინა წელთან შედარებით, ყველა სახის საერთო სარგებლობის ტრანსპორტით გადატანილი ტვირთების მოცულობა 8,7 პროცენტით (გადატანილია 19,9 მლნ ტვირთი და შესრულებულია 7152,6 მლნ ტ/კმ ტვირთბრუნვა), ხოლო გადაყვანილი მგზავრების რაოდენობა კი 13,3 პროცენტით გაიზარდა. აღმავალი ხაზით ვითარდებოდა ასევე კავშირგაბმულობის დარგი. აღნიშნულ პერიოდში, კავშირგაბმულობისა და ფოსტის დარგის საწარმოების მიერ გაწეული საქმიანობიდან მიღებულია 95,3 მლნ ლარის შემოსავალი და წინა წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლის 113,9% შეადგინა.

აღსანიშნავი ფაქტია, ვაჭრობის ბოლო წლებში ჩამოყალიბებული ზრდის ტენდენცია. ეს სფერო მშპ-ს სტრუქტურის 13 პროცენტს მოიცავს (იხ. ცხრილი №1). ქვეყნის საცალო ვაჭრობისა და რესტორნების საქონელბრუნვის მოცულობა მიმდინარე წლის 9 თვეში 4,5 პროცენტით გაიზარდა და 1157,7 მლნ ლარი შეადგინა.

ასევე საყურადღებოა ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემაში მიმდინარე პროცესები. საქართველოს ეროვნული ბანკი 1998 წლის დასაწყისიდან ოქტომბრამდე სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების მეშვეობით ასე თუ ისე ახერხებდა დოლართან მიმართებაში ლარის გადაცვლის სტაბილური კურსის შენარჩუნებას. ნოემბრის

დიაგრამა №1



ბოლოდან იგი იძულებული გახდა თავისუფალი სავალუტო კურსის პოლიტიკა გაეტარებინა.

1998 წლის ბოლოდან თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ვაჭრობის მოცულობა (2-3 მლნ აშშ დოლარის) მკვეთრად შემცირდა, ამასთან ოპერაციებში მხოლოდ კომერციული ბანკები მონაწილეობდნენ (ეროვნულმა ბანკმა მხოლოდ მარტის თვიდან დაიწყო თბსბ-ზე აშშ დოლარების შესყიდვა). საქართველოს ეროვნული ბანკის

მონაცემებით 1999 წლის იანვარ-სექტემბრის თვეში თბსბ-ზე ვაჭრობის მოცულობა 51 მლნ აშშ დოლარი იყო, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით ეს მაჩვენებელი 1,6-ჯერ შემცირდა. აღნიშნული თანხიდან საქართველოს ეროვნულმა ბანკმა იანვარ-სექტემბრის პერიოდში 14 მლნ აშშ დოლარი შეიძინა (იხ. ცხრილი №2).

1999 წლის 9 თვის ვაჭრობათა შედეგების მიხედვით ლარის აშშ დოლართან გადაცვლის მაქსიმუმს ოფიციალურმა კურსმა (1 აშშ დოლარი - 2,451 ლარი) 22 თებერვალს, ხოლო საბაზრო კურსმა (1 აშშ დოლარი - 2,59 ლარი) - 24 თებერვალს მიაღწია. ასეთი პიკის შემდეგ ლარის გადაცვლის კურსი იწყებს გაყარებას (კერძოდ 7 მარტიდან). ეს ყველაფერი, ძირითადად, ადმინისტრაციული და პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების შედეგია, რის მიმართაც ბაზარი ძალიან მგრძნობიარეა. ლარის აშშ დოლართან გაცვლითი კურსის სტაბილიზაციაზე წინა საარჩევნო კომპანიისათვის დაგროვილი დოლარების ბაზარზე გამოტანამაც იმოქმედა.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ სავალუტო ბაზარზე 1999 წლის 9 თვეში სტაბილიზაცია შეიმჩნევა. ფიქსირებულიდან მცურავ სავალუტო კურსზე გადასვლას შესაძლებელი იყო ვალუტის კურსის ხანგრძლივი სპეკულაციური რყევები მოჰყოლოდა. მიუხედავად ამისა, აპრილის თვიდან ეროვნული ვალუტის გამყარების პროცესი დაიწყო, ლარის დოლარზე გადაცვლის საშუალო კურსმა სექტემბერში 1.8651 შეადგინა, ეს მაშინ, როცა, თებერვალ-მარტში იგი 2.27-ს უდრიდა. მცირდებოდა ვალუტის კურსის რყევების სიდიდეც. ცხადია, სავალუტო კურსის სტაბილურობა ძირითადად ფულად-საკრედიტო პოლიტიკაზეა დამოკიდებული, ამიტომაც, მომავალში ზომიერად მკაცრი ფულად-საკრედიტო პოლიტიკის განხორციელება უნდა გაგრძელდეს.

აღსანიშნავია, რომ ჩვენი შეფასებებით 1999 წლის ბოლომდე ლარის გაცვლითი კურსი კიდევ უფრო დაეცემა. მიმდინარე წლის ოქტომბრის თვეში ქ. თბილისში დარიგებულმა ხელფასებმა აშშ დოლარის ლართან გაცვლით კურსზე ზემოქმედება მოახდინა (კურსი 1,85-დან 1,93-მდე დაეცა), ამ ფაქტის გათვალისწინებით, ქვეყანაში პენსიებისა და ხელფასების დავალიანების დასაფარავად მიმოქცევაში დამატებითი ლარების გაშვება ლარის გაცვლით კურსის ჩამოყალიბებაზე მნიშვნელოვნად იმოქმედებს.

1999 წლის პირველი 9 თვის მონაცემებით ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემაში განხორციელებული პოლიტიკის შედეგად საქართველოს ეროვნული ბანკის ანგარიშებზე წმინდა უცხოურმა აქტივებმა 348 მლნ ლარი შეადგინა, ე.ი. მიმდინარე წლის იანვრის თვიდან ეს მაჩვენებელი 36,2 მლნ ლარით შემცირდა (იხ. დიაგრამა №2). ეს კი, უმთავრესად, მიმდინარე წელს უცხოური ვალუტის მოცულობის 18,4 მლნ ლარით ზრდამ და საერთაშორისო სავალუტო ფონდის რეზერვების გამოყენების 18,2 მლნ ლარით შემცირებამ განაპირობა. ამ პერიოდში ერთგვარად შეიცვალა საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო აქტივების სტრუქტურაც: მიმდინარე წლის თებერვალ-მარტში მკვეთრად გაიზარდა მთავრობისადმი ეროვნული ბანკის მოთხოვნების სიდიდე, ცვლილებამ კი 92 მლნ ლარი შეადგინა, რაც სარეზერვო ფულის 35 პროცენტს, ხოლო M2-ს 36 პროცენტს შეადგენს. სამაგიეროდ

დიაგრამა №2



მოხერხდა სხვა წმინდა აქტივების დაახლოებით იგივე ოდენობით შემცირება, რამაც მთავრობის წმინდა დავალიანების ზრდით გამოწვეული ზემოქმედების კომპენსაცია მოახდინა, ხოლო მიმოქცევაში არსებული ფულის რაოდენობა მნიშვნელოვნად არ შეცვლილა. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაახლოებით იგივე ოდენობის ფულის ემისია გარდაუვალი იქნებოდა, რასაც გარკვეული უარყოფითი შედეგები მოჰყვებოდა.

მთავრობის წმინდა დავალიანებამ 1 ოქტომბრისათვის 674 მლნ ლარი შეადგინა, კომერციული ბანკების წმინდა დავალიანება კი 5,2 მლნ ლარით შემცირდა და მიმდინარე წლის 1 ოქტომბრისათვის 915,4 ათასი ლარი შეადგინა. სხვა წმინდა აქტივები 1999 წლის დასაწყისთან შედარებით 155,4 მლნ ლარით შემცირდა და 1 ოქტომბრისათვის 28 მლნ ლარი შეადგინა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მთავრობის წმინდა დავალიანებების, სხვა აქტივების და ბანკების წმინდა დავალიანებების მაჩვენებლებლების ცვლილებების შედეგად

საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო აქტივები წლის დასაწყისიდან 10,5 მლნ ლარით შემცირდა და 647 მლნ ლარი შეადგინა.

საყურადღებოა, რომ სარეზერვო ფული 1999 წლის პირველი 9 თვის პერიოდში 39,4 მლნ ლარით გაიზარდა და 1 ოქტომბრისათვის 299 მლნ ლარი შეადგინა (იხ. დიაგრამა №3). მათ შორის:

- მიმოქცევაში ნაღდი ფული 31,4 მლნ ლარით გაიზარდა და 253 მლნ ლარი შეადგინა;
- კომერციული ბანკების საკორესპონდენტო ანგარიშებზე თანხები 4,7 მლნ ლარით შემცირდა და 1 ოქტომბრისათვის 15 მლნ ლარი შეადგინა;
- სავალდებულო რეზერვები 12,7 მლნ ლარით გაიზარდა და 30,8 მლნ ლარი შეადგინა, რაც ბანკების დეპოზიტების ზრდამ განაპირობა.

დიაგრამა №3



1999 წელს ფულის მასა გაიზარდა: ფართო ფული M3 (ბანკებს გარეთ არსებულ ნაღდ ფულს დამატებული ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში არსებული დეპოზიტები) 74,2 მლნ ლარით გაიზარდა და 1 ოქტომბრისათვის 442,7 მლნ ლარი შეადგინა; ფართო ფული უცხოური დეპოზიტების გარეშე (M2) 27 მლნ ლარით გაიზარდა და 288 მლნ ლარს გაუტოლდა (იხ. დიაგრამა №3). ეს გამოიწვია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ. აღნიშნულმა ბანკმა თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე 14 მლნ აშშ დოლარი შეიძინა, მნიშვნელოვანი კრედიტები კი ფინანსთა სამინისტროს მისცა. აქვე აღსანიშნავია, რომ ბანკებს გარეთ არსებული ნაღდი ფული 28,7 მლნ ლარით გაიზარდა და 241 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო ფართო ფულის (M2) სტრუქტურაში 83,7 პროცენტი შეადგინა (1998 წლის სექტემბრის თვეში ანალოგიური მაჩვენებელი 78,9 პროცენტი იყო). ამ მხრივ, საქართველოს ეროვნული ბანკისა და აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ შესამუშავებელია და განსახორციელებელია კომპლექსური გეგმა, რომლის უმთავრესი მიზანი მდგრადი და სტაბილური საბანკო სისტემის ჩამოყალიბება და ამ საკრედიტო რგოლის მიმართ მოსახლეობის უნდობლობის გაქარწყლებაა.

კომერციულ ბანკებში დეპოზიტების თანხა 1996 წლის ბოლოს 78 მლნ ლარს (მშპ-ს 1,4%) უტოლდებოდა, 1997 წელს ამ მაჩვენებელმა 2,1% შეადგინა, 1998 წელს კი 23 მლნ ლარით გაიზარდა და 1 იანვრისათვის 156 მლნ ლარი (მშპ-ს 2,3%) შეადგინა. ფინანსური წლის განმავლობაში ლარზე მოთხოვნის დაცემამ და წლის ბოლოს დევალვაციის პროცესმა კომერციულ ბანკებში დეპოზიტები (ეროვნულ ვალუტაში) 1998 წელს 6 მლნ ლარით შეამცირა, რაც ძალიან ცუდი მაჩვენებელია და ფულად-საკრედიტო სისტემის მიმართ მოსახლეობის უნდობლობას გამოხატავს, რაც უმთავრესად ეროვნული ვალუტის გაცვლითი კურსის დაცემის შედეგად მოსახლეობის ანაბრების გაუფასურებამ განაპირობა. მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დაბალი შემოსავლების დონის და დაგროვილი თანხების სიმცირის გათვალისწინებით ამ ეტაპზე ანაბრების მოცულობის მნიშვნელოვანი ზრდა შეუძლებელია.

აღსანიშნავია, რომ კომერციულ ბანკებში დეპოზიტების თანხა 1999 წლის პირველ 9 თვეში 45,5 მლნ ლარით გაიზარდა და 1 ოქტომბრისათვის 201,8 მლნ ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი №3). 1998 ფინანსური წლის განმავლობაში ლარზე მოთხოვნის დაცემამ და წლის ბოლოს მისმა დევალვაციამ მიმდინარე წელს კომერციულ ბანკებში დეპოზიტები (ეროვნულ ვალუტაში) 1,8 მლნ ლარით შეამცირა. მიუხედავად ამისა, დეპოზიტები უცხოურ ვალუტაში 47,3 მლნ ლარით გაიზარდა და დეპოზიტების სტრუქტურაში 76,7 პროცენტს მიაღწია (1998 წლის III კვარტლის ანალოგიური მაჩვენებელი 64,9 პროცენტი იყო). საბანკო სისტემაში დეპოზიტების და სესხების მოცულობა უცხოურ ვალუტაში თანდათან მატულობს. დოლარიზაციის ასეთი მაღალი მაჩვენებელი ქვეყნის ფულად-საკრედიტო სისტემისათვის საგანგაშოა.

ასევე მეტად მნიშვნელოვანია კომერციული ბანკების საკრედიტო საქმიანობა, რომელიც სუბიექტური თუ ობიექტური ფაქტორების გამო თანამედროვე ეტაპზე არასრულყოფილია. მიუხედავად ფულად-საკრედიტო სისტემაში არსებული კრიზისა, კომერციული ბანკების მიერ გაცემული შიდა კრედიტები 1998 წელს 54 მლნ ლარით გაიზარდა და 224 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 1999 წლის 8 თვეის ანალოგიური

მაჩვენებელი 280 მლნ ლარია (1998 წლის 1 სექტემბრისათვის ანალოგიური მაჩვენებელი 200 მლნ ლარი იყო). აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდში კომერციული ბანკებისადმი სახელმწიფო სექტორის დავალიანება 10 მლნ ლარით გაიზარდა და 1 სექტემბრისათვის 32 მლნ ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი №3), ხოლო კერძო სექტორის დავალიანება 46 მლნ ლარით გაიზარდა და 248,5 მლნ ლარს გაუტოლდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე ჩამოყალიბებული საპროცენტო განაკვეთების დინამიკა, ზოგიერთი გადახრების გარდა, შემცირების ტენდენციით ხასიათდება.

დიაგრამა №4



მართალია სასესხო საპროცენტო განაკვეთები მცირდება, მაგრამ მისი მნიშვნელობა ჯერ კიდევ საკმაოდ დიდია. სასესხო საპროცენტო განაკვეთის მინიმალური სიდიდე 1999 წლის პირველ კვარტალში 22 პროცენტს შეადგენდა (მაშინ, როდესაც ზოგიერთი სახის კრედიტი წლიური 40 პროცენტის დარიცხვით გაიცემოდა), რაც მრეწველობაში არსებული სიძნელეების ერთ-ერთ მთავარ მიზეზად შეიძლება ჩაითვალოს. ამასთან, დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთები საკმაოდ დაბალია (საშუალოდ 10%, ზოგიერთი სახის დეპოზიტებზე 2%).

საყურადღებოა ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონზე შექმნილი სიტუაცია, კერძოდ, ოპერაციების რაოდენობასა და მოცულობაზე დიდი გავლენა მოახდინა 1998 წელს ქვეყანაში განვითარებულმა ფინანსურმა კრიზისმა. ვადების მიხედვით, 1998 წლის აგვისტოს თვიდან პრაქტიკულად 90-დღიანი აუქციონი არ ჩატარებულა, 60-დღიანმა მხოლოდ მიმდინარე წლის ივნისის თვეში განაახლა მუშაობა, ხოლო გარიგებათა მოცულობამ 1 ოქტომბრის მდგომარეობით 440 ათასი ლარი შეადგინა.

მიმდინარე წელს 7 დღიანი საკრედიტო რესურსების აუქციონი სისტემატურად იმართებოდა და გარიგებათა მოცულობამ 13,6 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო 1998 წლის ანალოგიური მაჩვენებელი 13,5 მლნ ლარი იყო. ბანკთაშორის საკრედიტო რესურსების აუქციონებზე დაფიქსირებული საპროცენტო განაკვეთები, ვადების მიუხედავად, შემცირების ტენდენციით ახასიათდებიან (იხ. დიაგრამა №4).

ამ პერიოდში საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ინფლაციის სამართავად ფულად-საკრედიტო რეგულირება საქართველოს ეროვნული ბანკის წმინდა საშინაო აქტივების, საბიუჯეტო სექტორის წმინდა შიდა კრედიტების და წმინდა ოფიციალური საერთაშორისო რეზერვების ფულადი მაჩვენებლების ზრდის კონტროლით განახორციელა. სახელმწიფო ბიუჯეტში გადასახადების დროულად ამოუღებლობის პირობებში, დამატებით კრედიტებზე ფინანსთა სამინისტროს მოთხოვნები საქართველოს ეროვნულმა ბანკმა არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეკმაყოფილოს, რაც ამჟამად ხორციელდება. აღნიშნული პროცესი მიმოქცევაში ნაღდი ფულის ზრდას და ინფლაციური მოლოდინის განმტკიცებას გამოიწვევს. დღევანდელ ეტაპზე ინფლაციის პროცესის ანალიზი და მისი სწორი პროგნოზი აუცილებელია, რადგან აღნიშნული მშპ-ს, სახელმწიფო შემოსავლების და სხვა პარამეტრების დაგეგმვას განსაზღვრავს.

სამომხმარებლო ფასების დონე 1995 წელს, წინა წლის დეკემბერთან შედარებით, 57,4 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1996 წელს ეს მაჩვენებელი 13,8 პროცენტი იყო, 1997 წელს კი 7,3 პროცენტს გაუტოლდა. სამწუხაროდ, ამ მხრივ 1998 წელი მეტად დრამატული გამოდგა. თუ წლის დასაწყისიდან ოქტომბრის ჩათვლით საქართველოს ეროვნული ბანკი სავალუტო ბაზარზე ინტერვენციების მეშვეობით ასე თუ ისე, ახერხებდა დოლართან მიმართებაში ლარის გადაცვლის სტაბილური კურსის შენარჩუნებას, ნოემბრის ბოლოდან, სავალუტო რეზერვების მკვეთრი შემცირების გამო, ასეთი პოლიტიკის გაგრძელება შეუძლებელი გახდა და თავისუფალი სავალუტო კურსის პოლიტიკის განხორციელებაზე გადასვლის აუცილებლობა შეიქმნა. ყოველივე ამან საქონლისა და მომსახურების

ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებაზე, საბოლოოდ, ფასების დინამიკაზე სათანადო ასახვა ჰპოვა.

აღსანიშნავია, რომ იანვარ-ნოემბრის განმავლობაში ფასები სტაბილურობით გამოირჩეოდა, 0,1 პროცენტიანი საშუალოთვიური

დიაგრამა №5



დეფლაცია დაფიქსირდა; ხოლო წლის ბოლოს ლარის მკვეთრმა დევალვაციამ ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია (დეკემბრის თვის ინფლაციამ 12,1% შეადგინა) და საბოლოოდ 10,7 პროცენტის დონეზე დაფიქსირდა (იხ. დიაგრამა №5).

საქართველოში 1999 წლის დასაწყისიდან (მაისის თვემდე) ფასების დონე 11,2 პროცენტით გაიზარდა, რაც ძირითადად წინა წლის ბოლოს

ცხრილი №4

საქართველოს საგარეო საგადახდო ბალანსი

1999 წლის იანვარ-სექტემბერში

მლნ აშშ დოლარი

	ექსპორტი (F.O.B.)	იმპორტი (S.I.F.)	ბალანსი
საგარეო საგადახდო ბალანსი, სულ	159,3	433,9	-274,6
მათ შორის:			
დასავლეთ ევროპასთან	*79,2*	*164*	*-84,8*
არა დასავლეთ ევროპასთან	*80,1*	*269,9*	*-189,8*
პროცენტულად მშპ-თან	-11,1		
იმპორტის ექსპორტით გადაფარვის კოეფიციენტი	36,7		

განვითარებული მოვლენების ინერციის შედეგია. აპრილის თვიდან კი ფასებმა შემცირება იწყო (შემცირდა 5,2%-ით). ამ პროცესს, სხვა ფაქტორებთან ერთად, ძირითადად, სეზონურობა ახასიათებდა. ხოლო სექტემბრის თვეში, აგვისტოსთან შედარებით, ფასები 1 პროცენტით გაიზარდა და სამომხმარებლო ფასების ინდექსმა 106,6 შეადგინა (იხ. დიაგრამა №5). საბოლოოდ, მიმდინარე წლის 9 თვის შედეგებით ინფლაციის დონე თვეში საშუალოდ 0,73 პროცენტი იყო, მაშინ როდესაც გასული წლის იანვარ-სექტემბრში თვეში საშუალოდ 0,36 პროცენტის დეფლაცია დაფიქსირდა. აღნიშნულ პერიოდში, ფასების დინამიკაზე გავლენა მოახდინა, როგორც სავალუტო კურსის რყევებმა და მასთან დაკავშირებულმა მოსახლეობის არასტაბილურმა მოლოდინმა, ასევე, ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ. პირველი კვარტლის დასაწყისში, ფასების დონეზე გავლენას ახდენდა გასული წლის დეკემბრის დევალვაციით გამოწვეული ცვლილებები. იმის გამო, რომ სასაქონლო ბაზარზე არაწონასწორული მდგომარეობის დიდი ხნის განმავლობაში შენარჩუნება პრაქტიკულად შეუძლებელია, მეორე კვარტალში სტაბილიზაციის ნიშნები გამოიკვეთა, რასაც წლის დასაწყისში ეროვნული ბანკის მიერ განხორციელებულმა ფულად-საკრედიტო პოლიტიკამ შეუწყო ხელი.

ოფიციალური მონაცემებით ქვეყანაში ზაფხულის დეფლაციის შემდეგ სექტემბერში ფასების 1 პროცენტიანი ზრდა აღინიშნა, რაც გამოწვეულია ხილ-ბოსტნეულის ფასების სეზონური კლების შეჩერებით და თანდათანობით ზრდით. სასურსათო საქონლის ფასები 1999 წლის სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, 0,9 პროცენტით გაიზარდა. მათ შორის, ფასებმა რძის პროდუქტებზე და კვერცხზე - 9,7 პროცენტით, ხილ-ბოსტნეულზე - 5,1 პროცენტით, ზეთსა და ცხიმზე - 1,6 პროცენტით მოიმატა. ფასები თამბაქოზე - 6,8 პროცენტით, ხორცზე, ფრინველზე და თევზე - 4,7 პროცენტით შემცირდა.

აღსანიშნავია, რომ არასასურსათო საქონელისა და მომსახურეობის ჯგუფებიდან ყველაზე მნიშვნელოვანი ცვლილება დაფიქსირებულია საავტომობილო ბენზინის ფასებზე, რომელიც ივლისში 10,6 პროცენტით და აგვისტოში 12,6 პროცენტით ზრდის შემდეგ სექტემბერში საშუალოდ 3,4 პროცენტით გაიზარდა.

სექტემბერში, აგვისტოსთან შედარებით, ფასების დონე ქალაქების მიხედვით შემდეგნაირად შეიცვალა: თბილისში გაიზარდა 1,2

წყარო: საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი

პროცენტით, ქუთაისში - 0,9 პროცენტით, გორსა და თელავში - 0,5 პროცენტით.

ჩვენი შეფასებების გათვალისწინებით, მიმდინარე წელს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების 1999 წლის ინდიკატური გეგმით განსაზღვრულ პარამეტრებში (8-11%) წლიური ინფლაციის მაჩვენებლის მოქცევა ნაკლებად სავარაუდოა, რადგან უკვე არსებულ ინფლაციის დონესთან ერთად ოქტომბერ-დეკემბრის პერიოდისათვის ტრადიციულად დამახასიათებელი ფასების ზრდა და დასარიგებელი ხელფასებისა და პენსიების დიდი მოცულობა უნდა გავითვალისწინოთ.

საქართველოს საგარეო-ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება საგარეო ვაჭრობის, კერძოდ

1999 წლის განვლილ პერიოდში ეკონომიკის საგარეო სექტორში, თუ არ ჩავთვლით საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შემცირებას, პოზიტიური მოვლენები, კერძოდ, იმპორტის შემცირების ხარჯზე ექსპორტის ზრდა და საგარეო სავაჭრო ბალანსის უარყოფითი სალდოს 1,9-ჯერ შემცირება ეიმჩნეოდა. ამასასურველ მოვლენას თან ახლდა საქონელბრუნვის მოცულობაში ექსპორტის წილის 9,4 პროცენტული პუნქტით ამაღლება და იმპორტის ექსპორტით დაფარვის დონის 21,1 პროცენტიდან 36,7 პროცენტამდე გაზრდა. საყურადღებოა ისიც, რომ აღნიშნული ტენდენციის ჩამოყალიბებაში გარკვეული როლი საექსპორტო საქმიანობის ერთგვარმა გააქტიურებამაც შეასრულა. მართლაც, მიმდინარე წლის იანვრიდან მოყოლებული, სექტემბრის ჩათვლით, საქონლის ექსპორტის აბსოლიტური მოცულობის მეტნაკლებად ზრდა შეინიშნებოდა. თუმცა ამ მაჩვენებლებმა მაქსიმალურ სიდიდეს (25,9 მლნ აშშ დოლარი) აგვისტოში მიაღწია, სექტემბერშიც მისი მატება საკმაოდ მნიშვნელოვანი იყო (20,4 მლნ აშშ დოლარი). უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სავაჭრო ბალანსის დეფიციტის ცვლილების ზემოთ აღნიშნული ტენდენციის ჩამოყალიბება ძირითადად საქონლის იმპორტის შემცირებამაც განაპირობა. ეს გასაგებიცაა, რადგან მისი წილი სავაჭრო ბრუნვის მოცულობაში 70-75 პროცენტის ფარგლებში მერყეობს. 1999 წლის ექვს თვეში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საქონლის იმპორტის მოცულობა 43,1 პროცენტით შემცირდა, ხოლო 9 თვის მონაცემებით კლებამ 35,4 პროცენტი შეადგინა. თავის მხრივ, ეს მოვლენები სამრეწველო სექტორში მომხდარი პოზიტიური ძვრებისა და წლის დასაწყისში ლარის მნიშვნელოვანი დევალვაციის, ასევე ქვეყნის საგარეო-სავაჭრო პირობების სერიოზული გაუმჯობესების შედეგია.

ცხრილი №5

1999 წლის III კვარტალში საბაჟო ბრუნვის მიხედვით საქართველოს ათი უმსხვილესი საბაჟო პარტნიორი

ქვეყნები	მლნ აშშ დოლარი	%
საგარეო სავაჭრო ბრუნვა, სულ	593,2	100
რუსეთი	117,4	19,8
თურქეთი	79	13,3
აშშ	54,7	9,2
გერმანია	46,5	7,8
აზერბაიჯანი	42,9	7,2
თუმქენეთი	28	4,7
უკრაინა	24,2	4,1
სომხეთი	23,4	4
იტალია	19,1	3,2
გაერთიანებული სამეფო	16,2	2,7
ძირითადი პარტნიორი ქვეყნები, სულ	451,4	76,1

ექსპორტ-იმპორტის რეგულირების სრულყოფაა. მისმა გაუმჯობესებამ ქვეყნის სავალუტო შემოსავლების შევსება, ადგილობრივი წარმოების გაფართოება, დასაქმების ზრდა, ჯანსაღი კონკურენციული გარემოს ჩამოყალიბება და ეკონომიკის სტრუქტურული სრულყოფა უნდა უზრუნველყოს. ასევე, მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში ქვეყნის სრულფასოვანი ინტეგრაციის პროცესიც უნდა დააჩქაროს.

საგარეო ვაჭრობის ბრუნვის შემცირება (1999 წლის იანვარ-სექტემბერში 593,2 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებლის 72,9 პროცენტია) ძირითადად 1999 წლის I კვარტალში ეროვნული ვალუტის დევალვაციისა და საქართველოს წარმოების მასშტაბების შემცირებამ გამოიწვია. აღნიშნული თანხიდან ექსპორტმა 159,3 მლნ აშშ დოლარი (112,5%), ხოლო იმპორტმა - 433,9 მლნ აშშ დოლარი (64,6%) შეადგინა. ამასთან, ქვეყნის უარყოფითი სავაჭრო ბალანსი წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 1,9-ჯერ ნაკლები იყო და 274,6 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (იხ. ცხრილი №4).

ბრუნვის მიხედვით, როგორც სტრუქტურული ისე წილობრივი ცვლილება განიცადა (იხ. ცხრილი №5). უმსხვილესი პარტნიორების წილად მთელი სავაჭრო ბრუნვის 76,1 პროცენტი მოდის.

ამდენად, 1999 წლის III კვარტალში, წინა წელთან შედარებით, ათი უმსხვილესი სავაჭრო

ცხრილი №6

1999 წლის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების 9 თვის შესრულება

მლნ ლარი

დასახელება	გეგმა	ფაქტი	ჭარბი	შესრულება
სულ შემოსავლები და გრანტები	465,9	374	-91,9	80,3%
სულ შემოსავლები	408,1	325,8	-82,3	79,8%
სულ საგადასახადო შემოსავლები	355,5	306,3	-49,2	86,2%
საგადასახადო ინსპექცია	150,9	150,5	-0,4	99,7%
საბაჟო დეპარტამენტი	204,6	155,8	-48,8	76,1%
სულ არასაგადასახადო შემოსავლები	39,3	11,2	-28,1	28,5%
სულ კაპიტალური შემოსავლები	13,3	8,3	-5	62,4%
სულ გრანტები	57,8	48,2	-9,6	83,4%

პარტნიორის წილი მთელ სავაჭრო ბრუნვაში 3 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 76,1 პროცენტი შეადგინა. ამ უმსხვილეს პარტნიორებს შორისაა დსთ-ს 5 ქვეყანა, რომელთა წილად მთელი საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40,3 პროცენტი მოდის (წინა წლის ანალოგიური მაცვენებელი 28,5% იყო).

რუსეთში არსებული მძიმე ფინანსური კრიზისის გამო, 1998-1999 წლებში ჩვენი ქვეყნიდან ექსპორტი შემცირდა. ამ ფაქტის მიუხედავად საქართველოსათვის რუსეთი ყველაზე მსხვილ პარტნიორ ქვეყნად რჩება — საქართველოს ექსპორტის 19,3% და მთელი სავაჭრო ბრუნვის 19,8% რუსეთის წილად მოდის.

აღსანიშნავია, რომ იმპორტში უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფი 1999 წლის 9 თვეში ბუნებრივი აირია (მთელ იმპორტში მისი წილი წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 4,2 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 9,8 პროცენტს მიაღწია). ნავთობის და ნავთობ პროდუქტების წილი გასულ წელთან შედარებით 6,1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 9,2 პროცენტი შეადგინა. ხოლო ექსპორტის სტრუქტურაში წამყვანი ადგილი შავი ლითონების ჯართს (10,5%) და ფეროშენადნობებს (10,1%) უკავიათ. აგრეთვე, საფრენი აპარატების, ყურძნის ღვინის, აზოტის სასუქების, ჩაის და სხვა პროდუქციის წილიც მნიშვნელოვანია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, თანამედროვე ეტაპზე სახელმწიფოს მხრიდან ექსპორტის მხარდაჭერა და შესაბამისი სტრატეგია არ არსებობს. ჩამოყალიბებული ექსპორტის სტრუქტურა და მოცულობა ქვეყნის შესაძლებლობებს და პრიორიტეტებს ფაქტიურად ვერ ასახავს.

განვითარების თანამედროვე ეტაპზე ეკონომიკის სტრუქტურული გარდაქმნების განხორციელების და ქვეყნის აღორძინების ერთ-ერთი ძირითადი ხელშემწყობი მექანიზმი სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაა. ეკონომიკური კრიზისიდან გამოსვლის პროცესში უდიდესი მნიშვნელობა სწორად შედგენილი ბიუჯეტის პრაქტიკაში რეალიზაციას ენიჭება. ამასთან, 1999 წლის საქართველოს მთავრობის ფისკალური პოლიტიკა მიმართულია წინა წლის არასახარბიელო შიდა და გარე ფაქტორების გავლენის შედეგად ეკონომიკაში შექმნილი ვითარების გამოსასწორებლად.

ამ მიმართულებით, 1999 წლის ქვეყნის საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკა უმთავრესად შემდეგ საკითხებს მოიცავდა:

- 1998 წელთან შედარებით, საგადასახადო ბაზის გაფართოება და საბიუჯეტო შემოსავლების მაქსიმალური მობილიზაცია. 1999 წელს განხორციელდა კონკრეტული ცვლილებები (სახელდობრ, სააქციზო მარკების შემოღება, საბაჟო კონტროლის გაძლიერება), რასაც შემოსავლების ზრდა უნდა მოჰყოლოდა;
- ხარჯვის პოლიტიკა კონცენტრირებული იყო ხარჯების რაციონალიზაციასა და შეზღუდული რესურსების ისეთ პრიორიტეტული დარგებისათვის გადანაწილებაზე, როგორიცაა: სოციალური პრობლემების მოგვარება უღარიბესი ფენებისათვის და ქვეყნის სუვერენიტეტის გამყარება.

1998 წელს ქვეყანაში შექმნილი ფინანსური კრიზისით გამოწვეული სახელმწიფო ბიუჯეტის დავალიანების დაფარვა 1999 საბიუჯეტო წელს მძიმე ტვირთად აწევს. ამ მხრივ „1999 წლის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის“ 9 თვის შესრულების მაჩვენებლების ანალიზი მეტად საინტერესო იქნება.

Friedrich-Ebert-Stiftung Bonn Bibliothek

1999 წლის 9 თვეში საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შემოსავლების მობილიზაციით მიღწეულმა დონემ (გრანტების გარეშე) 325 მლნ ლარს გადააჭარბა (იხ. ცხრილი №6). ცენტრალური ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების მოცულობამ (გრანტების ჩათვლით) 374 მლნ ლარი შეადგინა (შესრულდა 80,3 პროცენტით).

რაც შეეხება საგადასახადო შემოსავლებს, ცენტრალურ ბიუჯეტში განსაზღვრული საპროგნოზო მაჩვენებელი 355,5 მლნ ლარი 86,2 პროცენტით შესრულდა და 306,3 მლნ ლარი შეადგინა. ასეთი ჩავარდნა უმთავრესად საბაჟო დეპარტამენტის მიერ გეგმის შეუსრულებლობამ გამოიწვია, რის გამოც შემოსავლის სახით 48,8 მლნ ლარი ვერ მივიღეთ. დაგეგმილი საგადასახადო შემოსავლების ვერ უზრუნველყოფა, ძირითადად, ამ სახელმწიფო ორგანოს ადმინისტრირებაში არსებული ნაკლოვანებებისა და ცენტრალურად ბიუჯეტში წინასწარ პროგნოზირებული დავალების არარეალური გაზრდის შედეგია. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის საკუთარი შემოსავლების საპროგნოზო მოცულობაში გადასახადები 66-67 პროცენტია, აქედან გამომდინარე ამ შემოსავლების საპროგნოზო დავალებათა შესრულებაზე დიდადაა დამოკიდებული საერთოდ სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შესრულება, შესაბამისად, ამ ბიუჯეტით განსაზღვრული ხარჯების შეუფერხებელი დაფინანსება.

1999 წლის 9 თვეში სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზებული საგადასახადო შემოსავლების ფაქტიური მოცულობა 20,1 პროცენტით ანუ 51,3 მლნ ლარით მეტია წინა წლის ანალოგიურ პერიოდში შესაბამის მაჩვენებელზე.

1999 წლის 1 ოქტომბრისათვის საგადასახადო დეპარტამენტის ხაზით საქართველოს ცენტრალურ ბიუჯეტში მობილიზებულ იქნა 150,5 მლნ ლარი და საპროგნოზო მოცულობის შესრულებამ 99,7 პროცენტი შეადგინა (იხ. ცხრილი №6). უნდა ითქვას, რომ საგადასახადო დეპარტამენტის მიერ გადასახადების მობილიზაციის დონე წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31,1 მლნ ლარით ანუ 26 პროცენტით გაიზარდა.

აღსანიშნავია, რომ საშემოსავლო გადასახადების მიხედვით საპროგნოზო დავალებები გადაჭარბებით შესრულდა. მათი შესრულების მაჩვენებელმა 134 პროცენტი შეადგინა და დამატებით 8,5 მლნ ლარი იქნა მიღებული. რაც შეეხება მოგების გადასახადს, იგი 118,5 პროცენტით შესრულდა და მობილიზაციის დონემ 16 მლნ ლარი შეადგინა.

მიმდინარე წლის 9 თვის მონაცემებით საგადასახადო დეპარტამენტის მიერ საგადასახადო შემოსავლების პროგნოზები დამატებული ღირებულების გადასახადზე და აქციზებზე (90,2 და 86,7 პროცენტით შესრულდა) არ შესრულდა, ხოლო ამ გადასახადების მიხედვით გარღვევამ 11,5 მლნ ლარს მიაღწია.

1999 წლის 9 თვის საპროგნოზო დავალებები ვერ შესრულდა საბაჟო დეპარტამენტის მიხედვითაც: პროგნოზით გათვალისწინებული 204,6 მლნ ლარის ნაცვლად 155,8 მლნ ლარი ანუ გეგმიური მაჩვენებლის 76,1 პროცენტი შეადგინა (იხ. ცხრილი №6). აქვე აღსანიშნავია, რომ საბაჟო დეპარტამენტმა მიმდინარე წლის II კვარტალში, I კვარტალთან შედარებით, ბიუჯეტში 2-ჯერ მეტი თანხა ანუ 67 მლნ ლარი ამოიღო. რაც შეეხება საბაჟოდან მისაღებ საბაჟო გადასახადს, იგი მიმდინარე წლის 9 თვეში მხოლოდ 55,5 პროცენტით შესრულდა და ცენტრალურ ბიუჯეტს 14,7 მლნ ლარზე მეტი თანხა დააკლდა. დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებლის შესრულებას კი 24,2 მლნ ლარი დააკლდა და მხოლოდ 61 მლნ ლარის მობილიზება განხორციელდა. რაც შეეხება აქციზს, საპროგნოზო დავალება 88,5 პროცენტით შესრულებულდა და 76,5 მლნ ლარია ამოღებული. საბაჟო დეპარტამენტის მიერ 9 თვეში ამოღებული თანხები წლიური გეგმის მხოლოდ 45 პროცენტია, ამ ფაქტის გათვალისწინებით, 1999 წლის საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის დავალებების შესრულება ძალიან გართულდება. ჩვენი შეფასებებით, საბაჟო დეპარტამენტისათვის ასეთი მაღალი (345,5 მლნ ლარი), ძალიან გაბერილი დავალებების მიცემა ყოვლად გაუმართლებელი იყო.

ცალკე აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის 9 თვის შემოსავლებზე გარკვეული გავლენა მოახდინა სიგარეტზე და ალკოჰოლურ სასმელებზე აქციზური მარკების შემოღებამაც. სააქციზო მარკების შემოღებით იმპორტირებული თამბაქოდან მიღებული შემოსავლები მკვეთრად გაიზარდა. ბიუჯეტში თანხების მობილიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი რეზერვი აქციზის გადასახადია. გამომდინარე აქედან, სახელმწიფო იძულებული გახდა ქმედითუნარიანი ნაბიჯები გადაედგა და სააქციზო პროდუქცია დაბეგვრის არეალში მოეხდინა, რაც სააქციზო მარკების სისტემის შემოღებით მოხერხდა. მოცემულ პერიოდში მარტო სიგარეტის იმპორტიდან შემოსავლებმა 54,6 მლნ ლარს გადააჭარბა, ხოლო 1998 წლის იგივე მაჩვენებელი მხოლოდ 19 მლნ ლარი იყო (1999 წლის 9 თვეში სულ აქციზური მარკების რეალიზაციით მობილიზებულია 62,7 მლნ ლარი).

საგადასახადო შემოსავლების ზრდა ჯერ კიდევ არ მიუთითებს გადასახადების მობილიზაციის პროცესის უნაკლობაზე და დახვეწილობაზე. სოფლის მეურნეობის და ვაჭრობის სფეროში დღგ, აქციზი და საშემოსავლო გადასახადების სახით არსებული რეზერვების გამოუყენებლობა გაუმართლებელია. აღსანიშნავია, რომ სოფლის მეურნეობას მშპ-ს 24,3 პროცენტი უკავია და ამ დარგიდან საგადასახადო

შემოსავლები მთლიანი საგადასახადო შემოსავლების მხოლოდ 1,8 პროცენტს შეადგენს, ხოლო მრეწველობისთვის იგივე მაჩვენებლები 8,8 და 14,7 პროცენტია.

აქვე აღსანიშნავია, რომ არასაგადასახადო და კაპიტალური შემოსავლების გეგმის შეუსრულებლობით ცენტრალურმა ბიუჯეტმა 33 მლნ ლარი დაკარგა (შესაბამისად 28,5 და 62,4 პროცენტით შესრულდა).

რაც შეეხება საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილში გრანტებით გათვალისწინებულ 57,8 მლნ ლარს, ფაქტიურად მიღებულ იქნა 48,2 მლნ ლარი (იხ. ცხრილი №6). ამ უკანასკნელიდან კი ჯერჯერობით სრულად არ არის მიღებული 1993-94 წლებში ევროკავშირიდან კრედიტის რესტრუქტურიზაციაზე გამოყოფილი გრანტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1999 წლის 7 ივლისის №429 ბრძანებულებით მიმდინარე წლის 20 ივლისიდან მიმდინარე გადასახადებისა და საგადასახადო დავალიანებების ბიუჯეტიდან კუთვნილი მიმდინარე ან ვადაგადაცილებულ მისაღებებთან გაქვითვის ე.წ. „ჩათვლის" გზით აღსრულების პრაქტიკა გაუქმდა.

1999 წლის 9 თვეში ცენტრალური ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის, გეგმასთან შედარებით, 80,3 პროცენტით შესრულების გამო ხარჯები შემცირდა (იხ. ცხრილი №7), რამაც 567 მლნ ლარის ნაცვლად 534,6 მლნ ლარი შეადგინა (შესრულდა 94,3 პროცენტით). მათ შორის, ფუნქციონალური კლასიფიკაციით, ყველაზე დაბალი ხარჯების შესრულების მაჩვენებლებით ხასიათდებოდნენ: „ჯანმრთელობის დაცვა" — 46,7%, „სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა" — 58,3%, „განათლება" — 75,1%, „გარემოს, ბუნებრივი რესურსების დაცვა და ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მომსახურება" — 76,7%. საყურადღებოა, რომ ხარჯების შესრულების ყველაზე მაღალი მაჩვენებლებით გამოირჩეოდნენ ისეთი ფუნქციონალური კლასიფიკაციის მუხლები, როგორებიცაა: „სათბობ-ენერგეტიკული კომპლექსი" — 134,6%, „ხარჯები, რომელიც არ განეკუთვნება ძირითად განყოფილებებს" — 112,4%, „საბინაო-კომუნალური მეურნეობა" — 105,1% და „საქმიანობა კულტურის, სპორტისა და რელიგიის სფეროში" — 100,5%.

„1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის" მიღებისას შემდეგი ძირითადი პრიორიტეტები გამოიკვეთა. მათ საფუძველზე ხარჯების განაწილება უნდა განხორციელებულიყო. აღნიშნული პრიორიტეტებია:

1. მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსება; ამ სფეროში წინა პერიოდში არსებული დავალიანებების დაფარვა; სოციალური დანიშნულების გამოყოფილი ასიგნებების ეფექტურობის ამაღლება, მოსახლეობის ცხოვრების დონის გაუმჯობესება;

2. ფინანსური სიძნელეების პირობებში დარგების ფუნქციონირებისათვის მინიმალურად საჭირო პირობების შესანარჩუნებლად სოციალური სფეროს დარგებისათვის (განათლება, კულტურა, ჯანმრთელობა, სპორტი) სრული საბიუჯეტო მხარდაჭერის შენარჩუნება;

3. ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვისა და მისი მომსახურების ღონისძიებების დაფინანსება (მათ შორის: ქვეყნის საგარეო ვალების მომსახურება და საზღვარგარეთ ქვეყნის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა შენახვა და ა.შ.).

ამ პერიოდში დაცული მუხლი „მუშა-მოსამსახურეთა შრომის ანაზღაურება" 74,5 პროცენტით შესრულდა და დავალიანებამ, გეგმასთან შედარებით, 18,9 მლნ ლარი შეადგინა (იხ. ცხრილი №7). ამ მხრივ, ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით ყველაზე მაღალი დავალიანებით ხასიათდება: „საზოგადოებრივი წესრიგი და უშიშროება" — 6,2 მლნ ლარი, „საერთო დანიშნულების ხარჯები" — 5,1 მლნ ლარი, „განათლება" — 2,8 მლნ ლარი, „თავდაცვა" — 2,2 მლნ ლარი, „სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა" — 1 მლნ ლარი და „ჯანმრთელობის დაცვა" — 0,9 მლნ ლარი. ამ უკანასკნელს „მუშა-მომსახურეთა შრომის ანაზღაურება" პროცენტულად ყველაზე დაბალი შესრულების მაჩვენებელი აქვს, კერძოდ, 43,8 პროცენტით შესრულდა. ასევე აღსანიშნავია, რომ ისეთი დაცული მუხლი როგორიცაა „კვების ხარჯები" 85 პროცენტით შესრულდა და დავალიანებამ 3,3 მლნ ლარი შეადგინა, რაც, უმთავრესად, ფუნქციონალური კლასიფიკაციით „თავდაცვის" ხარჯებზე მოდის (დავალიანებამ 2 მლნ ლარი შეადგინა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური პრობლემების სიმწვავე და სიმძაფრე, მათი ოდენობა და ხარისხი კრიტიკულ ზღვარს უახლოვდება - ეს უპირველეს ყოვლისა ბიუჯეტიდან ჯანმრთელობის დაცვისა და განათლების სფეროების დაუფინანსებლობამ გამოიწვია, ხოლო ამასთან მმართველობითი ხარჯი — სრულდებოდა. ხარჯების განაწილებას ასეთი მიდგომა შეიძლება მხოლოდ ბიუჯეტის სახსრების ფლანგვას მივანეროთ. ასეთმა ნეგატიურმა პროცესებმა შეიძლება სოციალური დაძაბულობა და სახელმწიფო მოხელეებში კორუფციის დონის ზრდა გამოიწვიოს, რაც თავისთავად წინასაარჩევნო პირობებზეც მკვეთრ ზეგავლენას მოახდენს.

ზემაღნიშნულის მიუხედავად, განხილულ პერიოდში ადგილი ჰქონდა ისეთი არადაცული მუხლების მაღალი შესრულების მაჩვენებლებს, როგორიცაა: „მივლინებები" (125,8 პროცენტით შესრულდა და გადახარჯვამ 1,7 მლნ ლარი შეადგინა) და „ტრანსპორტი და ტექნიკის შეძენა" (86 პროცენტით შესრულდა და გადახარჯვამ 0,5 მლნ ლარი შეადგინა). მიმდინარე ხარჯები სულ

91,6 პროცენტით შესრულდა, გეგმისგან გადახრამ კი 42 მლნ ლარი შეადგინა. ბიუჯეტური სახსრების ფაქტიური დეფიციტის პირობებში, სახელმწიფო მსუბუქი ავტომანქანების შეძენის და მივლინების ხარჯებს ბოლო წლებში ზრდის ტენდენცია ახასიათებთ. ასეთი ხარჯების დაგეგმვა, საერთოდ არა კონტროლირებადია. არ არსებობს ახალი ავტომანქანის შეძენის საჭიროების და მინიმალური რაოდენობის განმსაზღვრელი, მარეგულირებელი ნორმატიული აქტი. სამინისტროთა ფუნქციათა საერთო სურათიდან ნათელია, რომ ზოგიერთ მათგანს საჭიროზე ბევრი მანქანა ემსახურება და, შესაბამისად, სახელმწიფო ბიუჯეტში მათი შენახვის ხარჯები ძალიან გაზრდილია.

ზოგიერთი აღმასრულებელი და პოლიტიკური მოღვაწის აზრით, ამ პერიოდში შემოსავლების არასაკმარისად მობილიზაციამ ხარჯების სეკვესტრირება გამოიწვია, სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პრიორიტეტები უმთავრესად შენარჩუნდა. სინამდვილეში, კი ისეთი დაცული მუხლები, როგორიცაა ხელფასები, პენსიები და სხვა 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული მატერიალური დახმარებები ვერ გაიცა. მაშინ როდესაც, სრულდებოდა ხარჯების ისეთი მუხლები, როგორებიცაა: პერსონალური და სამსახურეობრივი ავტომანქანების შენახვა, მობილურების, ტელეფონების მომსახურების ხარჯები, მივლინებები და სხვა.

თანამედროვე ეტაპზე მნიშვნელოვანი ყურადღება სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლების მაქსიმალურ მობილიზაციასა და ხარჯების რაციონალურ გაწევას უნდა მიექცეს. ხარჯების განაწილებისას, პირველ რიგში, სახელმწიფო ბიუჯეტის მიღებისას განსაზღვრული ბიუჯეტის დაცული მუხლები და ძირითადი პრიორიტეტები უნდა შესრულდეს, მას შემდეგ კი შემოსავლების სხვა დანარჩენი ხარჯები პროპორციულად.

საერთოდ საბიუჯეტო პროცესის მიზანი ხარჯებისა და შემოსავლების სწორ განაწილებაზე კონცენტრირება, მათი სწორი მიზნობრივი მიმართვა, ეკონომიური გამოყენება, მათი გამოყენების კანონიერების დაცვა და ეფექტურობაა. 1999 წლის საბიუჯეტო პროცესები სწორედ ამ მხრივ უნდა წარიმართოს.

1999 წელს აქცენტი, ახალი დავალიანების წარმოქმნის გარეშე, გადასახადების მობილიზაციასა და გასული წლის დავალიანების აღმოფხვრაზე კეთდებოდა. მიუხედავად ამისა, საქართველოს ცენტრალური ბიუჯეტის შესრულების პროცესში ბევრი ხარვეზია. საერთოდ, ძირითადი პრობლემა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის კონკრეტული მიზნებისა და მისი განხორციელების გზების არქონაა.

სახელმწიფოს ეკონომიკური პოლიტიკის განსაზღვრის შემდეგ, აუცილებელია პოლიტიკის შესაბამისი ორიენტირების, ინსტრუმენტებისა და ფორმების შერჩევა. ამ მხრივ სახელმწიფო სახელისუფლო სტრუქტურის ცალკეული ელემენტების მიზანი, როლი და ფუნქცია მკაფიოდ უნდა განისაზღვროს. მიზნების შესაბამისად საქმიანობის შეფასება, გრძელვადიანი და მოკლევადიანი შედეგების განსაზღვრა მხოლოდ ამ გზითაა შესაძლებელი. სახელისუფლო სტრუქტურის ჩამოყალიბება უშუალოდაა დაკავშირებული, ერთის მხრივ, ქვეყანაში საბიუჯეტო პროცესის პრინციპებზე და, მეორეს მხრივ, აღნიშნულ სტრუქტურათა მაკოორდინირებელი საქმიანობის ადმინისტრირების მექანიზმზე.

დღესდღეობით, ბიუჯეტის მწირი შემოსავლების პირობებში ადგილი აქვს საბიუჯეტო სახსრებზე ნადირობას, ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, ე.ი. საბიუჯეტო პროცესისადმი, საფუძველშივე არასწორი მიდგომაა ჩამოყალიბებული. სახელმწიფო ბიუჯეტიდან ფინანსირდება თანდათან უფრო მზარდი პროგრამები, მაგრამ სოციალური, მაკროეკონომიკური და პოლიტიკური შედეგების რელური შეფასება არ ხორციელდება. ამ ეტაპზე აუცილებელია საბიუჯეტო სისტემაში პრინციპული ბერკეტის, შეფასების მექანიზმის შემოღება, ამასთან დროა ვიზრუნოთ „პროგრამული ბიუჯეტის" დანერგვაზე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. 'საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა, 1999 წ. იანვარ-სექტემბერი"; საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტი;
2. 'მონეტარული და საბანკო სტატისტიკის ბიულეტენი"; №7 1999წ. საქართველოს ეროვნული ბანკი;
3. საქართველოს კანონი '1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ";
4. საქართველოს კანონი '1999 წლის ფულად-საკredიტო და სავალუტო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შესახებ";
5. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია.

ცხრილი №2

თბილისის ბანკომაკლერების საპალუტო ბირჟაზე აქრ ლოლარით ვაჭრობის 1998-1999 წლის შედეგები (ათასი აქრ ლოლარი)

	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
1998 წლის გაყიდული USD	13965	11106	5721	1670	8987	9394	9026	7359	17305	9541	18224	16558
კომერციული ბანკების მიერ	682	1498	1620	1308	126	4747	4850	1842	1384	1184	300	10164
ეროვნული ბანკის მიერ	13283	9608	4101	362	8861	4647	4177	5517	15922	8357	17924	6394
1999 წლის გაყიდული USD	2664	3446	3836	3078	5405	5232	7080	9233	10997			
კომერციული ბანკების მიერ	2664	3446	3836	3078	5405	5232	7080	9233	10997			
ეროვნული ბანკის მიერ	0	0	0	0	0	0	0	0	0			
1998 წლის ნაყიდი USD	13965	11106	5721	1670	8987	9394	9026	7359	17305	9541	18224	16558
კომერციული ბანკების მიერ	13683	10821	4824	519	8977	6865	4714	6573	17066	9541	18224	8587
ეროვნული ბანკის მიერ	282	285	897	1151	10	2529	4313	786	239	0	0	7971
1999 წლის ნაყიდი USD	2664	3446	3836	3078	5405	5232	7080	9233	10997			
კომერციული ბანკების მიერ	2664	3446	3635	2400	4004	4365	2978	4655	8712			
ეროვნული ბანკის მიერ	0	0	201	679	1401	867	4102	4578	2284			
საშუალო თვიური კურსი	1,32	1,329	1,334	1,335	1,341	1,348	1,347	1,349	1,354	1,379	1,459	1,799
1998 წელი	1,32	1,334	1,263	2,164	2,028	1,983	1,907	1,854	1,865			
1999 წელი	2,066	2,268										

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

1999 წლის საქართველოს ცენტრალური საუნაგეტის ხარჯვების 9 თვის შესრულება

ცხრილი №7

ხარჯები ეკონომიკური კლასიფიკაციით	ბიუჯეტი	ფაქტი	გადახრა	%	ხარჯები ფუნქციონალური კლასიფიკაციით	ბიუჯეტი	ფაქტი	გადახრა	%
სულ ხარჯები და წმინდა დაკრედიტება	567	534,6	-32.4	94,3	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მმართველობა	68,3	53,4	-14,9	78,2
საერთო ხარჯები	509,2	465,9	-43,3	91,5	თავდაცვა	34,5	27,8	-6,7	80,6
მიმდინარე ხარჯები	501,4	459,4	-42	91,6	სახელმწიფო წესრიგი და უშიშროება	60,8	54,7	-6,1	90,0
მუშა-მოსამსახურეთა შრომითი ანაზღაურება	74,1	55,2	-18,9	74,5	განათლება	31,7	23,8	-7,9	75,1
მიგლეტენები	6,6	8,3	1,7	125,8	ჯანმრთელობის დაცვა	24	11,2	-12,8	46,7
ტრანსპორტი და ტექნიკის შეძენა	8,6	9,1	0,5	105,8	სოციალურ უზრუნველყოფა	88,4	87,5	-0,9	99,0
ფეხის ხარჯები	22,2	18,9	-3,3	85,1	სპორტი-კულტ. მეცნიერება	3,9	4,1	0,2	105,1
სუბსიდიები და სხვა მიმდინარე ტრანსფერტები	161,5	156	-5,5	96,6	საქმიანობა ეკონომიკის, ბუნებრივი რესურსების და რეგიონის	19,4	19,5	0,1	100,5
სუბსიდიები	55,9	53,8	-2,1	96,2	სათბობ-ენერგეტ. კომპლექსი	7,8	10,5	2,7	134,6
ტრანსფერტები	105,6	102,2	-3,4	96,8	სოფლის მეურნ. საქმეები	24,2	14,1	-10,1	58,3
მიმდინარე ტრანსფერტები ქვეყნის შიგნით	104,6	101,5	-3,1	97,0	ბიბლიოთეკა, მუზეუმები ტელევიზია, ნათობიან ტექნიკის, ეკონომ. ბუნებრივი მეცნიერებანი	0,9	0,7	-0,2	77,8
მიმდინარე ტრანსფერტები ქვეყნის გარეთ	0,98	0,66	-0,32	67,3	ტრანსპორტი და კავშირგაბ.	1,9	1,7	-0,2	89,5
კაპიტალური ხარჯები	7,8	6,5	-1,3	83,3	ტარიფისა და ბუნებრივი რეს. ინფორ. ადრინ. საქმიანობასთან დაკავშ. სხვა მომსახურება	3	2,3	-0,7	76,7
დაკრედიტება დაფარვის გამოკლებით	57,8	68,7	10,9	118,9	სარეზერვო, რომელიც არ განაწილებულა ფონ. ეკონომ.	198,1	222,7	24,6	112,4

წყარო: ფინანსთა სამინისტრო

საინფორმაციო გვერდი

❖ *ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროგრამის ფარგლებში ამა წლის 9 ნოემბერს ქ. ოზურგეთში მოეწყო სემინარი თემაზე:*

• სათემო ორგანიზაციების თეორია და პრაქტიკა

სემინარზე გამომსვლელებმა ისაუბრეს სათემო ორგანიზაციების არსსა და მიზნებზე, ასევე სოფლად არსებული თემების გამოცდილებასა და საზღვარგარეთის ქვეყნების პრაქტიკაზე. ცენტრის წარმომადგენლებთან ერთად მოხსენებით გამოვიდნენ მოწვეული ექსპერტები: თემის განვითარების პროგრამის კოორდინატორი ნანა შარია (ქ. ზუგდიდის ოქსფამის რეგიონალური ოფისი) და ბულგარეთის არასამთავრობო ორგანიზაციის — „ეფექტური ალტერნატიული სამოქალაქო გზების შენება“ — წევრი რუმიან სეჩკოვი. სემინარს ესწრებოდნენ ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სოფლად არსებული საინიციატივო ჯგუფების წარმომადგენლები.

აღსანიშნავია, რომ ბულგარული არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობისა და სამოქალაქო ინიციატივების შესახებ ინფორმაციის გაზიარების მიზნით 11 ნოემბერს ცენტრის ოფისში შედგა ბულგარელი ექსპერტის შეხვედრა ქ. თბილისის სათემო ორგანიზაციათა წარმომადგენლებთან. ურთიერთგამოცდილების გაცვლობა საკმაოდ საინტერესო და სასარგებლო იყო არა მარტო ადგილობრივი წარმომადგენლებისათვის, არამედ ბულგარელი სტუმრისთვისაც.

❖ *17-24 ოქტომბერს ლიკანში გაიმართა სამხრეთ კავკასიის ქალ-ტრენერთა ქსელის მოსამზადებელი პირველი შეხვედრა. აღნიშნული პროექტის ინიციატორია ქართული არასამთავრობო ორგანიზაცია "პარტნიორები დემოკრატიულ ცვლილებებში – პარტნიორები საქართველო." ხაწყის ეტაპზე ქსელის მუშაობაში საქართველოდან, აზერბაიჯანიდან და სომხეთიდან ჩაებმება ექვს-ექვსი წარმომადგენელი. პროექტში მონაწილეობას იღებს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წევრიც.*

❖ *25-26 ოქტომბერს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ „ადგილობრივი დემოკრატიის განვითარების პროექტის ფარგლებში“ ქ. ლაგოდეხში არასამთავრობო ორგანიზაციათა ტრენინგი მოეწყო.*

ტრენინგის თემატიკა მოიცავდა შემდეგ საკითხებს: არასამთავრობო ორგანიზაციათა დაბეჭდვა, გრანტის სამართლებრივი საფუძვლები, არასამთავრობო ორგანიზაციათა სტრუქტურა, ხახრების მოძიება, ეაიცა რეკომენდაციები პროექტების შედგენის საკითხებზე. ტრენინგში აქტიურად მონაწილეობდნენ ლაგოდეხის რაიონში ახლახანს დაფუძნებული არასამთავრობო ორგანიზაციათა წარმომადგენლები.

❖ ამა წლის 5 ნოემბერს საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრმა, ფრიდრიხ ებერტის ფონდის ფინანსური დახმარებით ჩაატარა მორიგი სემინარი, რომელიც მიეძღვნა შემდეგ მოხსენებებს:

ვაჭრობის სფეროს ორგანიზაცია
სახელმწიფო ქონების მართვა
ეკონომიკური უსაფრთხოების მონიტორინგის სისტემა

❖ *1999 წლის 19-21 ოქტომბერს ყვარაღის გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების საინფორმაციო ცენტრის მიერ ქ. სტამბულში მოეწყო შეა ახიისა და შავი ზღვის აუზის ქვეყნების არასამთავრობო ორგანიზაციათა მორიგი კონფერენცია. მას ფინანსურ დახმარებას უწევს იაპონიის ფონდი – ნიპონი.*

საქართველოდან კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის წარმომადგენლებმა — ნანა ქარსელაძემ და დავით აფრასიძემ.

კონფერენციაზე განიხილეს შემდეგი საკითხები:

- *გარემოსდაცვითი არასამთავრობო ორგანიზაციების საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის გაძლიერება;*
- *მსოფლიო ბანკის მიერ განხორციელებული გარემოსდაცვითი პროექტები;*
- *გარემოსდაცვითი ორგანიზაციების მიერ ნატარებული წლიური მუშაობის მიმოხილვა.*

FRIEDRICH EBERT STIFTUNG

ფრიდრიხ ებერტის ფონდი

ფრიდრიხ ებერტის ფონდი წარმოადგენს დამოუკიდებელ საზოგადოებრივ-კულტურულ ორგანიზაციას, რომელიც მჭიდრო კავშირშია გერმანიის სოციალ-დემოკრატიულ პარტიასთან. იგი დაფუძნებულ იქნა 1925 წლის 2 მარტს ვაიმარის პირველი პრეზიდენტის, სოციალ-დემოკრატების ლიდერის ფრიდრიხ ებერტის საპატივცემულოდ.

დღესდღეობით ფრიდრიხ ებერტის ფონდის თანამშრომელთა რიცხვი 540 კაცს შეადგენს. ფონდს ბიუროები გააჩნია მსოფლიოს 89 ქვეყანაში.

ფონდის მოღვაწეობის სფეროში შედის:

— დემოკრატიული სულისკვეთებით საზოგადოების ყველა ფენის წარმომადგენელთა განათლება;

— ერთაშორისი თანხმობის ხელშეწყობა და განვითარებად ქვეყნებთან თანამშრომლობა;

— როგორც გერმანიაში, ასევე მის საზღვრებს გარეთ მცხოვრები ნიჭიერი სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერ-მუშაკებისათვის სტიპენდიების გამოყოფა;

— სამეცნიერო გამოკვლევების, კვლევითი სამუშაოების წახალისება;

— კულტურისა და ხელოვნების განვითარების ხელშეწყობა.

საქართველოში ფონდის წარმომადგენლობა 1994 წელს დაარსდა. ფონდი აქტიურად თანამშრომლობს როგორც სამთავრობო, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, განსაკუთრებით კი - ახალგაზრდულ ორგანიზაციებთან. კონფერენციების და სემინარების მოწყობით, სატელევიზიო პროგრამებითა თუ სპეციალისტების მომზადებით იგი ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გამოცდილების, ცოდნის გაცვლაში.

საქართველოში ფონდის საქმიანობის სფერო შემდეგ საკითხებს მოიცავს:

— დემოკრატიის მხარდაჭერა, ეთნიკური უმცირესობების და ქალთა მოძრაობის დაცვა;

— ეკონომიკური რეფორმა, სოციალური პოლიტიკა და გარემოს დაცვა;

— საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდი საქართველოში დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სემინარულ მუშაობას სხვადასხვა ასაკობრივ და პროფესიულ ჯგუფებთან, როგორებიცაა, მაგალითად; კონფლიქტების გადაწყვეტის ალტერნატიული გზების შემუშავების მიზნით ტრენინგ-სემინარების ჩატარება ლტოლვილებთან, ჟურნალისტებთან, პოლიციელებთან; მართვის, ეკონომიკის, სამართლის საკითხების ირგვლივ — ცალკეული რეგიონების გამგებლებთან. ფონდის ხელშეწყობით ქვეყნდება მთელი რიგი პუბლიკაციები სხვადასხვა თემებზე, უმაღლეს სასაწავლებლებში ეწყობა ვიდეო-ლექციები, რომელთაც უძღვებიან გერმანიიდან მოწვეული მაღალკვალიფიციური სპეციალისტები.

ფონდთან მჭიდრო თანამშრომლობით საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებულ იქნა ისეთი მნიშვნელოვანი კანონპროექტები, როგორიცაა, გარემოსდაცვითი ნებართვისა და პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ კანონპროექტი. აგრეთვე, ამავე ფონდის ფინანსური დახმარებით გახდა შესაძლებელი ცენტრში არსებული სამუშაო ჯგუფის „ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა" აქტიური მოღვაწეობა.

ფრიდრიხ ებერტის ფონდს მომავლისათვის განზრახული აქვს სამოქმედო ასპარეზის გაზრდა და მუშაობის უფრო აქტიურად წარმართვა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი დაფუძნებულ იქნა 1995 წლის ივლისში. იგი წარმოადგენს დამოუკიდებელ, არასამთავრობო, არაპოლიტიკურ, არაკომერციულ ორგანიზაციას. მისი წევრები არიან სხვადასხვა სამეცნიერო წრეების წარმომადგენლები, მდიდარი გამოცდილების მქონე სპეციალისტები, ასევე სტუდენტები და ახალგაზრდები, რომლებიც გამოცდილ თანამშრომლებთან ერთად მუშაობენ ცენტრისათვის პრიორიტეტულ პრობლემატიკაზე და თანამშრომლობენ როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ორგანიზაციებთან.

ცენტრი სხვა ტრადიციული ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებისაგან განსხვავებით, არ შემოიფარგლება მხოლოდ დამოუკიდებელი მკვლევარისა და დამკვირვებლის როლით და ცდილობს, გავლენა იქონიოს ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. ამ მიზნით ცენტრი აქტიურად თანამშრომლობს არა მარტო სამეცნიერო და არასამთავრობო, არამედ სამთავრობო ორგანიზაციებთანაც, რათა საერთო ძალისხმევით შემუშავდეს ჩვენს ქვეყანაში არსებული რთული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გადაჭრის ოპტიმალური გზები. ცენტრში დამუშავებული სტრატეგიული გეგმები საბოლოო სახეს მხოლოდ მრავალჯერადი საჯარო განხილვების შემდეგ ღებულობს, რაც უზრუნველყოფს ამ პროცესში ყველა დაინტერესებული პირისა თუ ორგანიზაციის მონაწილეობას.

ცენტრის რეგულარულ გამოცემებში — ბიულეტენებში გაშუქებული საკითხების ირგვლივ სისტემატიურად ეწყობა განხილვა-სემინარები.

ცენტრის პრიორიტეტული მიმართულებებია:

- *საზოგადოება და დემოკრატია*
- *გარემოს დაცვა და მდგრადი განვითარება*
- *საგარეო პოლიტიკა და ეროვნული უსაფრთხოება*
- *ეკონომიკა, ფინანსები და სოციალური პოლიტიკა*

განხორციელებული პროექტები

1. კანონპროექტი საქართველოს გარემოსდაცვითი ნებართვების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
2. კანონპროექტი საქართველოს პოლიტიკური ორგანიზაციების შესახებ;
კანონი მიღებულია პარლამენტის მიერ.
3. საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ კონცეფციის შემუშავება;
4. ეკონომიკური რეფორმები საქართველოში;
5. ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარება;
6. არასამთავრობო გარემოსადაცვითი ორგანიზაციების ქსელის ეროვნული შეხვედრის მომზადება;
7. ცენტრის ინსტიტუციონალური განვითარება.

ცენტრის დონორი ორგანიზაციები

1. ფრიდრიხ ებერტის ფონდი, გერმანია
2. ნიდერლანდების ორგანიზაცია საერთაშორისო თანამშრომლობისა და განვითარებისათვის, ჰოლანდია.
3. ბერგჰოფის კონფლიქტოლოგიის ინსტიტუტი, გერმანია

ცენტრის მხარდამჭერები

* ცენტრის ინდივიდუალური „მხარდამჭერი“ მიიღებს ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით.

* ცენტრის პარტნიორები, სპონსორები და მხარდამჭერები მიიღებენ ცენტრის ყველა გამოცემას, ცენტრის პროექტების შესახებ დაწვრილებით ინფორმაციას და ყოველწლიურ (მათ შორის ფინანსურ) ანგარიშს. კომპანიის/ორგანიზაციის ხელმძღვანელს ან მის წარმომადგენელს უფლება ექნება უფასოდ დაესწროს ცენტრის ყველა სემინარსა და საჯარო ღონისძიებას, კომპანიის/ორგანიზაციის ნებისმიერ წევრს ექნება შესაძლებლობა ისარგებლოს ცენტრის ბიბლიოთეკით და ექსპერტთა ქსელით, გარდა ამისა:

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის „პარტნიორისა“, კომპანიის შესახებ ინფორმაციას დაეთმობა ერთი გვერდი ბიულეტენში და მცირე მონაკვეთი ლიფლეტში. ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის „პარტნიორი“.

* ცენტრის გამოცემებში მითითებული იქნება კომპანიის სახელწოდება, როგორც ცენტრის სპონსორისა, ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ცენტრის სპონსორი.

* ცალეული ღონისძიებეის სპონსორი კომპანია ღონისძიების მოსაწვევებში მოხსენიებული იქნება, როგორც ღონისძიების „სპონსორი“ და მისი ლოგო წარმოდგენილი იქნება ღონისძიებეზე ცენტრის ლოგოსთან ერთად.

საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მხარდამჭერები:

❖ კომპანია ზენიტ გამა ქონსალთინგი **(Zenith Gamma Consulting)**

მხარდამჭეროგით დაინტერესებულ პირებს გთხოვთ შეავსოთ თანდართული გამოკითხვის ბარათი და მოგვაწოდოთ ორგანიზაციის მისამართზე.

ცენტრის საქმიანობით დაინტერესებულ პირებს დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეუძლიათ, დაგვიკავშირდნენ.
ქ.თბილისი 380094, გამსახურდიას ქ. №33², ბინა 22. საფოსტო ყუთი №45;
ტელ/ფაქსი: (995 32) 964124
ელექტრონული ფოსტა: csrdg@caucasus.net
http://www.csrdg.caucasus.net

ინდივიდუალური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ მე მსურს გავხდე ცენტრის მხარდამჭერი და მზად ვარ გავიღო 100 ლარი, გთხოვთ, დამიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ, გამომიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები საბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ მე არ ვარ დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნუღარ დამიკავშირდებით.

ჩემი კოორდინატებია:

სახელი, გვარი, _____

სამუშაო ადგილი _____

თანამდებობა _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

კოლექტიური მხარდამჭერის გამოკითხვის ბარათი

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის პარტნიორი და მზად არის გაიღოს 5000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის სპონსორი და მზად არის გაიღოს 2000 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს გახდეს ცენტრის მხარდამჭერი და მზად არის გაიღოს 280 ლარი, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ ჩვენს კომპანიას სურს სპონსორობა გაუწიოს ცენტრის სხვადასხვა საჯარო ღონისძიებას, სემინარს ან კონფერენციას, გთხოვთ, დაგვიკავშირდეთ.

☐ გთხოვთ გამოგვიგზავნოთ უფრო დეტალური ინფორმაცია და ცენტრის უახლესი გამოცემები ხაბოლოო გადაწყვეტილების მისაღებად.

☐ ჩვენი კომპანია არ არის დაინტერესებული ცენტრის მხარდაჭერით, გთხოვთ, ნულარ დაგვიკავშირდებით.

ჩვენი კომპანიის კოორდინატებია:

კომპანიის დასახელება _____

მისამართი _____

ტელეფონი _____ ფაქსი _____

საკონტაქტო პირი _____

(სახელი, გვარი, თანამდებობა)